F843/10131


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 1 მარტი 2000 №37 (1059) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლხეთმა კაცნაკლულმაც მოიგო

„ბათუმმა“ კი საქართველოს თასის მერვედფინალში ლევან ხომერიკის დუბლით გაიმარჯვა

## ყადაღა პრობლემა არ არის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და დიდუბის საგადასახადო ინსპექცია ვალის დაფარვის გრაფიკზე შეთანხმდნენ

## თებერვლის ანბანი



გასული თვის 33 მნიშვნელოვანი საფეხბურთო ამბავი

## „გორკა!“ ახალი რუსების ახალი ისტორია



ნამგლისა და უროს კავშირი ყვანჯისა და ჩოგნის კავშირმა შეცვალა: პაველ ბურემ ანა კურნიკოვა დანიშნა

# მესამედ და სამუდამოდ

საქართველოს სუპერთასი

**დინამო 1:0 ტორპედო**

1:0 წიტაიშვილი (17)

*გუშინ საქართველოს სუპერთასს მესამედ და სამუდამოდ დაეპატრონა ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“, რომელმაც კლიმენტი წიტაიშვილის გოლსასწაულით თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხა. გუშინდელი მოგება პირველი მნიშვნელოვანი წარმატებაა ოთარ კორღალიძისთვის, რომლის გაწვრთნილმა „დინამომ“ შანსი არ მისცა დავით ყიფიანს და „ტორპედოს“, პირველად მოეგოთ ეს ჯილდო.*

იხილეთ მესამე გვერდი



სუპერფინალში სუპერგოლის გამტანი კლიმენტი წიტაიშვილი სუპერთასით

# ქართველები ქართველებს ვითვლით, მადრიდელები გაშვებულ ბურთებს

REUTERS



დინამო — რუსენბორგი 2:1. გიორგი დემეტრაძე ჩემპიონთა ლიგასა და ისეთ ორთაბრძოლებს ეჩვევა, ნორვეგიელთა კაპიტან ერიკ ჰოფტუნთან რომ მოუწია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**მეორე ეტაპი III ტური**

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| რუსენბორგი | 1 |
| რეალი | 2 |
| ბაიერნი | 4 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლაციო | 1 |
| ფეიენოორდი | 2 |
| მარსელი | 1 |
| ჩელსი | 0 |

გუშინ განახლებული ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ჩვენთვის გამორჩეულად საინტერესო იმით იყო, რომ ტურნირში კიდევ ერთი ქართველის, გიორგი დემეტრაძის დებიუტი შედგა. დემეს გამოჩენა კიეველთათვის იღბლიანი გამოდგა: ლობანოვსკის გუნდმა მეორე ეტაპზე პირველად მოიგო.

შაბათს „ბარსელონას“ მძლეველი „რეალი“ წუხელ თავად შერცხვა. საათივით აწყობილმა „ბაიერნის“ მანქანამ რომანტიკოსი მადრიდელები მიწასთან გაასწორა. რომში კი მოულოდნელობა მოხდა: ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი „ლაციო“ შინ როტერდამის „ფეიენოორდთან“ დამარცხდა.

იხილეთ მეორე გვერდი

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
III ტური. 29 თებერვალი

CHAMPIONS LEAGUE

REUTERS რომიდან



ლაციო — ფეიენოორდი 1:2. არგენტინული ტანგო ჰაერში: ფეიენოორდელი ხულიო კრუზი (მარცხნივ) რომაელი ნესტორ სენსინის წინააღმდეგ

## C ჯგუფი

### დინამო 2:1 რუსენბორგი

1:0 ხაცკევიჩი (10), 2:0 რებროვი (29), 2:1 მინი-იაკობსენი (48)
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, გოლოვკო, მამედოვი (ფიოდოროვი 86), ნესმაჩნი, ხაცკევიჩი, ქალაძე, ბელკევიჩი, გუსინი, რებროვი, დემეტრაძე (შაცკიხი 87)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი (სტორფლორი 45, იონსენი 88), სკამელსრუდი, ო. ბერგი, ვინსნესი, კარეუ, მინი-იაკობსენი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
გაფრთხილება: ბერგდოლმო, ვინსენსი
მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)
38 000 მაყურებელი

### რეალი 2:4 ბაიერნი

0:1 შოლი (20), 0:2 ეფენბერგი (24), 1:2 მორიენტესი (25), 1:3 ფინკი (39), 2:3 რაული (48), 2:4 პაულო სერჟიო (67)
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, რედონდო, კარანკა, გუტი (მაკმანამანი 61), ჯერემი, რაული, ანელკა, მორიენტესი (ოგნიენოვიჩი 78)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბაიერნი: კანი, ბაბელი (ლინკე 61), ლიზარაზუ, კუფური, მათეუსი, ფინკი, შოლი (ტარნატი 86), ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი (სანტა კრუზი 86), პაულო სერჟიო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)
72 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

*8 მარტი. ბაიერნი — რეალი; რუსენბორგი — დინამო*

## D ჯგუფი

### ლაციო 1:2 ფეიენოორდი

1:0 ვერონი (37), 1:1, 1:2 დალ ტომასონი (78, 84)
ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, მიხაილოვიჩი (ნეგრო 41), ფერნანდო კოუტუ, ლომბარდო, სენსინი, სიმეონე, ვერონი (ნედვედი 69), რ. მანჩინი, ბოკშიჩი, ს. ინძაგი (დ. სტანკოვიჩი 61)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, დე ჰაანი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი (გიანი 83), პაუვე, დე ვისერი (სამარჯიჩი 76), კალუ (დალ ტომასონი 46), ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
გაფრთხილება: დე ჰაანი, ლომბარდო, სტანკოვიჩი, სიმეონე, ფერნანდო კოუტუ
მსაჯი: ა. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
33 000 მაყურებელი

### მარსელი 1:0 ჩელსი

1:0 პირესი (16)
მარსელი: ტრევიზანი, ბლონდო, სიპრიენი, ლუქსენი, აბარდონადო, ბრანდო, პირესი, ჟ. ლერუა, დალმა, პუჟე (დე ლა პენია 71), ბაკაიოკო (მოზესი 89)
მწვრთნელი: ბერნარ კაზონი
ჩელსი: დე გუი, ლებეფი, ფერერი (მორისი 82), დესაი, ჰარლი, პეტრესკუ, უაიზი, დეშამპი (დი მატეო 62), პოიეტი, ძოლა, ფლო (სატონი 82)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |

*8 მარტი. ფეიენოორდი — ლაციო; ჩელსი — მარსელი*

## უეფას თასი. მერვედფინალი
პირველი წრე. 29 თებერვალი

UEFA CUP

### სლავია (ჩეხეთი) 1:0 უდინეზე (იტალია)

1:0 ძანკი (76 ს.კ.)
სლავია: ჩერნი, რადა, კოლერი, ჰისკი, ლერჩი (რ. ვაგნერი 72), სკალა (კუჩარი 50), ულიხი, რ. დოსტალეკი, პ. ჰორვატი, ზელენკა, ტ. დოშეკი (კოზელი 90)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
უდინეზე: ტურჩი, გარგო, ძანკი, მანფრედინი (აპია 82), ძამბონი, ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი, ლოკატელი (დო კარმო 46), სოსა (მარჯიოტა 78), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)
13 000 მაყურებელი

### პარმა (იტალია) 1:0 ვერდერი (გერმანია)

1:0 კრესპო (5)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, პაულო სოუზა, დ. ბაჯო, ვანოლი, სტანიჩი (დი ვაიო 90), კრესპო, ორტეგა (ბრედა 82)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ვერდერი: ფ. როსტი, ტრარესი, ფ. ბაუმანი, ბარტენი, ვიდნერი, ფრინგსი, მაქსიმოვი, აილტსი (ტიკუზუ 90), ა. ჰერცოგი, პიზარო (დაბროვსკი 81), აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)
15 000 მაყურებელი

# კარგად გიცნობთ, მიატოვიჩ!

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ბარსელონა — პორტუ

„კამპ ნოუზე“ კატალონიელთა სიამაყე პორტუგალიის ჩემპიონს უმასპინძლებს. „ბარსელონა“ უეჭველად მოსაგებად ითამაშებს, რომელიც აუცილებლად გუნებას გამოუკეთებს.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პორტუგალიელები უკეთეს მდგომარეობაში არიან. ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „პორტუმ“ „ბელენენსეშს“ 2:1 მოუგო და ლისაბონის „სპორტინგთან“ ერთად ლიდერობს. აი, „ბარსელონამ“ კი...

„ბარსას“ მადრიდში რომ არ წაეგო... ლუის ვან გაალის გუნდი მოსისხლე მტერ, მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა, თან როგორ — 0:3.

ორივე გუნდი A ჯგუფის ფავორიტია, უფრო ესპანელები, თუმცა „პორტუ“ ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით, 6-ით ლიდერობს, „ბარსელონა“ კი მეორეა 4 ქულით.

„პორტუ“ დღეს „კამპ ნოუზე“ ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულ ნახევარმცველ დოს სანტუშს მოისაკლისებს, ვან გაალის გუნდში კი ასეთი არავინაა. სამაგიეროდ, ორივე გუნდი „ყვითლებითაა გავსებული“.

ლუის ვან გაალი მომხვდურთ სავარაუდოდ უძლიერეს შემადგენლობას დაუპირისპირებს. ჰოლანდიელს არჩევანი ალბათ მხოლოდ მეკარეებზე ექნება, თვისტომი რუუდ ჰესპი, რომელსაც აგერ უკვე კარგა ხანია, ლურჯ-წითელთა კარი არ დაუცავს, თუ ფრანსისკ არნაუ, კაცი, რომელმაც შაბათს მადრიდში სამი ბურთი გაუშვა, აქედან ერთი თითქმის ცენტრიდან, რობერტო კარლოსის მიერ არანორმალური სიძლიერით დარტყმული ბურთი.

ერთი სიტყვით, დღეს „კამპ ნოუზე“ A ჯგუფის ცენტრალური მატჩია, მოიგებს „ბარსა“, პირველ ადგილზე გადაინაცვლებს, არადა... „პორტუ“ ლიდერობას კიდევ უფრო განიმტკიცებს.

გაფრთხილებულნი

ბარსელონა: აბელარდო (2), არნაუ, ბოგარდი, დანი, ფ. დე ბური, ფიგუ
პორტუ: ჟორჟე კოშტა (2), პეიშე (2), ალოიზიო, არჯელი, დეკო სოუზა, ილარიო, სეკრეტარიუ

დისკვალიფიცირებულნი

ბარსელონა: არავინ
პორტუ: დოს სანტუში (1 მატჩი)

### ჰერტა — სპარტა

ბერლინელებს, ბოლოხანს, თვითრწმენის ასამაღლებლად ყველა ცდა წყალში ჩაეყარათ, არადა ჩემპიონთა ლიგის თამაშები მოადგათ კარს. ბუნდესლიგის ბოლო ტურში მათ ლევერკუზენის „ბაიერთან“ 1:3 წააგეს.

„პირველ ტაიმში საშინლად ვმოქმედებდით“ — ასე შეაფასა თავისი ბიჭების თამაში კლუბის კომერციულმა დირექტორმა დიტერ ჰიონესმა.

არადა, თითქოს, ყველაფერი კარგად დაიწყო. მე-9 წუთზე მცველმა მარკო რემერმა თავურით გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდეგ რემერის კოლეგებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს და „ბაიერმა“ შესვენებამდევე სამჯერ მოასწრო გოლის გატანა.

სხვათა შორის, რემერმა ორიოდ თაგანუგდელთან ერთად მაინც დადებითი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ ბარძაყის კუნთი დაიზიანა და მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გასულა. კიდევ, საძაგელი თამაშისთვის 27-ე წუთზე კაპიტანი, ნორვეგიელი კეტილ რეკდალი გამოცვალეს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩეხებთან არ ათამაშებენ.

როგორც „ჰერტა“, ასევე „სპარტა“ დიდი ზეწოლის ქვეშ არიან. პირველ ორ შეხვედრაში „ჰერტამ“ ერთადერთი ქულა მოიპოვა, „სპარტამ“ კი ორივე წააგო, თან მეორე „ბარსელონასთან“ 0:5.

„მართალია, ყველამ ჩამოგვწერა, მაგრამ ბერლინში გამარჯვებით შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ასე არ არის“ — თქვა „სპარტას“ მწვრთნელის იაროშირ ბლაჟეკის თანაშემწემ ვიტ სავიცკამ.

გაფრთხილებულნი

ჰერტა: დაისლერი (2), კონსტანტინიდისი (2), ნოიენდორფი (2), ვოში (2), დაეი, დარდაი, ჰარტმანი, ჰელმერი, ჰერცოგი, მიხალკე, რეკდალი, სვერისონი, ვან ბურიკი, ვაიტი
სპარტა: ბარანეკი (2), ფუკალი (2), ლაბანტი (2), როსიკი (2), ნოვოტნი, იაროსიკი

დისკვალიფიცირებულნი

ჰერტა: არავინ
სპარტა: ჰაშეკი (1 მატჩი)

## B ჯგუფი

### მანჩესტერი — ბორდო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ ფრანგული „ბორდოს“ ზედიზედ ორჯერ დამარცხება მის გუნდს მეოთხედფინალში ადგილს გაუნაღდებს. საქმე ის გახლავთ, რომ „იუნაიტედი“ და „ბორდო“ „ოლდ ტრეფორდის“ შემდეგ, ერთ კვირაში, საფრანგეთში ხვდებიან ერთმანეთს.

ფერგიუსონმა მანჩესტერის რადიო GMR-ში გამოსვლისას განაცხადა: „თუ ჩვენ ამ შეხვედრებს მოვიგებთ, „ფიორენტინა“ და „ვალენსია“ კი ერთმანეთს ქულებს დააკარგვინებენ, სულ სხვა პოზიციაზე გვიხილავთ“.

მაგრამ, როგორც ამბობენ, „იუნაიტედი“ უმალ მეორე შეხვედრაში გაიმარჯვებს, ვიდრე პირველში, მშობლიურ სტადიონზე, სადაც მას მერე, რაც დეკემბრის დასაწყისში „ვალენსია“ დაამარცხა, 6 ათასი ახალი ადგილი დაამატეს.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის ევროპული გუნდები, რომლებიც „ოლდ ტრეფორდზე“ ჩამოდიან, მთელი დროის განმავლობაში თავს იცავენ, რაც ერთობ უჩვეულოა, მაგრამ მაინც გამოწვევაა. ისევე როგორც „ვალენსიასთან“, ვიმედოვნებ, რომ სხვებთანაც შევძლებთ ყრუ დაცვის პრობლემის გადაწყვეტას“.

ფერგიუსონისგან განსხვავებით, „ბორდოს“ მწვრთნელი, ელი ბოპი სხვა ამოცანებსაა შეჭიდებული.

„ჩვენ მანჩესტერში ღირსეულად უნდა ვითამაშოთ. დიდ მიზანთა შორის ერთ-ერთი სწორედ ეს გახლავთ. მომავალ ორ შეხვედრაში [illegible] — თქვა მან.

ფერგიუსონს სწამს, რომ მისი ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის თამაშების განახლებას მოუთმენლად ელიან.

„ჩემპიონთა ლიგის თამაშები მარტში ახლდება და ამიტომ, მთელი ზამთრის განმავლობაში, მოლოდინის გრძნობა მატულობს. გასახდელში მართლაც მღელვარებაა, რადგან ფეხბურთელებს და მაყურებელს ევროპული ფეხბურთი უყვარს. გარდა ამისა, „ვალენსიასთან“ გამარჯვებამ მეოთხედფინალში გასვლის შანსი მოგვცა“.

გაფრთხილებულნი

მანჩესტერი: ფ. ნევილი (2), ბექემი, კინი, სქოულზი, უილსონი, იორკი
ბორდო: ალიკარტე (2), ბატლე (2), მიკუ (2), აფანუ, ლასლანდი, მარტენსი, საველიჩი, ვილტორდი, ზიანი

დისკვალიფიცირებულნი

მანჩესტერი: არავინ
ბორდო: არავინ

### ფიორენტინა — ვალენსია

„ფიორენტინამ“ „ვალენსიასთან“ შეხვედრის წინ, სერია A-ში ხასიათი გამოიკეთა — პარმაში გაიმარჯვეს 4:0. სხვა მხრივ კი ზამთარი ფლორენციელთათვის ერთობ უგემური გამოდგა, გუნდი ცხრილის შუაში ჩაცურდა, ხოლო გამოცდილი მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მომავალს გვერდით დიდი კითხვის ნიშანი მიუჯდა.

და აი, როგორც იქნა, საქმე სასიკეთოდ შემოტრიალდა და გუნდმა გააკეთა იგივე, რაც დეკემბერში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ — გაიმარჯვა.

იუგოსლაველმა თავდამსხმელმა, პრედრაგ მიატოვიჩმა, რომელიც ტრავმის გამო სამი თვის განმავლობაში არ თამაშობდა, „პარმასთან“ მიზანი გაისწორა და ახლა „ვალენსიასთან“ თვისებებაღდგენილი ითამაშებს.

„ჩვენ მაღალი კლასის გუნდი ვართ, მაგრამ, ერთიხანობა, რაღაც ხელიდან გვქონდა გაშვებული, კერძოდ კი ერთსულოვნება და მეგობრობა, რაც თანამედროვე ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ კარგი, ბოლო ტურში ისევ აღვიდგინეთ ძალები. ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან როგორც იტალიის პირველობაზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში საქმე კარგად წაგვივა“ — თქვა მან.

„მიატოვიჩს ყველანი კარგად ვიცნობთ და ისიც მოფიქრებული გვაქვს, როგორ შევაჩეროთ იგი და მთელი „ფიორენტინა“ — განაცხადა ესპანელთა ცნობილმა მეკარემ სანტიაგო კანისარესმა.

გაფრთხილებულნი

ფიორენტინა: ადანი (2), დი ლივიო (2), პადალინო (2), რუი კოშტა (2), ტოლდო (2), ბრესანი, ფირიკანო, მიატოვიჩი, პიერინი, როსიტო, ტორიჩელი
ვალენსია: ჯუკიჩი (2), კარბონი, ფარინოსი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი, პალოპი, პელეგრინო, ხუან სანჩესი, სორია

დისკვალიფიცირებულნი

ფიორენტინა: არავინ
ვალენსია: მენდიეტა (1 მატჩი)

REUTERS მანჩესტერიდან



გუშინ საღამოს „ბორდომ“ „ოლდ ტრეფორდზე“ ივარჯიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხჯერ ოთხი: დინამოს სიხარული

თბილისი
29 თებერვალი
15 საათი
ეროვნული
8 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:0 ტორპედო**

1:0 წიტაიშვილი (17)
დინამო: გრიშიკაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე (რუხაძე 89), დათუაძე (ანჩაბაძე 80), წიტაიშვილი (ხუციშვილი 90), სიჭინავა, ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, გუჩუა, შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; მიქაძე, გ. შენგელია, ო. გველესიანი
ტორპედო: ჭანტურია, იონანიძე, მახვილაძე (ასათიანი 23), მაღლაკელიძე (ბობოხიძე 76), კვეტენაძე, მეგრელაძე, ჩხეტიანი, ახვლედიანი, იმედაძე (დ. ჯანაშია 65), ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, თურმანიძე
გაფრთხილება: გუჩუა (37), სახვაძე (41), ვაშაკიძე (79)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

კონსტანტინე გოგიშვილი

დამთხვევა მოხდა გუშინ ეროვნულზე — თავისი ისტორიის მანძილზე მეოთხედ გათამაშებული საქართველოს სუპერთასი ოთხ წელიწადში ერთხელ აღსრულებულ თვესა და რიცხვში (29 თებერვალს) გათამაშდა და... ქართული ჯილდოებით ოფისგამოტენილ თბილისის „დინამოს" გადაეცა სამუდამო მფლობელობაში.

სუპერთასი თავისი მნიშვნელობით ვერც ჩემპიონობაზე, ვერც თასის მფლობელობაზე მაღლა ვერ დგას, მაგრამ 29 თებერვლის მატჩს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა — ერთმანეთს „დინამო" და „ტორპედო" ხვდებოდნენ. ეს კი, ბაში-აჩუკისა არ იყოს, არ გახლავთ ხუმრობა საქმე.

გუშინ „ეროვნულზე" დამსწრეთაგან ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ნამდვილ ბრძოლას იხილავდა — თქვენც არ მომიკვდეთ, ეს უფრო ბრძოლის იმიტაცია გახლდათ...

სიმართლე უნდა ითქვას — 29 თებერვლის შეხვედრაში ჩემპიონმა დაჯაბნა თასის მფლობელი. დინამოელები უფრო სწრაფ, მობილურ, ხისტ ფეხბურთს თამაშობდნენ და შედეგიც ისეთი მოიმკეს, როგორიც სურდათ.

აკი თქვა კიდეც „დინამოს" მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ მატჩის შემდეგ — მართალია, ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, მაგრამ ჩვენგან ვინც არ უნდა წავიდეს, „დინამო" „დინამოდ" რჩებაო.

ამ შეხვედრისთვის ჩემპიონმა ადრე წასულ აშვეთია — ალექსიძის დამრტყმელ დუეტთან ერთად ახლახან კრივოი როგსა და ვლადიკავკაზს გამგზავრებული ხიზანეიშვილი და ანჩაბაძეც მოისაკლისა — ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კორღალიძეს საფიქრალი მოემატებოდა, „დინამო" კი ფაქტობრივად თავისი ღერძის გარეშე რჩებოდა.

სრულიად საპირისპირო განწყობით შეხვდა სუპერთასს „ტორპედო" — გუნდმა შეკრებები ნაყოფიერად გამოიყენა, შემადგენლობაც თითქმის შეინარჩუნა (თუ ჯანაშიას მიკროტრავმას და გოგიაშვილის დაუგეგმავ მესამე „ყვითელს" არ ჩავთვლით), თუმცა...

შეკრებების ნაყოფიერება აწი თუ იჩენს თავს, არ ვიცით და სუპერფინალში „დინამოს" წინააღმდეგ მოთამაშე გუნდი ისე ჰგავდა ჩემპიონობისმაძიებელ და ამბიციურ „ტორპედოს", როგორც მონსერატ კაბალიე დენი დე ვიტოს — პირადად მე ასეთი დუნე და უნიათო „ტორპედო" კარგა ხანია, არ მიხილავს.

ვერაფერს გეტყვით, რას და როგორ გადაწყვეტენ ტორპედოელთა მესვეურები, მაგრამ ქუთათურთა მწვრთნელმა ყიფიანმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა — ახალი სისხლია საჭიროო...

ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ახლა კი უშუალოდ მატჩზეც.

„დინამომ" თავიდანვე შეუტია. სიმწვავისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მასიურად ნამდვილად უტევდა ჩემპიონი, ეგ იყო, დინამოელებს ნაჯაფი საჯარიმოს მისადგომებთან უწყდებოდათ. თასის მფლობელი აკადემიურად იგერიებდა მეტოქის გამოხდომებს და ჯიუტად ცდილობდა დაცვის სიღრმიდან დარტყმული ბურთებით მოემარაგებინა წინ გამწესებული მეგრელაძე და იმედაძე, რომლებიც, უნდა ითქვას, ნამდვილად ვერ ატარებდნენ თავიანთ საუკეთესო შეხვედრას.

„ტორპედოს" რომ მატჩის დებიუტი ჩაუვარდა, ამას მწვრთნელიც მიხვდა და მინდორზე მახვილაძის მაგიერ თითქმის ბავშვი ასათიანი შეუშვა, სწორადაც — მალხაზი „ტორპედოს" ლამის ერთადერთი ნათელი წერტილი იყო.

მას შემდეგ, რაც ალექსიძე — აშვეთიას მეგოლე დუეტი კარიერის ჭიუხებს შეუყვა, „დინამოს" თავდასხმის მთელი სიმძიმე წიტაიშვილს დააწვა მხრებზე. კობაც საკმაოზე მეტად ეცადა, საკმაოზე ცოტა ხიფათი შეუქმნა ჭანტურიას კარს, ორჯერ ერთობ ეფექტურად დაარტყა, ერთხელ არანაკლებ ეფექტური გოლიც შეაგდო და...

მეტი არც დასჭირდა სუპერფინალის მოგებას.

რაც შეეხება „ტორპედოს" თავდასხმას, ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი იმედაძემ შექმნა — გიამ ჯარიმიდან კვეტენაძის დაგორებულს მოსცხო მარჯვენა და გრიშიკაშვილის კარის ძელი შეაზანზარა. ეს იყო და ეს.

სხვა საგოლეები კი, რომელიც ქუთაისელებს შეექმნათ, მათ შემტევებზე მეტად თბილისელთა მეკარის გარჯის შედეგი გახლდათ — გრიშიკაშვილი სამიოდეჯერ შეცდა გამოსვლებზე და ყველა ამ შეცდომას შეიძლებოდა გოლი მოჰყოლოდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი მომენტი კი ახალგაზრდა ბობოხიძეს გრიშიკაშვილმა შეუქმნა მას შემდეგ, რაც ბურთი ხელებში გაუძვრა და ერთი მცველისა და ცარიელი კარის ამარა დატოვა. ეტყობა, ბობოხიძეზე მოულოდნელობის ფაქტორმა იმოქმედა და სანამ ბურთის გასწორება მოახერხა, აართვეს კიდეც.

ეს საგოლე მომენტებზე და ახლა ტაქტიკაზეც. თვალსაჩინო მხოლოდ დინამოელთა ტაქტიკა იყო — ჩემპიონები ბურთის ჯგუფურ ართმევაზე მუშაობდნენ, მაქსიმალურად უზღუდავდნენ სივრცეებს მეტოქეს და მშვენივრად იყენებდნენ მარცხენა ფრთაზე არჩილ სახვაძის უდავო უპირატესობას ქუთაისელ ახვლედიანზე. „ტორპედოს" კარში შექმნილი თითქმის ყველა სახიფათო მომენტი ფრთაზე სახვაძის გარღვევას მოჰყვა.

შეხვედრის მიწურულს ერთხელაც გაიბრძოლეს ქუთაისელებმა. სამიოდე კუთხური, ორი ჯარიმა, საჯარიმოში ჩაკიდებულები მათ აქტიურობაზე კი მიუთითებდა, მაგრამ გოლამდე საქმე არაფრით მივიდა.

ოთხი წუთი დაამატა შეხვედრის არბიტრმა ძირითად დროს, მაგრამ ამან ვერაფერი შეცვალა ვერც თამაშში, ვერც ანგარიშში, მით უმეტეს, „დინამოელთა" მწვრთნელმა მინდორზე ანჩაბაძე შეუშვა, რომელსაც ბურთის დამალვა ჩელენტანოზე მეტად ეხერხება.

ის ოთხი წუთი ზუსტად ოთხ წუთში გავიდა და დინამოელებმაც ქუდი ჭერსა ჰკრეს.

სუპერთასი და სფფ-ის დაწესებული 5000 ლარი თბილისის „დინამომ" დაიბევა.



ოთარ კორღალიძის პირველი ჯილდო „დინამოსთან" ერთად

ბადრი ქეთიაშვილის ფოტო

## მატჩის შემდეგ

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოცხადდა. დავით ყიფიანმა დიდსულოვნად მიულოცა ოთარ კორღალიძეს სუპერთასის „დინამოს" მუდმივ მფლობელობაში გადასვლა და ტრადიციული კითხვა-პასუხის ჯერიც დადგა.

*დავით ყიფიანი:* „საშემსრულებლო ოსტატობა ორივე გუნდის ფეხბურთელებს დასახვეწი აქვთ, მაგრამ სეზონი ჯერ არ განახლებულა და ამ მხრივ ალბათ გარკვეულ სასიკეთო ცვლილებებს უნდა ველოდოთ. „დინამომ" ტაქტიკურად სწორად ითამაშა. მატჩის წინ ფაქტობრივად გამოცნობილი გვქონდა მოწინააღმდეგის შემადგენლობა, მაგრამ..."

*ოთარ კორღალიძე:* „მატჩს დაძაბულობა არ აკლდა, მაგრამ ხარისხი იყო დაბალი. ამას მეც იმ ფაქტორს მივაწერ, რომ ორივე გუნდი ახალი დაბრუნებულია უცხოური შეკრებებიდან. მატჩმა ცხადყო, რომ მეორე წრე დაძაბული და საინტერესო იქნება. კარგი გუნდია „ტორპედო", მომეწონა მისი წინა ხაზი, ჩვენ კი კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ვინც არ უნდა წავიდეს, „დინამო" მაინც „დინამოდ" დარჩება."

*— შეიცვლებოდა, მატჩი თბილისის ნაცვლად ქუთაისში რომ გამართულიყო?*

*დავით ყიფიანი:* „სხვა მაყურებელი იჯდებოდა ტრიბუნაზე... ქუთაისში შარშან უამინდობის გამო არ შედგა მატჩი, დასავლეთში ახლაც თოვდა. მინდორზე სულ ახალახან დაითესა ბალახი და დღეს რომ იქ გვეთამაშა, ოც წუთში მოედანზე მხოლოდ ტალახის გროვა დარჩებოდა."

*— რა გავლენას მოახდენს ამ მატჩის შედეგი „დინამო" — „ტორპედოს" შემდგომ დაპირისპირებაზე?*

დავით ყიფიანი: „ბრძოლა არ არის დამთავრებული, მაგრამ ფაქტია, ამ გამარჯვებით „დინამომ" ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა."

ჟურნალისტები ყიფიანს გოგიაშვილის უთამაშებლობაზე და „დინამოს" რიგებში ალანიელი ანჩაბაძის გამოჩენაზეც დაეკითხნენ.

„ჩვენ ფედერაციიდან დაგვირეკეს და გაგვაფრთხილეს, რომ გოგიაშვილს დისკვალიფიკაციის გამო ეს მატჩი უნდა გამოეტოვებინა, როგორც ჩანს, ამას სუპერთასის დებულება ითვალისწინებს და ალბათ მასში ისიც წერია, რომ გუნდს უფლება აქვს, სხვა კლუბიდან მოიწვიოს ფეხბურთელი, ათამაშოს იგი და შემდეგ ისევ უკან გააბრუნოს."

ოთარ კორღალიძემ „დინამოს" გამარჯვების მთავარ ფაქტორზე ეს გვითხრა:

„ყველა ვხედავთ, რომ არ გვყავს მაღალი დონის შემსრულებლები. ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რომ ეს ხარვეზი რაღაცით უნდა შევავსოთ. უპირველესი საშუალება ამ დროს კოლექტიური თამაშია. როგორც ნახეთ, ამან გაგვიმართლა. ბიჭებმა ღირსეულად გაართვეს თავი დავალებას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბურთის კოლექტიურ წართმევაზეც. მოკლედ, სამუშაო ბევრია, მაგრამ მომავლის იმედიც მაქვს..."

თავის გუნდის თამაში დავით ყიფიანმაც შეაფასა: „ბოლო ორი თვის განმავლობაში „ტორპედომ" ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს იონანიძის, ხვადაგიანის და ჯანაშიას სუსტი თამაში. მათგან გაცილებით მეტს ველოდი. დიდი დაფიქრებაა საჭირო, შესაძლოა, ჩემპიონატის მეორე ეტაპის დასაწყისში რადიკალურ ზომებს მივმართო რამდენიმე ფეხბურთელთან დაკავშირებით, ვგრძნობ, გუნდში ახალი სისხლის გადასხმაა საჭირო."

ბოლოს დავით ყიფიანმა ქართული ფეხბურთის ძირეულ პრობლემებზეც ისაუბრა: „დღეს საქართველო მაღალი დონის ფეხბურთელების დეფიციტს განიცდის. ამიტომ ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ფეხბურთს. წარსულ წარმატებებზე ლაპარაკი საკმარისია. ჩვენი ფეხბურთელები ყოველთვის ტექნიკურები იყვნენ, დღეს კი რა ხდება? ქართველმა მცველებმა ბურთის გაჩერება არ იციან... სანამ ეროვნულ ნაკრებში 60-70 პროცენტი ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული ფეხბურთელები არ ითამაშებენ, არაფერი გამოვა."

პაატა კვანტალიანი



ტორპედოელმა მალხაზ ასათიანმა „დინამოს" კაპიტან გივი დიდავას დარტყმა დაასწრო

ბადრი ქეთიაშვილის ფოტო

# საქართველოს თასი
# მერვედფინალი

# კარნევალეს ნაბიჯი

ბათუმი
29 თებერვალი
15 საათი
დინამო
2000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 2:0 გორდა**

1:0, 2:0 ხომერიკი (9, 68)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი (სიდამონიძე 78), კობიძე, გელა ქორიძე, ხომერიკი, თარგამაძე (ღლონტი 63), აფხაზავა (მაჭუტაძე 55)
*სათადარიგონი:* ჩლაიძე, პეტრიაშვილი, ი. მახარაძე, თედორაძე
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე (მ. სახვაძე 82), ბურნაძე, პატარიძე (მიშველაძე 81), გაბელაია, ჯ. ალადაშვილი, მელაძე, დ. ბერიძე, ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), ლაბაძე, ბექაური
*სათადარიგონი:* გონგაძე; ლ. კაპანაძე
**გაფრთხილება:** პატარიძე (34), სიდამონიძე (87)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი), ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

**წლეულს** დიდი გეგმები აქვს „ბათუმს“ — ჩემპიონობა ამოუჩრია გულში. ქართული „სკუდეტოს“ მოპოვებაზე ჯანი კარნევალეც ბევრს ლაპარაკობს. ვნახოთ, აისრულებენ თუ არა დანაქადნებს ზღვისპირელები. ჩემპიონობა ჩემპიონობად და ბუნებრივია, თასის ალებაც შედის მათ გეგმებში. ესეც გასაგებია. „ბათუმმა“ ხომ სათასო გუნდის სახელი კარგა ხანია, დაიგდო. ჰოდა, წლეულსაც ეცდება ამ იმიჯის შენარჩუნებას. ასე რომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ — „გორდას“ ძლევით კარნევალეს „ბათუმმა“ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა.

ეროვნულ ჩემპიონატზე რა მოგახსენოთ და გუშინდელ მეტოქეების ადრინდელი სათასო ბატალიები ყოველთვის დაძაბულ ხასიათს ატარებდა. თუმცა ამჯერად ნაღდად ვერ იტყოდა კაცი, რომ „ბათუმი“ აშკარად სჯობდა კილასონიების გარეშე დარჩენილ „გორდას“.

რუსთაველებს ამ მატჩის გადადება გულით ეწადათ, მაგრამ არაფრით გამოუვიდათ. სფფ-მ უარი სტკიცა და რაღა დარჩენოდათ შესუსტებული შემადგენლობით უნდა გასძალიანებოდნენ ძლიერ მეტოქეს. ოღონდ სანუგეშო და იმედისმომცემი ის იყო, რომ ამ თამაშამდე ორიოდე დღით ადრე „გორდას“ ახალი მფარველები გამოუჩნდნენ. ეს კი გარკვეულწილად ზურგს გაუმაგრებდა.

კარნევალემ ჩვეული 3-5-2 სათამაშო სქემა ირჩია, რომელშიც ორი ახალწვეული ვიხილეთ და ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ლევან ხომერიკი კი სულაც საუკეთესო იყო და დაბრუნება დუბლით აღნიშნა. თარგამაძემაც დაგვამახსოვრა თავი და ერთი ორჯერ ქომაგთა ოვაციებიც კი დაიმსახურა.

თამაში საკმაოდ უინტერესოდ დაიწყო, მაგრამ გოლი მაინც სწრაფი გამოდგა. მეცხრე წუთი იწურებოდა, როცა მალხაზ მახარაძემ გონივრული პასით ხომერიკი მოძებნა. მცველები თამაშგარეს გაკეთების მცდელობაში ჩაიჭრნენ და ზღვისპირელთა მოიერიშე ბედიაშვილს შეატოვეს. ლევან ხომერიკმა თავისი საქმე უნაკლოდ შეასრულა და მეკარის მოტყუების შემდეგ კარიც უპრობლემოდ დალაშქრა.



კახა კობიძე (№7) ლევან ხომერიკს „ბათუმში“ დუბლით დაბრუნებას ულოცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიდან მხოლოდ ათი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა „ბათუმის“ ეიფორია, დროის ამ მცირე მონაკვეთში მინიმუმ სამი გოლის გატანა შეეძლოთ მასპინძლებს, თუმც ვერ შეძლეს.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში თვალსასეირო არაფერი მომხდარა. მეორეს დასაწყისს რუსთაველთა ოდნავი გააქტიურება მოჰყვა. კარნევალემ თავისი გუნდის თამაშში კორექტივები მალე შეიტანა. აფხაზავას, რომელიც ინერტულად ირჯებოდა, გამოცდილი მაჭუტაძე შეუნაცვლეს. იგი უმალ ჩაერთო თამაშში და კობიძის კუთხურს სახიფათო თავურიც შეაგება. ბედიაშვილმა ამ ეპიზოდში იმარჯვა, მაგრამ ერთ წუთში ხუთიოდ მეტრიდან ხომერიკის თავით დარტყმულს ნამდვილად ველარაფერს მოუხერხებდა. ბედად ბურთმა საინტიმეტრებში ჩაუქროლა მარცხენა ძელს.

ხომერიკმა მაინც თავისი გაიტანა — ამირან მუჯირმა საჯარიმოს მისადგომებიდან არც თუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად დაარტყა. ბურთი ძელმა აისხლიტა და დამატებულზე ხომერიკი გამოირჩა. მის დარტყმულს ამჯერად ხარიხა კი დაუხვდა, მაგრამ ზედ კარის ხაზიდან ველარ გაიტანდა?

ბოლო წუთებში „გორდა“ ამ ანგარიშზე რომ ყაბულს იყო, ერთმა ფაქტმაც ცხადყო. იასონ ალადაშვილმა ერთ წუთში ორი მოთამაშე შეცვალა მაშინ, როცა ამის გაკეთება და დროის მოგება ერთბაშად ორმაგი შეცვლით შეეძლო.

შეძლებს კი „გორდა“ ამ ორბურთიანი უპირატესობის დაძლევას? სიმართლე გითხრათ, ძალიან გაუჭირდება.

# ისტორია მეორდება?

თერჯოლა
29 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
400 (ტევადობა 5 000)

**მარგვეთი 0:2 სამგურალი**

0:1 სუხიაშვილი (37), 0:2 ძაგნიძე (72)
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, ბოჭორიშვილი (ჯღარკავა 55), ორბელაძე, გაბრიჭიძე, მ. ღონღაძე, სულაკაძე, ჩხეტია (გიორგი ლანჩავა 74), მ. მუმლაძე, კირკიტაძე, გ. სამხარაძე, ენდელაძე
*სათადარიგონი:* ბ. შეყრილაძე; შველიძე, თ. ლანჩავა, გელხვიიძე, წიქარიშვილი
**სამგურალი:** სტურუა, ზურაბიანი, ჩხაბერიძე, სადილიანი, ფუტკარაძე (ნებიერიძე 80), ძაგნიძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ფრანგიშვილი, ზ. ქუთათელაძე, შ. ღონღაძე
*სათადარიგო:* ბოდოკია
**გაფრთხილება:** ჩხაბერიძე (18), სამხარაძე (18), სადილიანი (58)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); თ. ლაცაბიძე (სურამი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. შილაკაძე

**იუზა კაციტაძე** თერჯოლიდან

**რატომ** თერჯოლაში და არა ზესტაფონში ეს თამაში, უთუოდ იკითხავს საქმეში ჩაუხედავი კაცი. არადა, ამაში გასაკვირი არაფერია. რეგიონალური ლიგის დასავლეთის „ა“ ზონის ერთპიროვნული ლიდერი „მარგვეთი“ ხომ კარგა ხანია მეზობელი რაიცენტრის სტადიონზე ატარებს საშინაო თამაშებს. მიზეზსაც გეტყვით. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ფეროშენადნობთა ქარხანასთან საფეხბურთო კლუბი „მეტალურგი“ ჩამოყალიბდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, ზესტაფონის მთავარი სტადიონიც ამავე საწარმომ მიითვისა, მარგველებს ამ არენას აღარ აკარებენ. თუმცა სჯაბაასი თუ დავიდარაბა ახლაც მიდის. ზესტაფონელები, ალბათ, სულ მალე გაარკვევენ, ბოლო-ბოლო ვის მფლობელობაში დარჩება სტადიონი (მასზე პრეტენზიას ქალაქის მუნიციპალიტეტიც აცხადებს). ვნახოთ, ეს მომავლის საქმეა. გუშინდელ თამაშს რაც შეეხება, მის ზესტაფონში გამართვას „მარგვეთს“ თვით ადგილობრივი პარლამენტარიც დაჰპირებია. როგორც აღმოჩნდა, ამაოდ. სტადიონის დირექციამ, აქაოდა მოედნის საფარი არ გაფუჭდესო, ამჯერადაც თერჯოლისკენ გაისტუმრა გუნდი.

აქ კი რა? იმერელ თასის მერვედფინალისტებს მოედნის დანახვისთანავე წაუხდათ ხასიათი. აბა, როგორ, ვის უნდოდა ოღროჩოღრო, დაჭაობებულ, გუბეებით სავსე მინდორზე ბურთაობა. თუმცა, სხვა რა გზა იყო და...

მატჩის დაწყებამდე მარგველებს ყველაზე მეტად თავიანთი ლიდერის, დისკვალიფიცირებული გეწაძის არყოფნა ადარდებდათ, მაგრამ გაცილებით მეტი საწუწუნო წყალტუბოელებს ჰქონდათ, მათ ერთბათად ათი (!?) ფეხბურთელი მოისაკლისეს, აქედან ხუთი სათასო წესების, ერთი ტრავმის, ერთი დისკვალიფიკაციის და სამიც სატრანსფერო საკითხების მოუგვარებლობის გამო.

ასე იყო თუ ისე, თამაში გაჩაღდა. თამაშს ვამბობთ, თორემ მყისვე ატალახებულ მინდორზე მობურთალთა ქცევა უფრო ბრძოლა-ჭიდავს ჰგავდა. ორივე გუნდი მხოლოდ ბურთის მოგერიებაზე ზრუნავდა. მოთამაშეებს მისი დამორჩილება კი არა, გადაადგილებაც უჭირდათ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძალისმიერმა თამაშმა გასახსენებლად სულ რამდენიმე ეპიზოდი დაგვიტოვა — ორი პირველ და ამდენივე მეორე ტაიმში.

მე-17 წუთზე „სამგურალის“ კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. ენდელაძემ 20 მეტრიდან სახიფათოდ დაარტყა დაბალ კუთხეში, მაგრამ სტურუამ იყოჩაღა, ბურთს ნახტომში გადაეფარა. ზუსტად ოც წუთში კი წყალტუბოელთა იერიშს გოლი მოჰყვა. მცველმა ზურაბიანმა მარჯვნიდან „მარგვეთის“ საჯარიმოს წინ ქუთათელაძის მისამართით გააკეთა გადაცემა. სტუმართა ეულმა და, უნდა ითქვას, საკმაოდ აქტიურმა ფორვარდმა გამჭრიახობა გამოიჩინა, ბურთს არ გაეკარა, მის უკან მყოფ სუხიაშვილს დაუთმო და გიორგიმაც შეასრულა, თითქმის საჯარიმოს კუთხიდან მოხდენილი დარტყმით კარიდან ოდნავ წინ გამოსულ მერკვილიშვილს თავზე გადაუტარა ბურთი და ანგარიშიც გახსნა.

თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთში წყალტუბოელმა შალვა ღონღაძემ ჯარიმიდან დააფრთხო ზესტაფონელები, მაგრამ მათ იღბლად, ოდნავ ააცილა მიზანს. მერე მარგველებმა ტემპს უმატეს. ბევრი სამუშაოც გაუჩინეს სტუმართა დაცვას, მაგრამ ქაოტურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. წყალტუბოელები დინჯად იგერიებდნენ იერიშებს და ამასთან მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერას ცდილობდნენ. ასეც მოხდა. 72-ე წუთზე „სამგურალი“ ორი ბურთით დაწინაურდა. სუხიაშვილი გაიჭრა ზესტაფონელთა ნახევარზე და მარცხნიდან ზუსტი დიაგონალური გადაცემით ძაგნიძე გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე. გელამაც ივარგა. საჯარიმოში ჯერ მცველს დაუსხლტდა და ასე 12 მეტრიდან უნაკლოდაც დაარტყა.

წყალტუბოელებმა დამაჯერებლად იმარჯვეს სტუმრად. ნაკლებსავარაუდოა, „სამგურალმა“ ორბურთიანი უპირატესობა საპასუხო მატჩში გაფლანგოს. ვიგულისხმოთ, წყალტუბოელები მეოთხედფინალში არიან. თუ გახსოვთ, შარშანაც ასე იყო. მეოთხედფინალი, მერე ნახევარფინალი, ფინალი... ხომ არ განმეორდება ისტორია?

ლანჩხუთი
29 თებერვალი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
350 (ტევადობა 22 000)

**კოლხეთი 1:0 მერანი**

1:0 დავითნიძე (35)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, ფანჩულიძე, შალამბერიძე, დავითნიძე (მ. ქობულაძე 48), ღლანიძე, კედელაშვილი, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (შავგულიძე 76)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ანჯაფარიძე, გ. ჩიტაია, კვირკველია
**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, პ. ლურსმანაშვილი (ბოლქვაძე 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. ილურიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, დ. ჯიშკარიანი (კოშკაძე 80), თოლორდავა, ჭინჭარაული (ა. ხორხელი 80)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჩანადირი
**გაფრთხილება:** შალამბერიძე (5), კვეტენაძე (28), ცქიფურიშვილი (41), კედელაშვილი (74)
**გაძევება:** შალამბერიძე (6)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**გუშინ** „კოლხეთმა“ საქართველოს თასის მერვედფინალის პირველ მატჩში თბილისის „მერანს“ ლანჩხუთში უმასპინძლა და მცველ გიორგი დავითნიძის 35-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 დაამარცხა.

ფოთელთათვის მატჩის საწყისი ექვსი წუთი კოშმარული გამოდგა. სოხუმელმა არბიტრმა დავით სანაიამ ჯონი შალამბერიძე სიტყვიერი შელაპარაკებისთვის ჯერ გააფრთხილა, შემდეგ კი გააძევა.

ათკაციანი „კოლხეთი“ არ გამტყდარა, საგოლე მომენტებიც უხვად შეუქმნა, თუმცა მხოლოდ ერთით დაკმაყოფილდა.

გუშინვე „კოლხეთის“ მწვრთნელ გია ტყებუჩავას დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: „მადლობა ბიჭებს, რომლებმაც გამარჯვებისთვის არაფერი დაიშურეს. რაც შეეხება შალამბერიძეს, მასთან ჯერ არ მისაუბრია, თუმცა ვიცი, ჯონი თავად გრძნობს დანაშაულს.“

თბილისი
25 თებერვალი
15 საათი
ისანი
500 (ტევადობა 3 000)

**აკადემია 0:5 ტორპედო**

0:1, 0:2 იონანიძე (28, 44), 0:3 მეგრელაძე (45), 0:4 ბობოხიძე (63), 0:5 ჩხეტიანი (69)

თბილისი
25 თებერვალი
15 საათი
დინამოს
დილმის ბაზა
100

**დინამო 6:0 გურია**

1:0 წიტაიშვილი (39), 2:0 ვაშაკიძე (48), 3:0 წიტაიშვილი (52), 4:0 ვაშაკიძე (62), წიტაიშვილი (72), 6:0 ჯინჭარაძე (85)

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
ლოკომოტივის
დიღმის ბაზა
300

**ლოკომოტივი 1:1 თბილისი**

1:0 ქიქვეიშვილი (61), 1:1 ბურდული (713)

მცხეთა
28 თებერვალი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:1 თსუ**

0:1 ერაძე (71), 1:1 ხაჭაპურიძე (89)

გორი
28 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:0 ზოოვეტი**

1:0 ხორგუაშვილი (38), 2:0 არუთინიანი (45), 3:0 ხორგუაშვილი (52)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფოთი არის სამეგრელო?

24 თებერვალს ზუგდიდს თბილისიდან საპატიო სტუმრები ეწვიენ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ხშირად არ ჩამოდიან და იმ დღეს მთელი სამეგრელოს საფეხბურთო სამყარო ზუგდიდში შეიკრიბა.

კრებას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრები, რეგიონში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები, საფეხბურთო სკოლებისა და სპორტსკოლების დირექტორები, რეგიონის ყველა რანგის საფეხბურთო გუნდების მწვრთნელები, ფეხბურთში მომუშავე სხვა სპეციალისტები.

დღის წესრიგში ორი საკითხი იყო: 1. ინფორმაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაფუძნებიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ; 2. რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა.

პირველი საკითხის შესახებ კარგა ხანს ილაპარაკა აწ უკვე პრეზიდენტ-ყოფილმა ოთარ ჭითანავამ: თავმოსაწონი და ანგარიშჩასაბარებელი რომ არაფერი გვაქვს, კარგად მოგეხსენებათ და შეკრებილებმა წარსულზე საუბრითღა მოიოხეს გული. გაიხსენეს, თუ რამდენი კარგი ფეხბურთელი აღზრდილა სამეგრელოში. ეს იყო და ეს.

მეორე საკითხიც იოლად გავიდა. რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ყოფილი ფეხბურთელი გელა ინალიშვილი აირჩიეს. ახალგაზრდა და საფეხბურთო საქმეებში ჩახედული პიროვნების პრეზიდენტად მოსვლა ბევრს გაეხარდა და ერთხმად მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ უფრო კონკრეტულ პრობლემებზე ითქვა. რაც უფრო მტკივნეული, გასათვალისწინებელია და რაზეც თვალის დახუჭვა არაფერს გვარგებს.

პირველ ყოვლისა ბავშვთა ფეხბურთზე ისაუბრეს. ასეა თუ ისე, როგორც ჩვენს პირობებს შეეფერება, არსებობენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლები. მუშაობენ მწვრთნელები, ზრდიან ბავშვებს და... ამის მერე იწყება ის, რამაც შეიძლება რეგიონებში ფეხბურთი ჩაკლას.

კლუბ „ლაზიკას" პრეზიდენტი სწორედ ამაზე წუხდა. მან კონკრეტული ფაქტები დაასახელა. აღზრდიან ბავშვს, ასწავლიან თამაშს, გაიყვანენ ასპარეზზე, გამოიძახებენ ნაკრებში მოზარდს... და მერე, მშობელი მივა, ხელს დაავლებს ბავშვს და ჰერი... უკვე თბილისში, რომელიმე ბავშვთა გუნდში გადაიყვანს. რა კონტრაქტი, რის კონტრაქტი, ყოფილი კლუბი თეთრსაც კი ვერ იღებს. ასე თუ გაგრძელდა, ვერ ვიმუშავებთო, ერთხმად აღნიშნეს ბავშვთა კლუბების მესვეურებმა.

რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა ჯემალ გოგიამ მთელი რეგიონის სახელით კიდევ ერთხელ დასვა საკითხი მეორე ლიგის სტრუქტურის შეცვლის შესახებ, ოღონდ ამჯერად რეგიონალური ლიგიდან გამსვლელი 2-ის ნაცვლად 6-6 გუნდის გასვლა მოითხოვა, შესაბამისად, 28 კლუბის ორ 14-გუნდიან ზონად დაყოფა.

აღნიშნულ საკითხზე მერაბ ჟორდანიას პასუხი არაორაზროვანი იყო. გადაწყვეტილება მიღებულია, გუნდების მომატება არაფერს მოგვცემს, უმჯობესია, 3-4 სუსტი გუნდის ნაცვლად ერთი კარგი კლუბი გააკეთოთ და ასე გახვიდეთ პირველ ლიგაშიო.

ითქვა „ხობის" შესახებაც. კიდევ ერთხელ დაგმეს პირველი წრის ბოლოს მომხდარი ინციდენტი. ამნისტიაც ითხოვეს. ზოგმა მთლიანი, ზოგმა ნაწილობრივი, მაგრამ პრეზიდენტმა, რაც ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მე ვერ გადავწყვეტ, სტკ-მ უნდა განსაჯოს ყველაფერიო.

ხობის გამგებელმა ანგული მიქავამ, თუ შინ თამაშის ნებას არ მოგვცემთ, თავს არ მოვიკლავთ, ისედაც ვიბრძოლებთ ლიგაში დარჩენისთვისო...

ბოლოს კი ჯემალ გოგიამ კითხვით მიმართა პრეზიდენტს: „ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გაგვარკვიოთ, ქალაქ ფოთის ფეხბურთის ფედერაცია არის თუ არა სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტი, როგორც ეს დღემდე იყო?"

მერაბ ჟორდანიას პასუხი არ გაუცია.

კითხვა თითქოს უადგილოდ დაისვა, რადგან კრებას ფოთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და აქტიურად მუშაობდნენ, რეგიონის ფეხბურთის განვითარების გეგმებზე საუბრობდნენ. მაგრამ რა ვუყოთ ერთ ყურადსაღებ ფაქტს? ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებულ ბიულეტენში „ქართული ფეხბურთი" (ნოემბერი — დეკემბერი 1999, გვ. 4) წარმოდგენილია „სფფ-ს საორგანიზაციო სტრუქტურა", სადაც ფეხბურთის ფედერაციები ტერიტორიულადაა დაყოფილი. სულ თორმეტი ტერიტორიული ერთეულია, მათ შორის ფოთი ცალკე სტრუქტურულ ერთეულადაა გამოყოფილი. საინტერესოა, ფოთი არის სამეგრელო?

**თენგიზ ქოჩუა**
**ზუგდიდიდან**



გელა ინალიშვილი

# სამუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე,სტურუა(სამგურალი),ვ. მაისურაძე(თბილისი),კ. ჯანაშია(იბერია) | თავბერიძე (ინტერი) | ქოიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინიკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტსპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი) 3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი) 1:2,ყაზახეთი 2:2,დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3,სპარტაკი (ვარნა,ბულგარეთი) 1:3,სამგურალი4:0 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია,ანჩაბაძე(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი), ზირაქიშვილი(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),ხომერიკი,ლლონტი(ბათუმი),თ. კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ვ. გიგიაძე,ს. გიგიაძე(ანჟი,რუსეთი),ხიზანეიშვილი(კრივბასი,უკრაინა) | ქემოკლიძე,ო. გველესიანი,რუხაძე,გ.ვ. მიქაძე,ა. ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერ სიტი,ინგლისი), რ. არველაძე(ობერჰაუზენი,გერმანია),ხუციშვილი(შერიფი,მოლდოვა), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2,ლოკომოტივი 1:2,საქართველოU21 2:2,ცაგ დინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარზობი(ტაჯიკეთი)3:5,ირტიშპავლოდარ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია); ჭოხონელიძე (ზიოვეტი), მელაძე (გორდა),ბულუხია,გ. გიორგაძე(თამაში მიატოვეს) | მ. ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ. ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ. ჩხენკელი(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),დ. კვირკველია,კრასოვსკი(კოლხეთი 2),რ. ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი) | ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეველი* | პაპიძე, გადელია(თბილისი),კანტიძე(თამაში მიატოვა),უვაკვე(?) | ხომერიკი,ლლონტი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),სიდამონიძე (სიონი) | რეშიცა(რუმინეთი)1:2,არეცო(იტალია)3:1,სტიაუა(რუმინეთი) 3:4,არჯეში(რუმინეთი)1:2,ზაგლებიე(პოლონეთი) 4:1,ვისლა (პოლონეთი)3:2,თსუ 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი,ბარქაია(თსუ),ა. ბოკერია(სიონი) | ლ. მელქაძე(თბილისი),ი. ხაჭაპურიძე(სამგურალი),თ. კობიაშვილი(დინამო) | ზიოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველოU21 1:0,არსენალი 2:1,ფენერბახჩე(თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოვდორფელი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ქაბუკიანი 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო),დ. გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ. მინდიაშვილი,ი. ნადირაძე (არსენალი), ლ. გაგუა (ლკს, ლოძი, პოლონეთი), სიდამონიძე (ბათუმი) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ. შენგელია(ივერია),კ. გოგოლაძე (ერევანი,სომხეთი),ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია) | ვიტ ჯორჯია 0:1,არსენალი 1:1, 1:3,გორდა 1:1,0:0, ზიოვეტი 8:2, თბილისი4:1 |
| **დილა** *მერაბ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია(კოლხეთი),თაყაძე(შერიფი,მოლდოვა),მარლიშვილი,მატაკიშვილი(?) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1,ლოკომოტივი 3:1,თსუ 0:0,თბილისი 0:2, 1:0, მერანი0:0,0:5,არსენალი 1:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი,უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა),დარსაძე(სამგურალი),გ. ლურსმანაშვილი(ცხინვალი),ქველაძე(?) | გ. ნოზაძე,კ. ალანია(საუ),კ. ჯანაშია(ტორპედო) | სამგურალი 1:0,მარგვეთი 2:1,ჩკალოვეცი(რუსეთი)2:4 |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ოუკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი),დ. ჯანელიძე, ნივნივაძე(არსენალი),ჩომახიძე(ნივა, ტერნოპოლი,უკრაინა),კ. მელქაძე, ამაშუკელი(თბილისი),ნემსაძე(კრივბასი,უკრაინა),დოლაბერიძე,ბარნოვი, გოგიჩაიშვილი(?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია, აბრამიძე(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი(სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა(მერანი),ა. ჯელაძე(ალიტიპადი,საუდეთი),გ. გვაზავა(თსუ),ონიანი (ხობი),ნიკურაძე, გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დევდარიანი(ცხუმი),სალუქვაძე(გურია), გამცემლიძე(არ თამაშობდა) | დინამო2:1,დილა 1:3,მერანი2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი,რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი(მოლდოვა)0:2,ლადა ვაზ(ტოლიატი,რუსეთი) 1:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე(თორი), ლ. ალადაშვილი(აპოლონი, საბერძნეთი),გ. ხიზანიშვილი (აკადემია),თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ. ნიკლაური,სულაშვილი, ძებისაშვილი,ლ. კაპანაძე(ხალიბი),ლ. სილაგაძე(სკონტო 2,ლატვია),მელაძე(კოლხეთი),ბურნაძე, გ. კილასონია,შ. მეტრეველი,თ. მეტრეველი(არ თამაშობდნენ) | სიონი 1:1,0:0,ხალიბი4:3,3:2,2:0,ზიოვეტი2:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ნინუა(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),გ. გვაზავა(ლოკომოტივი),ჯობაძე (არსენალი),გ. ა. მიქაძე(აკადემია) | მაზიაშვილი,ბარქაია(ვიტ ჯორჯია),ებრალიძე(თბილისი),სულავა(ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6,ლოკომოტივი 0:1,2:2,ამირანი 1:0, ზიოვეტი 4:2,დილა0:0,ზუგდიდი6:1,ბათუმი2:1 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი),ბ. ამბიძე,ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი,რუსეთი) | კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე (ამირანი),გ. ილურიძე,აბულაძე(განთიადი), ბოლქვაძე(გურია),ა. ხორხელი,გ. კვეტენაძე,კობესაშვილი(არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია0:0,ლოკომოტივი2:2, 1:0,დინამო0:0, ქაბუკიანი 1:1,ცხუმი6:0,3:1,დილა0:0,5:0,ლოკომოტივი23:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე,ო. გველესიანი,რუხაძე,გ.ვ. მიქაძე,ა. ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე(ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ. მელქაძე(ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა(სკონტო,ლატვია),ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ), ზ. ხიზანიშვილი(კრივბასი,უკრაინა) | ვ. მაისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი 2),კოხრეიძე(სამგურალი),კ. მელქაძე,ამაშუკელი(ლოკომოტივი),გადელია(ბათუმი),ყუფარაძე,გონჩაროვი(არსენალი),გ. ლუდუშაური, თ. დოლიძე(არ თამაშობდნენ) | დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,ს.ა. იბერია0:0,ქაბუკიანი 3:1,აკადემია2:1,სიონი 1:4 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი (ბათუმი),კოხრეიძე(თბილისი),კოპალიანი(XXI საუკუნე) | ჩხაბერიძე,სტურუა(ტორპედო),გაბუნია(მეტალურგი),გ. ჯანელიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი(ლუჩი,ვლადივოსტოკი,რუსეთი),დარსაძე(იბერია),ვადაჭკორია,კვერნაძე,ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე,გ. გოგოლაძე(ინტერი) | ინტერი 8:0,გაგრა 5:1,ტორპედო 0:4,იბერია 0:1 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიქაბერიძე, ბაბუაძე,გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი,თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), დაუშვილი (სიონი), ყუფარაძე, გონჩაროვი (თბილისი), მ. მაისურაძე(?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა,ე. ალადაშვილი(მერანი),დ. ჯანელიძე,ნივნივაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი. კაპანაძე, ნ. მინდიაშვილი(სიონი),გ. ტულუში(ცხინვალი),ჯობაძე(თსუ),შუკაკიძე(ზიოვეტი);ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი 23:0,აკადემია 3:0, დილა 1:1,მეტალურგი4:0,ლოკომოტივი23:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# 18-წლამდელებს მოყვარულობაც შეუთავსეს



შოთა ჭეიშვილი

საქართველო გონებამახვილთა და საზრიანთა ქვეყანაა (თუმცა კავეენებზე არცთუ ხშირად ვიმარჯვებთ). უამრავი მაგალითი შეიძლება დაასახელო კაცმა, სადაც ქართველები უბრალოდ სხვებზე მაგრები ვართ.

ახლა კიდევ ერთ ქართულ ნოვაციაზე — ამიერიდან შოთა ჭეიშვილის საწყმსო თვრამეტწლამდელთა ნაკრები მოყვარულთა სტატუსსაც მიიღებს და ამით ერთბაშად ორ კურდღელს დაიჭერს — თანატოლებთან შეხვედრებს ხომ ითამაშებს და ითამაშებს, ზედაც სამოყვარულო ეგიდით გამართულ ტურნირებსაც დაურთავენ ბიჭები და ეს, სხვა თუ არაფერი, გამოცდილების დაგროვებაში შეუწყობთ ხელს.

ასე რომ, „დიდ არს გონება ქართული", ვინ იცის, მალე მიმბაძველებიც გამოგვიჩნდნენ.

ლუკა თალაკვაძე

# ყადაღა პრობლემა არ არის

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკება დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციასთან. შედეგი ბრწყინვალეა — სფფ-ს ანგარიშს ყადაღა მოეხსნა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ ჩვენი ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას ვალის დაფარვის საგანგებო გრაფიკი დაუწესა. დაწვრილებით ინფორმაციის ამ შეთანხმების შესახებ ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში" შემოგთავაზებთ. აქვე სფფ-ს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ერთ ინფორმაციაზეც მოგახსენებთ. გუშინწინ სახელმწიფო კანცელარიას ფედერაციის ჩინოვნიკები ესტუმრნენ. შეიქმნა 30-კაციანი საგანგებო კომისია, რომელიც დღეიდან „დინამოს" საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს შეისწავლის. ამ კომისიაში ცნობილ ფეხბურთელებთან და სფფ-ს თანამშრომლებთან ერთად სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებიც არიან.

პაატა ქვანტალიანი

# კილასონიების ერთი წუთი

ხორვატიაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი გამართა საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებმა. ჩვენებურები მეზობელ აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდნენ. მატჩი ქართველთათვის სასურველი სცენარით დაიწყო. ლევან ყიფიანის გაწვრთნილები დებიუტშივე დაწინაურდნენ, მაგრამ შემდგომ ჩვენსავით სამხრეთულ სტილში მოთამაშე აზერბაიჯანელებმა დაწინაურებაც შეძლეს. მატჩის ბოლო წუთისთვის ანგარიში 6:4 იყო მეტოქის სასარგებლოდ. ყიფიანიც ვა-ბანკზე წავიდა და მეკარე მოედნის მოთამაშით შეცვალა, ერთ წუთში კი ძმებმა კილასონიებმა პატარა საფეხბურთო სასწაული მოახდინეს — ჯერ ვარლამმა გაიტანა გიას პასით, შემდეგ კი ძმებმა როლები გაცვალეს და გია კილასონიას გოლმა მატჩის საბოლოო შედეგი — 6:6 დააფიქსირა. საქართველოს ნაკრებიდან დანარჩენი 4 გოლი ალიკ სარქისიანმა გაიტანა. ქვეჯგუფის მეორე მატჩში ჩეხებმა სუსტ ბერძნებს 10:3 სძლიეს.

მეორე შეხვედრაში საქართველოს ნაკრები გუშინ გვიან ღამით მასპინძელ ხორვატებს დაუპირისპირდა.

პაატა ქვანტალიანი

# პირველი ლიგა სენაკში

პარს მომდგარი საფეხბურთო გაზაფხულისთვის მზადება ეროვნული პირველობის მონაწილე გუნდებმა კარგა ხანია, დაიწყეს. ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზოგი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაემგზავრა და იქ გადის შეკრებას, ზოგიც აქ, ადგილობრივი ბაზებით ცდილობს ფონს გასვლას.

აუტსაიდერი ხობის „კოლხეთის" შესახებ ადრეც ვთქვით, გუნდის მწვრთნელები და ფეხბურთელები გაურკვევლობაში იყვნენ. ისინი მომავალს იმედით შეჰყურებდნენ და ელოდნენ, რას გადაწყვეტდა კლუბის ხელმძღვანელობა. გადასაწყვეტი კი მართლაც ბევრი იყო. უნდა მოგვარებულიყო ფინანსური საკითხები. მთავარი მწვრთნელის ადგილიც ვაკანტური გახლდათ. არც იმ ფეხბურთელთა ვინაობა იყო ცნობილი, ვინც „ხობში" დარჩებოდა და გუნდს პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა.

და აი, სეზონის განახლებამდე ორიოდე დღით ადრე კლავ გაურკვეველია „ხობის" ბედი. კლუბის ახლადანიშნული პრეზიდენტის, ენუქი თევზაძის თქმით, „ხობს" ფინანსურად ძალიან უჭირს, მაგრამ ადგილობრივი ძალებით მაინც ცდილობს მიზნის მიღწევას. გუნდი ფოთში ემზადება და რამდენიმე დღე, ალბათ, იქ დარჩება. გუნდიო, კი ვთქვით, მაგრამ იმ ფეხბურთელთაგან, ვინც პირველ წრეში „ხობის" მაისურით ასპარეზობდა, ნახევარი თუა ადგილზე. წავიდნენ არახობელი ფეხბურთელები და არავინ იცის, დაბრუნდებიან თუ არა. ის კი არა, ადგილობრივი ლევან გვაზავა და როინ ონიანიც აღარ ირიცხებიან კლუბში. ონიანი „ლოკომოტივში" გადაბარგდა, ლევან გვაზავა კი, ალბათ, „ზიმბრუში" გააგრძელებს კარიერას.

„ხობს" „ზიმბრუსაგან" გვაზავას საფასურად არაფერი მიუღია, კონტრაქტი არ ჰქონია ლევანს. ამით გვაზავამ და „ზიმბრუმ" კი მოიგეს, მაგრამ „ხობს" რა... გაჭირვებულს ქვა მიეწევაო, სწორედ ისე წავიდა „ხობის" საქმე.

ხობის გამგებელმა, ახლა უკვე კლუბის საპატიო პრეზიდენმა ანზორ მიქავამ თხოვნით მიმართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას, იქნებ სასჯელი შეგვიმსუბუქოთ და შინ ოთხი მატჩი მაინც გვათამაშოთო, მაგრამ ასე უცებ ეს საკითხი რომ არ გადაწყდება, ხობშიც იციან და მეორე წრისათვის თადარიგი დროულად დაიჭირეს. გადაწყდა, „ხობი" დისკვალიფიკაციის გამო შინ გასამართ შეხვედრებს სენაკში ჩაატარებს, რაც გუნდის რთულ მდგომარეობას სულ მთლად გამოუვალს ხდის.

თენგიზ ქოჩუა

# ლაშა ჯაკობია: 10 მატჩი, 6 გოლი

მეათე შეხვედრაში მეექვსე გოლი გაიტანა ბელგიის მეორე დივიზიონში მოთამაშე ლაშა ჯაკობიამ. ამჯერად აუტსაიდერთა შორის მყოფმა „ვეზეტმა" ერთ-ერთ ლიდერ „სერკლ ბრიუგეს" უმასპინძლა და ქულა აართვა. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში სტუმრებმა აშკარად დაჩაგრეს მასპინძლები და უკვე 29-ე წუთისთვის 2 ბურთით დაწინაურდნენ. „ვეზეტმა" ბრჭყალები მეორე ნახევარში გამოაჩინა, როცა „სერკლ ბრიუგეს" კანუ გაუძევეს. ორივე საპასუხო გოლი ლიეჟის „სტანდარდიდან" იჯარით ნათხოვრებმა გაიტანეს. 47-ე წუთზე ჰაბერტსმა, 69-ეზე კი ჯაკობიამ ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

„ვეზეტი" კვლავაც უიმედო აუტსაიდერია. თუ ლიგაში დარჩენა სურს, გუნდმა „ჰაკენგემთან" 8-ქულიანი სხვაობა უნდა გააბათილოს, რაც ერთობ ძნელი საქმეა.

პრემიერლიგაში საგოლე პასით გამოირჩა გიორგი ქინქლაძე. „დერბი" სეზონის აღმოჩენას, „სანდერლენდს" ესტუმრა და ქულა დასტყუა. ქინქლაძე ბევრს მოძრაობდა, თუმცა მედიას განსაკუთრებულად თავი ვერ დაამახსოვრა. „სანმა" მატჩის საუკეთესო მოთამაშედ „დერბის" შოტლანდიელი ნახევარმცველი ბარლი დაასახელა და „8" დაუწერა, გიოს კი „7" არგუნა. კიდევ უფრო მკაცრი გამოდგა „სანდი მირორი", მან ქართველს „6"-იანი მიაკუთვნა, საუკეთესოდ კი „დერბის" არგენტინელი მცველი ჰორაციო კარბონარი მიიჩნია 8 ქულით. ქინქლაძემ თინეიჯერ მალკოლმ კრისტის არაპირდაპირი პასით გაატანინა, რომელიც რამდენიმე წუთშივე გაქვითეს მასპინძლებმა. ქულის მოპოვების მიუხედავად, ქართველის კლუბი კვლავ გავარდნის კანდიდატია. „დერბი" უკვე 4 ქულით ჩამორჩა „საუთჰემპტონს", სამაგიეროდ, 25 ქულით დაიმეზობლა „ბრედფორდი": სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ქინქლაძის გუნდის კონკურენტი. „შეფილდს" 17 ქულა აქვს, „უოტფორდს" კი 15.

როგორც იქნა, ბობი რობსონმა თამაში აღირსა თემურ ქეცბაიას. ქართველი აუტსაიდერ „შეფილდთან" მეორე ტაიმში გამოჩნდა და თავისი შესაძლებლობების კვალობაზე ოდნავ უარესად გამოიყურებოდა. „სანმა" „6", ხოლო „სანდი მირორმა" „5" დაუწერეს ქეცბაიას. პირველმა საუკეთესოდ შირერი დაასახელა, მეორემ კი კევინ გალაჰერი. „ნიუკასლმა" კი მორიგი მატჩი მოიგო და ასე თუ გააგრძელა, შეიძლება ევროსაგზურსაც გამოჰკრას ხელი.

პროგნოზის მიუხედავად, ჯანლუკა ვიალიმ არ გარისკა რატი ალექსიძის გენერალურ ბრძოლაში ჩართვა და „უოტფორდთან" ქართველი არ შეიყვანა განაცხადში, სადაც მოხვდნენ ამბროზეტი, გუდიჩინი, დელა ბონა და უოლესტონი. „ჩელსიმ" კი ძნელად მოიგო. 2:1 აუტსაიდერთან, ისიც „სტემფორდ ბრიჯზე", იმაზე მიუთითებს, რომ „არისტოკრატებმა" ძალები „მარსელისთვის" გამოიზოგეს.

ბუნდესლიგაში კვლავ ჩააგდო თამაში ქართველთა დუეტმა და წაიფორხილა „ფრაიბურგმაც". თუმცა 1:1 „ჰანზასთან" ფინკეს გუნდისთვის ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. იაშვილმა — „4,5", კობიაშვილმა კი „4" დაიმსახურა „კიკერისგან", ამასთან, ლევანი გააფრთხილეს კიდეც. ამ ფრემ „ფრაიბურგიც" მიუახლოვა მეორე ბუნდესლიგას.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში კი ლიდერი გახდა არჩილ არველაძის „ბრედა", რომელმაც სტუმრად „ტელსტარს" მოუგო. ორივე გოლი საიმონსმა გაიტანა. არჩილის გარჯა მედიამ საშუალოზე დაბალი „5"-იანით შეაფასა. „აიაქსს" დაუბრუნდა შოთა არველაძე, თუმცა ამსტერდამელებს ამ კვირას არ უთამაშიათ. მათ „დენ ბოსხთან" მოილაპარაკეს და მატჩი გადაიტანეს.

ისრაელში ქართველებს ცუდად წაუვიდათ საქმე. გახოკიძის დისკვალიფიცირებამ „მაკაბი" დაასუსტა, გუნდმა ჰაიფაში 0:2 დათმო პრინციპული შეხვედრა „ბეითართან". დარასელიას ქვარ სავამ კი აუტსაიდერ „ნეთანიას" ვერ მოუგო და მასაც სერიოზულად დაემუქრა გავარდნა.

„ლიერსმა" შინ „ლოკერენის" ძლევით ბელგიის თასის ნახევარფინალისკენ ნაბიჯი გადადგა. შეყილაძემ ეს შეხვედრა ძირითადში დაიწყო, თუმცა რომერსმა იგი 31-ე წუთზე გამოცვალა.

შესანიშნავად ითამაშა საბერძნეთში „ირაკლისმა" — ათენის აეკ-ს, უშუალო კონკურენტს, მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში 3:1 აჯობა, თუმცა ქებაძე მინდორზე არ გამოჩენილა. აუტსაიდერებს შეუერთდა გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკი", რომელმაც შინ, პატრაში, „ქსანტის" წინააღმდეგობა ვერ დასძლია.

გასულ კვირას ჩვენ ცხრილს ბულგარეთიც მიემატა. იქ, ერთ-ერთ აუტსაიდერ პეტრიჩის „ბელასიცაში" თსუ-ელი კობა ნინუა და თბილისის დინამოელი ზაზა ზირაქიშვილი გადავიდნენ. მეორე წრის პირველ მატჩში არც ერთს უთამაშია. მატჩი კი, რომელსაც ბულგარეთის ვიცე-პრეზიდენტი დაესწრო, „დობრუჯას" გამარჯვებით დასრულდა.

სიმონ მენაბდე

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | შეფილდი 2:0 | 44 | შეცვლაზე ითამაშა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | სანდერლენდი 1:1 | 89 | შეცვალეს |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | უოტფორდი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | შ | უოლსოლი 1:1 | 0 | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 1:1 | 90 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 1:1 | 90 | გაფრთხილება |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანზა 1:1 | 0 | ტრავმა |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | დენ ბოსხი | | გადაიდო |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | ტელსტარი 2:0 | 90 | |
| **ბელგია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლოკერენი 1:0 | 31 | შეცვალეს |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | შ | ბრიუგე 2:2 | 90 | 1 გოლი |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | ქსანტი 1:1 | 90 | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | აეკ 3:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ისრაელი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქფარ სავა) | შ | ნეთანია 0:0 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | შ | ბეითარი 0:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია |
| **ბულგარეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | ს | დობრუჯა 1:3 | 0 | ახალწვეულია |
| ზაზ ზირაქიშვილი | ბელასიცა | ს | დობრუჯა 1:3 | 0 | ახალწვეულია |



ოჰ, ეს ედმუნდო...

# ვითომ შერიგდებიან?

ბრაზილიური „ვასკუ და გამას" ხელმძღვანელობამ კლუბის გიჟმაჟ ვარსკვლავს ედმუნდოს დანაშაული შეუნდო.

სკანდალებით ცნობილმა ფეხბურთელმა კაპიტნობის ჩამორთმევა ვერ აიტანა და „ვასკუც" თვითნებურად მიატოვა. კაპიტნის სამკლაური კი მეორე ჭირვეულ ვარსკვლავ რომარიოს გადაეცა.

„ვასკუ და გამა" რიო—სან პაულუს ტურნირის ფინალშია გასული, სადაც მისი მეტოქე „პალმეირასი" გახლავთ. პირველ ფინალურ მატჩში ანტონიოს ლოპესის შეგირდები 1:2 დამარცხდნენ. როგორც ჩანს, მწვრთნელმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მეორე გადამწყვეტი მატჩის წინ ვარსკვლავ ედმუნდოს საშველად უხმო.

თუმცა „ფიორენტინას" ყოფილი ფეხბურთელი, ერთ კაცთან ისევ უბრადაა. ეს კაცი კი არც მეტი, არც ნაკლები, თვით რომარიო ფარიასია, ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენისა" და ესპანური „ბარსელონას" ყოფილი ვარსკვლავი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც „ვასკუში" „ფლამენგოდან" გადაბარგდა.

ანტონიოს ლოპესმა საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ ფლორენციულ „ფიორენტინას" ედმუნდო წაჰგვარა, ახალი წლიდან რომარიოც გადაიბირა და ხელებიც მოიფშვნიტა, ავშენდიო, თუმცა...

...ორშაბათს ედმუნდო გუნდის საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადდა, ჩვეულებრივადაც ივარჯიშა, მაგრამ ბრაზილიელ ჟურნალისტებს თუ ვერწმუნებით, რომარიოსთვის სიტყვა რაა, ისიც არ უთქვამს, მინდორზე კი იდეალურად მოქმედებდნენ. „ვასკუს" მწვრთნელის განცხადებით, „პალმეირასთან" დღევანდელ საპასუხო მატჩში თავდასხმაში კვლავაც ორი ვარსკვლავი — რომარიო და ედმუნდო გამწესდებიან.

ედმუნდომ ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ ორიოდ სიტყვა ჟურნალისტებსაც შეაწია: „კაპიტნობის ჩამორთმევას ასე თუ ისე შევეგუებოდი, მაგრამ ჩემი გუნდის კაპიტნად რომარიოს ხილვა ნამდვილად ვერ ავიტანე და ამიტომაც წავედი".

ერთი სიტყვით, ედმუნდო დღევანდელი მატჩისთვის ემზადება, ემზადება რომარიოც.

ვითომ შერიგდებიან?

გიორგი ვაშაკიძე

## იტალია

სერია B

**ვიჩენცა 3:0 ნაპოლი**

1:0 კომანდინი (19), 2:0 ძაული (51), 3:0 კომანდინი (65პ)

## პორტუგალია

**ბოავიშტა 0:1 სპორტინგი**

0:1 პედრო ბარბოსა (1)

## სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი. აფრიკა

A ჯგუფი

**ნიგერია 1:0 უგანდა**

**ანგოლა 4:2 ზიმბაბვე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმბაბვე | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| ნიგერია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ანგოლა | 4 | 2 | 0 | 2 | 9:8 | 6 |
| უგანდა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

*V ტური. 11 მარტი. ანგოლა — ნიგერია 12 მარტი ზიმბაბვე — უგანდა*

B ჯგუფი

**კამერუნი 2:0 სამ. აფრიკა**

**გვინეა 1:2 განა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| განა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| სამ. აფრიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| გვინეა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

*V ტური. 11 მარტი. კამერუნი — გვინეა; სამხრეთ აფრიკა — განა*

C ჯგუფი

**ეგვიპტე 2:1 კოტ დივუარი**

**მაროკო 2:0 ტუნისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| ეგვიპტე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| კოტ დივუარი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 5 |
| ტუნისი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | *1 |

*V ტური. 12 მარტი. ეგვიპტე — მაროკო; კოტ დივუარი — ტუნისი*

ჯგუფებში გამარჯვებულნი სექტემბერში გაითამაშებენ ოლიმპიადის საგზურს. გამარჯვებული პირდაპირ სიდნეიში წავა, საუკეთესო მეორე გუნდი კი პლეი ოფში ახალ ზელანდიას შეხვდება.

## უნგრეთი

XVIII ტური

**ვაშაში 3:3 ფერენცვაროში**

0:1, 0:2 ვენი (20, 22), 1:2 გალაშეკი (31), 1:3 მ. ტოტი (40), 2:3 გალაშეკი (44), 3:3 ტიბერი (76)

**ჰალადაში 1:2 ჰონვედი**

0:1 გაი ჰორვატი (10), 1:1 კაი (36), 1:2 გაი ჰორვატი (88)

**მტკ 1:0 უიპეშტი**

1:0 გუშატუ (52)

**ზალაეგერსეგი 0:0 ნადიკანიჟა**

**პეჩი 1:1 შიოფოკი**

1:0 პუშკაში (36), 1:1 კულჩარი (90)

**ნიირეგი 2:0 დიოშდიორი**

1:0 კონდორა (51), 2:0 კარკუსი (73)

**დუნაფერი 3:2 დებრეცენი**

1:0, 2:0 ტოკოლი (2, 28), 3:0 სალამონი (45), 3:1 ვადიშკა (66), 3:2 შიკლოში (70)

**ვაცი 1:1 ტატაბანია**

0:1 ჰორნაკი (45), 1:1 გასპარიკი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 18 | 11 | 6 | 1 | 47:17 | 39 |
| მტკ | 18 | 10 | 6 | 2 | 31:14 | 36 |
| ვაშაში | 18 | 11 | 2 | 5 | 35:19 | 35 |
| დებრეცენი | 18 | 8 | 5 | 5 | 27:21 | 29 |
| პეჩი | 18 | 7 | 8 | 3 | 24:23 | 29 |
| დიორ ეტო | 18 | 7 | 6 | 5 | 31:18 | 27 |
| უიპეშტი | 17 | 7 | 6 | 4 | 31:21 | 27 |
| ტატაბანია | 18 | 6 | 9 | 3 | 21:20 | 27 |
| ფერენცვაროში | 18 | 7 | 5 | 6 | 30:20 | 26 |
| ზალაეგერსეგი | 18 | 6 | 7 | 5 | 21:13 | 25 |
| ნიირეგი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:30 | 20 |
| ჰონვედი | 18 | 4 | 7 | 7 | 18:23 | 19 |
| ჰალადაში | 17 | 5 | 3 | 9 | 19:27 | 18 |
| დიოშდიორი | 18 | 4 | 6 | 8 | 17:29 | 18 |
| ნადიკანიჟა | 18 | 3 | 7 | 8 | 14:22 | 16 |
| შიოფოკი | 18 | 5 | 3 | 10 | 14:28 | 15 |
| სეგედი | 18 | 3 | 5 | 10 | 13:41 | 11 |
| ვაცი | 18 | 1 | 6 | 11 | 16:40 | 9 |

*„შიოფოკს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოკოლი (დუნაფერი) | 15 |
| ჰორვატი (ფერენცვაროში) | 11 |
| ფრუნზა (დიოშდიორი) | 8 |
| კენეშეი (მტკ) | 8 |
| ნ. ტოტი (უიპეშტი) | 8 |
| მ. ტოტი (ფერენცვაროში) | 8 |

### ფეხბურთის რუკასთან



**ტრინიდადის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტილ სანტა კლარი კონკაკაფის ოქროს თასზე წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან დაითხოვეს. გუნდი ნახევარფინალში კანადის ნაკრებთან დამარცხდა 0:1 და ასპარეზობას გამოეთიშა. კანადა კი ფინალში მოხვდა, სადაც საკმაოდ მოულოდნელად კოლუმბიის ნაკრებს სძლია 2:0 და თასსაც დაეუფლა. ტრინიდადის საფეხბურთო კავშირმა სანტა კლარს ნახევარფინალში წაგება არ აპატია და თანამდებობიდან დაითხოვა. კარიბეთის საინფორმაციო სააგენტო „ნაკას" ცნობით, ნაკრების ახალ თავკაცად, ალბათ, ინგლისელი იან პორტერფილდი დაინიშნება.

**ინგლისური** „მიდლსბროს" ნახევარმცველმა პოლ გესქოინმა ვარჯიში განაახლა და კლუბის ექიმების ცნობით, დაახლოებით სამ კვირაში, ალბათ, თამაშსაც შეძლებს. შეგახსენებთ, რომ გაზამ ორი კვირის წინ „ასტონ ვილასთან" მატჩში ხელი მოიტეხა, თუმცა გამოსაჯამრთელებლად ნავარაუდევზე გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა, რამაც „მიდლსბროს" თავკაცი ბრაიან რობსონი ერთობ გაახარა. „გაზამ ვარჯიში განაახლა და საკმაოდ მოწადინებულია, თუმც სპეციალურ სახვევს მაინც ატარებს, რათა უცაბედი ტრავმისგან თავი დაიზღვიოს" — განაცხადა მან.

**შოტლანდიის** 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ენდი მაკლარენს სისხლში ნარკოტიკების შემცველობა აღმოაჩნდა. ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდმა „რედინგმა" მასთან მიმდინარე კონტრაქტი შეწყვიტა და ნახევარმცველი ამჟამად უკლუბოდ დარჩა. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის ცნობით, „დანდის" ყოფილი მოთამაშე კოკაინსა და მარიხუანას ეტანებოდა.

**შვეიცარიის** ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მთავარ მწვრთნელად არგენტინელი ენცო ტროსეროს დანიშვნას აპირებს. ეს სპეციალისტი შვეიცარიაში უკვე მუშაობდა, 1992 წელს იგი „სიონს" ავარჯიშებდა. არგენტინელთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში აპირებს. 47 წლის ტროსერო ბოლო ხუთი წლის მანძილზე შვეიცარიის ნაკრების მეხუთე მწვრთნელი გახდება. მისი უპირველესი ამოცანა გუნდის მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მოხვედრაა. შვეიცარიელებმა ვერც გასული, 1998 წლის მსოფლიოს და ვერც მომავალი, 2000 წლის ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს.

**მაროკოს** ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ალბათ, ჰენრი კასპერჩაკი დაინიშნება. მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა ანრი მიშელმა დატოვა, ნაკრების თავკაცის პოსტი დაახლოებით ერთი თვე ვაკანტურია. პოლონელი კასპერჩაკი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ტუნისის ნაკრებს ავარჯიშებდა. მაროკოს ფეხბურთის ფედერაცია მასთან კონტრაქტის გაფორმებას უახლოეს მომავალში აპირებს.

**გერმანიის** ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" „მონაკოში" მოასპარეზე საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების მარჯვენა მცველით, ვილი სანიოლით დაინტერესდა. „ფეხბურთელმა ბოლო ხანს აშკარად უმატა თამაშს, რამაც დაგვაინტერესა — განუცხადა „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ერთ-ერთი საფეხბურთო ჟურნალის კორესპონდენტს — „მონაკოს" ხელმძღვანელობას უკვე შევეხმიანეთ, მასთან მოლაპარაკებას, ალბათ, მალე დავიწყებთ".

**ჰოლანდიური** პსვ-ს თავდამსხმელი ლუკ ნილისი ამბობს, რომ მომავალი სეზონიდან „ასტონ ვილაში" გადაბარგება სურს. „სიახლის დრო მოვიდა, კარიერის გაგრძელებას ინგლისში ვაპირებ. მართალია, კონტრაქტი ოფიციალურად არ გამიფორმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მალე მოხდება, კლუბთან შეთანხმება, ალბათ, ორწლიანი იქნება" — განუცხადა ნილისმა ერთ-ერთ ჰოლანდიურ ტელეარხს. 32 წლის ბელგიელი თავდამსხმელი ინგლისს უახლოეს დღეებში ეწვევა და პრემიერლიგის კლუბთან მოლაპარაკებას წამოიწყებს. ნილისმა ბოლო ექვსი სეზონი ჰოლანდიაში გაატარა, ხოლო მანამდე რვა წელი ბელგიაში დაჰყო. მიმდინარე სეზონში მან 12 გოლი გაიტანა, თუმც მის გუნდში ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რუუდ ვან ნისტელროოი თამაშობს, რომელმაც წლეულს უკვე 29 ბურთი შეაგდო.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ" „უდინეზეში" მოთამაშე თომას ლოკატელის დაადგა თვალი და უდინურ გუნდს 8 მილიონი გირვანქა შესთავაზა. „მილანის" ყოფილი ნახევარმცველის შეძენის სურვილი დორტმუნდის „ბორუსიასაც" გამოთქვა, თუმც შესაძლო სატრანსფერო თანხა გერმანულ კლუბს ჯერჯერობით არ დაუსახელებია. „უდინეზე" მიმდინარე სეზონში საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს, ლოკატელიც გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. კლუბის კიდევ ერთი მოთამაშით, მარტინ იორგენსენით ორი ევროპული გრანდი — მადრიდის „რეალი" და რომის „ლაციო" დაინტერესდა. ფეხბურთელის გადაბირებას გუნდები ევრო 2000-ის დასრულების შემდეგ გეგმავენ.

**ესპანურ** „დეპორტივოში" მოთამაშე ფლავიო კონსეისაომ სეზონის ბოლოს შესაძლოა კლუბი დატოვოს და გაცილებით სახელოვან ევროპულ გრანდში გადაბარგდეს. არაოფიციალური მონაცემებით, ტურინის „იუვენტუსი" ფეხბურთელში 15 მილიონ გირვანქას იხდის. ბრაზილიელის ხელში ჩაგდებას კიდევ სამი იტალიური კლუბი — „ლაციო", „ინტერი" და „მილანი" ცდილობს, ისინი „დეპორტივოს" 18 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

**ირანის** ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჯალალ თალები დაინიშნა. გუნდის ყოფილმა თავკაცმა მანსურ პურედარმა რამდენიმე დღის წინ პოსტი ისე დატოვა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას არაფერი შეატყობინა და კლუბ „ესტეგლალს" ჩაუდგა სათავეში. თალები ირანის ნაკრებში უკვე მუშაობდა და გუნდი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოახვედრა. ირანმა ჯგუფში პრინციპული პოლიტიკური მეტოქის, ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხება შეძლო. თუმცა ამის შემდეგ თალები თანამდებობიდან გადადგა და ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა.

**იტალიური** „პერუჯას" ფრანგმა ნახევარმცველმა იბრაჰიმ ბამ სერია A-ს ბოლო ტურში „ვერონას" წინააღმდეგ მატჩში მყესები დაიზიანა და დაახლოებით ექვსი თვე ველარ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში ბა „მილანში" ასპარეზობდა და იტალიის ჩემპიონი გახდა, ამის შემდეგ იგი „პერუჯაში" გაანათხოვრეს, სადაც სადებიუტო შეხვედრაში მეტოქე ფეხბურთელთან უხეშობის გამო დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

**სლოვენიის** ჩემპიონატი. მე-17 ტური. ოლიმპია — დრავოგრადი 4:2; ცელიე — მურსკა სობოტა 3:2; ნოვა გორიცა — მარიბორი 2:1; ბელტინჩი — აიდოვშინა 0:5; რუსე — დომზალე და პრევალიე — ველენიე გადაიდო. ჩემპიონატს 37 ქულით „მარიბორი" ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებს 33-33 ქულით „ოლიმპია" და „ნოვა გორიცა" იყოფენ.

**ირლანდიის** ჩემპიონატი. 26-ე ტური. კორკ სიტი — სენტ პატრიკსი 1:1; შემროკ როვერსი — უოტერფორდი 1:2; სლიგო როვერსი — დროჰედა 0:0; უნივერსიტ კოლეჯი — გალვეი 1:1; ფინ ჰარპსი — შელბურნი 2:3; ბოჰემიანსი — დერი სიტი 0:0. ჩემპიონატს 55 ქულით „შელბურნი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ბოჰემიანსი" — 49 ქულა, მესამეა — „კორკ სიტი", 41 ქულა.

**ისრაელის** ჩემპიონატი. 26-ტური. მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — აშდოდი 3:1; მაკაბი (ჰერცლია) — მაკაბი (თელ ავივი) 3:1; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — ირონი 1:2; ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 2:4; ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ნეთანია) 0:0; მაკაბი (ჰაიფა) — ბეითარი 0:2. ჩემპიონატს 57 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი" ლიდერობს, მეორეა ჰაიფას „მაკაბი" — 55 ქულა, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი" — 54 ქულა. გადადებული მატჩი: „ჰაპოელი" (იერუსალიმი) — „მაკაბი" (ფეთაჰ თიკვა) 0:2.

**ხორვატიის** ჩემპიონატი. *მე-18 ტური.* დინამო — ზაგრები 2:2; ჰაიდუკი — სლავენი 1:0; ციბალია — რიეკა 0:0; შიბენიკი — ისტრა 0:1; ვარტექსი — ვუკოვარი 2:0; დრაგოვოლიაცი — ოსიეკი 3:0. *მე-19 ტური.* სლავენი — დინამო 0:5; დრაგოვოლიაცი — ციბალია 2:0; ვუკოვარი — შიბენიკი 3:0; ზაგრები — ვარტექსი 1:0; ოსიეკი — ჰაიდუკი 2:0; ისტრა — რიეკა 1:0. ჩემპიონატს 45 ქულით სპლიტის „ჰაიდუკი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა ზაგრების „დინამო" — 44 ქულა, მესამეა „ოსიეკი" — 33 ქულა.

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-18 ტური. ანართოსისი — ალკი 4:0; ომონია — ოლიმპიაკოსი 0:3; ეთნიკოსი (აშა) — აელი 3:2; აპოლონი — ენოსისი 3:1; ეთნიკოსი (აშნა) — აპოელი 1:0; ანაგენისისი — ნეა სალამინა 0:4; აეკ — აპოპი 0:0. ჩემპიონატს 52 ქულით ფამაგუსტას „ანართოსისი" ლიდერობს, მეორე ადილზეა ნიქოზიის „ომონია" — 41 ქულა, მესამე „აპოელი" — 36 ქულა.

**ალბანეთის** ჩემპიონატი. მე-15 ტური. ბილიში — შკუმბინი 1:0; პარტიზანი — ლუშნია 1:1; ტომორი — აპოლონია 2:0; ტეუტა — ელბასანი 1:0; შკენდერბო — შკიპონია 1:0; ვლაჟნია — დინამო 0:0; ფლამურტარი — ტირანა 1:0. ჩემპიონატს 31 ქულით დურეშის „ტეუტა" ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ტირანა" — 27 ქულა, მესამეა ბერატის „ტომორი" — 25 ქულა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ყოველ ოთხშაბათს წარმოგიდგენთ გასული უქმეების „სარბიელის“ რჩეულ ფეხბურთელს

### რჩეული — რობერტო კარლოსი

სრული სახელი: რობერტო კარლოს და ხილვა
დაიბადა: 10.04.73 გარსაში (სან პაულუს შტატი, ბრაზილია)
სიმაღლე: 168 სმ. წონა: 79 კგ.
კლუბები: 1989-92 წლები „სან პაულუ“. 1993-95 წლებში „პალმეირასი“. 1995-96 წლებში „ინტერი“. 1996 წლიდან დღემდე „რეალი“
სან პაულუს ჩემპიონი 1993, 1994; ბრაზილიის ჩემპიონი 1993, 1994; ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი 1996; კოპა ამერიკის გამარჯვებული 1997, 1999; ესპანეთის ჩემპიონი 1997; ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 1998



რობერტო კარლოსი და ფერნანდო მორიენტესი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ვინმე ოსკარ პერეირა და სილვას ვინმე ვერა ლუჩია როხა შეუყვარდა და მასზე იქორწინა. ოთხი შვილი შეეძინათ. მათგან ერთი — რობერტო კარლოსი სახელოვანი ფეხბურთელი გახდა.

გამოხდა ხანი და რობერტო კარლოსიც დაოჯახდა. რობერტოს და ალექსანდრას ორი შვილი ჰყავთ — რობერტა და ჯოვანა.

თუმც ჩვენ და სილვების გენეალოგიაზე მეტად ტანმორჩილი რობეტრო კარლოსის ფეხბურთელობის ამბავი უფრო გვაინტერესებს.

რობერტო კარლოსის შეტევაში ხშირი ჩართვა იმ დროიდან იღებს სათავეს, როდესაც 16 წლისა „სან პაულუში“ ჩაირიცხა. დიახ, მისი პირველი ამპლუა თავდამსხმელობა გახლდათ. მას შემდეგ, რაც რობერტო კარლოსი ზედიზედ ორჯერ გახდა ბრაზილიის ჩემპიონი და უძლიერესი დარტყმებით გაითქვა სახელი, მასზე ევროპელებმა დაიწყეს ნადირობა. პირველი შეთავაზება საფრანგეთიდან იყო. „პარი სენ ჟერმენი“ ფეხბურთელში 3 მილიონ დოლარს იხდიდა. „პალმეირასიც“, ვისი სახელითაც რობერტო კარლოსი მაშინ თამაშობდა, წინადადებაზე ყაბულს გახლდათ და გარიგება კინაღამ შედგა. მაგრამ ამ დროს „ინტერიდან“ უფრო სარფიანი წინადადება მოვიდა და ფეხბურთელიც 7 მილიონად იტალიაში გაიყიდა. მაშინ უკვე ცნობილი იყო, რომ რობერტოს დაცვაში თამაშიც კარგად გამოსდიოდა და „ინტერის“ ინგლისელმა თავკაცმა როი ჰოჯსონმა რაღაც შუალედური გადაწყვეტილება მიიღო — ნახევარდაცვაში გაამწესა. „ძალიან ცუდი დრო იყო“ — ასე იხსენებს ფეხბურთელი მილანში გატარებულ დღეებს. 1996-97 წლების სეზონში „რეალმა“ იტალიიდან ორი კაცი გადაიბირა — რობერტო კარლოსი და ფაბიო კაპელო. სწორედ კაპელომ შექმნა ახლანდელი რობერტო კარლოსი.

დღეს რეალელი „სარბიელის“ რჩეული გახდა. „ბარსელონასთან“ ბრწყინვალე გამარჯვებას ხომ მან ჩაუყარა საფუძველი. შეტევა, რომელიც არნაუს კარში მეორე გოლით დასრულდა, ასევე რობერტო კარლოსმა წამოიწყო და საერთოდ, იგი მთელი 90 წუთი ჩინებულად ირჯებოდა.

„ბარსას“ კარში გატანილი გოლის შემხედვარეს არ იქნება მისი ყველაზე ცნობილი დარტყმა არ გაგახსენდეს.

1997 წელს საფრანგეთში ოთხთა ტურნირი გაიმართა. მასპინძელთა გარდა ბრაზილია, ინგლისი და იტალია თამაშობდნენ. საფრანგეთ-ბრაზილიის მატჩში ფაბიენ ბარტეზის კარში საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომლის შესრულებაც რობერტო კარლოსმა ითავა. შეუძლებელია, აღწერო ის გოლი. ბურთმა რაღაც ფანტასტიკური ტრაექტორიით იფრინა და ბადეში გაეხვია. მახსოვს, ადამიანებმა რომ ვერაფერი გაუგეს, კომპიუტერი დაიხმარეს, იქნებ გავერკვეთ, რა და როგორო.

ჭკვიანმა მანქანამ ტრაექტორია ზუსტად აღწერა და... დანებდა — ასეთი დარტყმის შესრულება როგორ მოახერხა, აბა, რა ვიციო.

თავად ფეხბურთელი განმარტავს: „ბურთს ტერფის გარეთა ნაწილით ვურტყამ. მთავარი კი ისაა, რომ ყოველდღიურად, რამდენიმე საათი ჯარიმის შესრულებაზე ვვარჯიშობ. ბურთს ვასწორებ, კონცენტრაციას ვახდენ და ვურტყამ, ეს არის და ეს“.

ასე რომ, რობერტო კარლოსის რჩევა გაითვალისწინეთ და ეგებ თქვენც...

გიორგი დარჯანია

### ესპანეთი

# ცუდი, ძალიან ცუდი

გუშინ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მიმოხილვა მთლიანად „რეალი“ — „ბარსელონას“ მატჩის გარჩევას დავუთმეთ, თუმც, შეხვედრის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სათქმელი კიდევ დარჩა, რაც, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს.

დიდება და პატივი „რეალს“ და მის თავკაც ვისენტე დელ ბოსკეს — ჩინებული წარმოდგენა გვაჩვენეს. აქვე ვთქვათ, იშვიათად ხდება, რომ ვარსკვლავებით გადაჭედილი „ბარსელონა“ ასე უსახურად თამაშობდეს. მოდით, ამის მიზეზს ჩავეძიოთ.

ტრავმამოშუშებული პეპ გვარდიოლა მწვრთნელმა მინდორზე მაშინ შეუშვა, როდესაც ყველაფერი გარკვეული იყო. „ცუდი, ძალიან ცუდი“ — ასე შეაფასა „ბარსელონას“ კაპიტანმა თავისი გუნდის თამაში და დაუმატა — წაგება ყოველთვის სამწუხაროა, მით უმეტეს, როდესაც „რეალთან“ მარცხდები. მოედანზე ცუდ ფეხზე გავედით. პირველი გოლი ძალიან სწრაფად გავუშვით და ამან ჩვენს თამაშზე იმოქმედა, მაგრამ უფრო სამწუხარო მეორე გოლი იყო. რომ არა საწყის 20 წუთში დაშვებული დასანანი შეცდომები, სულ სხვა „ბარსელონას“ იხილავდით.

მიმდინარე სეზონში საკმაოდ ბევრი თამაში წავაგეთ, მაგრამ ასე გულმოკლულნი ჯერ არ ვყოფილვართ. „რეალთან“ წაგების შემდეგ, ბევრი ჩემი თანაგუნდელი დეპრესიაშია და დიდი მუშაობა მოგვიწევს განწყობის აღსადგენად.

ცხადია, სატურნირო მდგომარეობაც გავიუარესეთ, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ, „ბარსელონა“ კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძვის.“

როგორც ვხედავთ, გვარდიოლა მარცხს შეხვედრის დებიუტშივე ორი გოლის გაშვებით ხსნის, თუმც ეს ვერაფერი გამართლებაა. ობიექტური მიზეზებიდან კი კატალონიელები „ბერნაბეუზე“ მოედნის უხარისხო საფარს ასახელებენ. ისინი ამბობენ, ცუდი მინდორი იყო, პასების გაკეთება გვიჭირდაო (მასპინძლებს ეს პრობლემა არ ჰქონიათ).

კომენტარის გაკეთება ფრანსისკო არნაუსაც სთხოვეს. შეგახსენებთ, პირველი გოლის გაშვებას სწორედ მას აბრალებენ და „ბარსელონას“ მეკარეც ამ საკითხს შეეხო.

„შევცდი — ამბობს არნაუ — რობერტო კარლოსის დარტყმის ძალა ვერ გავთვალე. ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. რა ვუყოთ, ყველაფერი ხდება, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და რაც უფრო მალე გამოვერკვევით, უკეთესი იქნება. წინ „პორტუსთან“ მატჩი გველის (არნაუმ განცხადება სამშაბათს გააკეთა), ჩემპიონთა ლიგა კი ჩემპიონატისგან დიდად განსხვავდება, ლიგაში ასეთ შეცდომებს არ ვუშვებთ.“

და ისევ „რეალს“ მივუბრუნდეთ. ვისენტე დელ ბოსკე, რომელმაც უილბლო ჯონ ტოშაკი შეცვალა და „რეალში“ დიდხანს მუშაობას არ უწინასწარმეტყველებდნენ, კლუბში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. დღეს უკვე იმაზეც საუბრობენ, თუ როდემდე გაუგრძელებს მას ლორენცო სანსი კონტრაქტს. თავად მწვრთნელი კი თავისი შეგირდების თამაშს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს, თამაშის ფირი დავატრიალეთ და ვნახეთ, რამდენიმე კარგი მომენტი გაგვიფუჭებიაო. კი მაგრამ, ფეხბურთელებმა „ბარსას“ კარში სამი გოლი შეაგდეს და მეტი რა უნდა ექნათ? თუმც ტრიუმფატორმა მწვრთნელმა ალბათ, უკეთ იცის...

დაბოლოს, რობერტო კარლოსს მოვუსმინოთ. ბრაზილიელი თავის ბრწყინვალე გოლზე თავმდაბლად დუმს, სამაგიეროდ, ომახიანად აცხადებს, „რეალი“ წლეულს ყველაფერს მოიგებსო. წინ კი ესპანეთის ჩემპიონატია, სადაც 12 ტური დარჩა გასამართი, ქვეყნის თასი, რომლის გათამაშებასაც ოთხი გუნდიღა შემორჩა და ჩემპიონთა ლიგა, სადაც მეტად დიდია „რეალის“ მეოთხედფინალში გასვლის შანსი.

# გახდით მსოფლიოს ჩემპიონი ორ მილიონ გირვანქად

ნახდა დროება. ძველ მედლებსა და ორდენებს ჩალის ფასი დაედო. ერთ დროს ნარჩინებულსა და პატივცემულ პიროვნებებს, რომლებმაც შრომითა და ომით ხალხის სიყვარული დაიმსახურეს, დღეს აღარავინ აფასებს. ალბათ, ხშირად შეხვედრიხართ ქუჩაში მზესუმზირით მოვაჭრე ორდენებით მკერდდამშვენებულ მოხუცს, ლუკმაპურის საშოვნელად თითო-ოროლა კაპიკის მოგროვებას რომ ცდილობს. ეს საქართველოში, თორემ...

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული. ბრაზილია, გერმანია, იტალია, არგენტინა, საფრანგეთი, ინგლისი არაფერს უთმობენ ერთმანეთს, ოღონდ კი სანუკვარი ჯილდო მოიპოვონ. ასე იყო 1966 წელსაც, როდესაც ინგლისის ნაკრებს სანუკვარი ოქროს თასი და მედლები ხვდა წილად. პირველი ინგლისელი, რომელმაც „ნიკეს“ თასი აღმართა, გუნდის კაპიტანი ბობი მური გახლდათ, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და „ვესტ ჰემის“ რიგებში არაერთი ტიტულის მფლობელი. იგი 1993 წელს აღესრულა, ინგლისურ ფეხბურთსაც უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა...

დღეს კი მისი მეუღლე სახელოვანი ფეხბურთელის მიერ მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლისა და სხვა სიგელების კოლექციის გაყიდვას აპირებს. საკმაოდ ძვირადაც აფასებს — 2 მილიონი გირვანქა. ძვირიო?! ნუთუ მსოფლიოს ჩემპიონატის მედლის შეფასება შეიძლება?

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ამ ფაქტმა ერთობ აღაშფოთა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული ოქროს მედალი ხომ ერის რელიქვიაა. ნუთუ კმაყოფილი დარჩება ნებისმიერი რიგითი ინგლისელი, როცა გაიგებს, რომ მისი ხალხის კუთვნილებას რომელიმე შეიჰი დაეპატრონა, რომელსაც ჯიბეში ფული უჩხრიალებს და თუნდაც 2 მილიონი გირვანქა არაფრად ულირს?

საფეხბურთო ასოციაციამ ამ საკითხზე საგანგებოდ იმსჯელა და ბობი მურის მეუღლესგან კოლექციის შეძენა გადაწყვიტა, თუ მაინცდამაინც გაყიდვას დააპირებს, ინგლისში მაინც დაგვრჩება სანუკვარი ჯილდოო.

ვაჟა ლომიძე

# დიდი გლოვა

სრულიად ინგლისი დაამწუხრა სერ სტენლი მეტიუზის სიკვდილმა. მსგავსად ინგლისმა დაახლოებით ორწლინახევრის წინ იგლოვა, როდესაც პრინცესა დაიანა ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. მაშინ ქვეყანა მართლაც დიდმა სევდამ მოიცვა და აი, 85 წლის მოხუცის სიკვდილმა კვლავაც დაალონა ხალხი.

ქალაქ სტოკის ალბათ ყველაზე ცნობილ მკვიდრს ინგლისელები მალე საბოლოოდ გამოემშვიდობებიან.

დაკრძალვის ცერემონიალზე აპირებს დასწრებას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. ასეც რომ არ იყოს, უბრალოდ ინგლისელია. იმასაც ამბობენ, თითქოს სერ სტენლის ნათელ ხსოვნას პატივს თვით ინგლისის დედოფალიც მიაგებს, თუმც ოფიციალურად ამის შესახებ ჯერ არავის განუცხადებია.

ქალაქ სტოკში 260 ათასი ადამიანი ცხოვრობს. იმედოვნებენ, რომ სერ სტენლის დაკრძალვის დღეს ქუჩაში 200 ათასი მაინც გამოვა და ნამდვილ რაინდს უკანასკნელ გზაზე გააცილებს. მის ცხედარს ქალაქის წმინდა პეტრეს ტაძარში დაასვენებენ, სადაც ქრისტიანულ წესს აუგებენ. ცერემონიალი პირდაპირ ეთერში გადაიცემა. მანამდე კი...

...დილით სამგლოვიარო პროცესია სერ სტენლი მეტიუზის ძველ კლუბ „სტოკ სიტის“ სტადიონ „ბრიტანიადან“ დაიწყება და „ვიქტორია გრაუნდის“ მიმართულებით აიღებს გეზს, სადაც სერ სტენლიმ თავისი საფეხბურთო კარიერის უმნიშვნელოვანესი წლები გაატარა.

დაბოლოს, სტოკის წმინდა პეტრეს ტაძარი, სამგლოვიარო პანაშვიდი, ზღვა ხალხი, უამრავი ყვავილი, დუმილი, სევდანარევი ცრემლი წარსულის მოგონებისა...


სერ სტენლის ძეგლი სიცოცხლეშივე დაუდგეს

## თებერვლის ანბანი



23 თებერვალი. ჰოლანდია — გერმანია 2:1. ამ მატჩში ლოთარ მათეუსმა (№10) 144-ედ მოირგო გერმანიის ნაკრების მაისურა. ამდენი ეროვნულ გუნდში ჯერ არავის უთამაშია

აფრიკის თასი ახალმა მფლობელმა ჩაიბარა — ზეიმის პატივი კამერუნს ერგო. თუმცა „ზეიმი“ პირობითად ნათქვამი სიტყვაა, დაჯილდოებისას ფეხბურთელებს ცხენოსანი პოლიცია იცავდა. ტრიბუნებზე კი ნამდვილი ომი გაჩაღდა. ეს ყველაფერი ტუნისელი მსაჯის ერთ შეცდომას მოჰყვა — პენალტების სერიის შესრულებისას იგი სხვა მხარეს იყურებოდა.

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „არსენალმა“ დევიდ ბექემის შეძენა მოისურვა. იმასაც ამბობენ, ფეხბურთელს კლუბის გამოცვლას პოპ ვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია ადამსი აიძულებს, რომელსაც მანჩესტერი მოსწყინდა და ლონდონში დასახლება სურსო.

გაეროს საზოგადოებრივ ელჩად არჩეულმა რონალდომ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. მას ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. „ინტერის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი აპრილიდან მოედანზეც გამოვა.

დაარსებიდან 100 წლისთავი იზეიმა გერმანულმა ფეხბურთმა. ლაიპციგში გამართულ საზეიმო წვეულებას პოლიტიკის, კულტურისა და სპორტის ელიტა დაესწრო. მათ შორის ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი და სხვადასხვა სფეროს გამორჩეული მოღვაწეები.

ესპანური ფეხბურთის ორი მოსისხლე მტრის — „რეალისა“ და „ბარსელონას“ ისტორიული დაპირისპირება კარგა ხანია, საფეხბურთო საზღვრებს გასცდა, ახალი ცივილური ეპოქის დადგომასთან ერთად კი კომპიუტერულ ქსელშიც შეაღწია. კომპიუტერის კარგად მცოდნე მადრიდელ ფანსაც რა შეაჩერებდა, „ბარსელონას“ ინტერნეტის ელექტრონულ გვერდში უკანონო გზით შეიჭრა და დააზიანა.

ვინც 26 თებერვალს მადრიდში მოხვდა, ქალაქში გამეფებულ განსხვავებულ ატმოსფეროს უდავოდ შეიგრძნობდა. რა გასაკვირია? იმ დღეს დედაქალაქს „ბარსელონა“ ეწვია. გაიხარა მადრიდელმა ქომაგმა. „რეალმა“ „ბარსელონა“ 3:0 დაამარცხა და შერცხვენილი გაუშვა შინ.

ზეპ ბლატერმა კუბაში ნარკომანიისგან განსაკურნავად ჩასულ დიეგო მარადონაზე განაცხადა, მის დასახმარებლად მზად ვარო. „შეწუხებული გახლავართ დიეგოს ბედით, რომელსაც 1979 წელს იაპონიაში გამართული იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვიცნობ“ — თქვა ფიფას პრეზიდენტმა.

თანამდებობა დატოვა „აინტრახტის“ პრეზიდენტმა როლფ ჰელერმა. კლუბის მმართველთა საბჭომ მას უნდობლობა გამოუცხადა და აიძულა, წასულიყო. გუნდს ვალები დაუგროვდა, თუმცა დავალიანება ასტრონომიული სულაც არ გახლდათ — 8 მილიონი დოლარი.

იტალიის სერია A-ს ერთი ხანობა შეწყვეტა დაემუქრა. ამის მიზეზი რომაელ ფანთა უმსგავსო რასისტული ქმედება გახლდათ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეთა განსჯის საგნადაც იქცა.

კატალონიურმა „ბარსელონამ“ ბრაზილიური „გრემიოდან“ 21 წლის რონალდინიოს შეძენა მოისურვა. „ნურას უკაცრავად, 72,5 მილიონ დოლარს გადაიხდით, თუ არა და, ფეხბურთელზე არც იოცნებოთო“ — ასეთი პასუხი მიიღო ესპანეთის ჩემპიონმა ატლანტიკის გაღმიდან.

ლოს ანჯელესში, „როუზ ბოულზე“, 1994 წლის 22 ივნისს კოლუმბიელმა ანდრეს ესკობარმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო, მისი ნაკრები დამარცხდა და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა. 1994 წლის 2 ივლისს ესკობარი სიცოცხლეს გამოასალმეს. თითქმის ექვსი წლის შემდეგ კი მისი მკვლელი დააპატიმრეს და 43 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მიუნხენის „ბაიერნის“ ლიბერომ ლოთარ მათეუსმა, რომელიც 21 მარტს 39 წლისა გახდება, საფეხბურთო რეკორდი დაამყარა — მან გერმანიის ნაკრების მაისურა 144-ჯერ მოირგო. მათეუსმა ერთი მატჩით აჯობა შვედეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს, თომას რაველის.

ნებართვა საწვრთნელი კონტრაქტის შემოღებაზე — აი, რა სთხოვა ფიფამ ევროკომისიას. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ კლუბები, რომლებიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს გაზრდიან, მათი სხვაგან გაშვების შემთხვევაში უკომპენსაციოდ არ დარჩნენ.

ოფიციალურად დაიხურა იტალიის სატრანსფერო სეზონი. ახალი ფეხბურთელების შესაძენად სერია A-ს კლუბებმა ჯამში 146 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ყველაზე ძვირადღირებული გარიგება მილანის „ინტერსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის შედგა. იტალიელებმა კლარენს ზეედორფი 20.5 მილიონ დოლარად შეიძინეს.

პროფესიონალი მსაჯი არ არსებობს, ანუ მსაჯობა პროფესია არ გახლავთ, ანუ ადამიანი, რომელიც სულ მცირე კვირაში ერთხელ ვინმეს თავს გაალანძღინებს, უმეტესწილად სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელია. ფიფამ კი გადაწყვიტა, დააარსოს პროფესიონალ მსაჯთა ორგანიზაცია, რომელიც, ზეპ ბლატერის განცხადებით, მომავალი სეზონიდან ამოქმედდება.

ჟერარ ულიემ, „ლივერპულის“ თავკაცმა, ინგლისური ფეხბურთის ჩინოსნებს უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის შეზღუდვასთან დაკავშირებული გეგმები დაუწუნა. თავად ფრანგ სპეციალისტს გუნდში ოთხი არაევროკავშირელი ფეხბურთელი ჰყავს და წუხს, რომ ბოლო დროს მათ ორამდე შემცირებაზე ლაპარაკობენ.

რომის „ლაციო“ მადრიდის „რეალის“ ოქროს ბიჭუნა რაულ გონსალესით დაინტერესდა. ესპანური პრესის ცნობით, „ლაციო“ რაულის გადაბირებას მომავალ სეზონში გეგმავს, მის სანაცვლოდ კი 40 მილიონ დოლარს იხდის.

სად წავიდა ბებეტო? სად და იაპონიაში, იქაური ჯეი-ლიგის „ანტლერსში“. ამის მიზეზი მექსიკურ კლუბ „ნესას“ პრეზიდენტთან დაპირისპირება გამხდარა. ბრაზილიელი „ნესაში“ შარშან ივლისში ჩავიდა და ორი წელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ...

ტელევიზორი ერთი გვაქვს, დღეში კი ათი საინტერესო მატჩი მაინც იმართება. გადატვირთული კალენდარი ფეხბურთელებს აიძულებს, ყოველ მესამე დღეს ქანცის გაწყვეტამდე იბრძოლონ. ამ საკითხს შეეხო მსოფლიოს ფეხბურთის დიდი ოთხეულის თათბირი, რომელსაც პელე, ფრანც ბეკენბაუერი, ბობი ჩარლტონი და მიშელ პლატინი დაესწრნენ. ისინი მაგიდას დილით მიუსხდნენ, საღამოს კი მოლაპარაკება ჩიხში მოექცა.

უსამართლოდ მოექცნენ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს, კარლოს ალბერტო პარეირას. მას ბრაზილიური „ფლუმინენსეს“ თავკაცობაც ჩამოართვეს. თუმცა მისი პიროვნებით გაცილებით სახელოვანი კლუბები — „ფლამენგო“ და „ვასკუ და გამა“ დაინტერესდნენ.

ფეხბურთის ლეგენდამ ფრანც ბეკენბაუერმა განარკომანებულ დიეგო მარადონას მხარი დაუჭირა და საზოგადოდ განაცხადა, ყველამ ხელი გამოვიღოთ, ცხოვრებისგან ნაგვემმა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით დაასრულოსო. რატომ გაახსენდა კაიზერ ფრანცს დიეგო არმანდო? იმიტომ, რომ ვიზიტით გახლდათ არგენტინაში, სადაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მხარდაჭერას ითხოვდა.

ქართული ფეხბურთის ცეცხლში გამოწრთობილი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ბელგიის ჩემპიონ „გენკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოსკამპმა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტი ერთდროულად შეითავსა, მაგრამ როგორც მოვიდა, ისე წავიდა, ქართულ ფეხბურთსაც ნაკლებად დაატყო თავისი ხელი.

ღირსეულად სურს დაასრულოს თავისი სანაკრებო კარიერა ალან შირერს. „თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ, შემდეგ კი ნაკრებიდან წავალ. ვფიქრობ, ახალგაზრდებს უნდა დავუთმო ასპარეზი, რათა მომავალ მსოფლიო პირველობაზე ინგლისი სრული მზადყოფნით წარდგეს“ — ამბობს ალანი.

ყოფილმა გიუმაჟმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელმა ერიკ კანტონამ „ფულემის“ მილიონერ მეპატრონე მუჰამედ ალი ფაედისგან გუნდის მწვრთნელობის შეთავაზება მიიღო. თუმცა კლუბი ჯერჯერობით ყველაფერს უარყოფს და ამტკიცებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მხოლოდ ჭორია.

შეხვედრის მთავარი არბიტრი გოლს ზეიმობდეს, ალბათ, პირველად ლივერპულში იხილეს, „ენფილდ როუდზე“ მყოფთ ეს კარგა ხანს ემახსოვრებათ. ცნობილმა მსაჯმა მაიკ რიდმა კი თავი ასე გაიმართლა: „შეხვედრაში ლიდსელმა ლივერპულელი ფეხბურთელი წააქცია, მაგრამ ბურთი მასპინძლებს დარჩათ. მათ იერიშის გაგრძელების საშუალება მივეცი და ეპიზოდი გოლით დასრულდა, რამაც ჩემი გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა და ძალიან გავიხარე“.

ჩრდილოეთ სტეფორდშირში, ნაფილდის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 85 წლისა გარდაიცვალა ინგლისური ფეხბურთის პირველი რაინდი, სერ სტენლი მეტიუზი. სერ სტენლიმ ინგლისის ეროვნულ გუნდში პირველად 19 წლისამ ითამაშა და 54 მატჩით დაასრულა სანაკრებო კარიერა. დიდი ფეხბურთი მან 50 წლისამ მიატოვა.

ცნობილი ფეხბურთელი, რომელსაც სიცოცხლეში ძეგლი დაუდგეს, გაბრიელ ბატისტუტაა, „ფიორენტინას“ არგენტინელი თავდამსხმელი და ფლორენციელ ქომაგთა კერპი. 31 წლის ბატიგოლი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ პრემიერლიგაში თამაში სურს და მომავალი სეზონიდან შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა მოირგოს.

ძველი საბერძნეთში ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებასაც კი უკრძალავდნენ, თუმცა სპორტსმენი მანდილოსნებით დღეს ველარავის გააკვირვებ. ბრიტანელებმა უფრო მეტიც მოინდომეს, ვინმე ვენდი ტომსს შავი ფორმა ჩააცვეს და ალამი უბოძეს. ასე მოინათლა მანდილოსანი ფეხბურთის მსაჯად.

წამყვანმა ევროპულმა კომპიუტერულმა კომპანიამ რონალდოზე ვიდეოთამაში შექმნა. ბრაზილიელი ვარსკვლავი კანის დიდ ბაზრობაზე ჩავიდა და თამაშის პრეზენტაციას დაესწრო. ბურთაობის მეტს ეს კაცი უკვე ყველაფერს აკეთებს. ამბობენ, აპრილიდან ფორმაში ჩადგებაო, ვნახოთ...

ჭორები დაირხა, დევიდ ბექემმა „მანჩესტერ იუნაიტედზე“ გული აიყარა და სერ ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტი მოუვიდაო. ამის თქმა და „ინტერის“ გააქტიურება ერთი იყო. იტალიური პრესის ცნობით, მილანურმა გუნდმა ინგლისის ჩემპიონს დევიდის სანაცვლოდ 54 მილიონი დოლარი შესთავაზა.

ხორვატიული ზაგრების „კროაციას“ 44-კაციანი დირექტორთა საბჭო შეიკრიბა. 43 ხმა ერთის წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიღებულია, „კროაციას“ კვლავ ძველი სახელი — „დინამო“ ეწოდა. DYNAMIS ბერძნული სიტყვაა და ძალას ნიშნავს. აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავდა გუნდი, რომელსაც ამ სიტყვის ოდნავ სახეშეცვლილი ვარიანტი, „დინამო“ ერქვა.

ჯანლუკა ვიალიმ შარშან სპორტულ სამყაროს თავისი სათამაშო კარიერის დასასრული აუწყა, 2000 წლის დადგომასთან ერთად კი აზრი შეიცვალა. „ჩელსის“ 35 წლის თავკაცმა ფეხბურთელთა ოფიციალურ განაცხადში თავის გვარიც შეიტანა. არ არის გამორიცხული, ვიალი მწვანე მინდორზე კვლავ ვიხილოთ.

ჰავანაში ნარკომანიისგან სამკურნალოდ მყოფ დიეგო მარადონას სიკვდილი ემუქრება — ასე დაასკვნა ლეგენდარული არგენტინელის ძველმა მეგობარმა ხულიო ალბერტომ, რომელმაც დიეგო კლინიკაში მოინახულა. „მას სრული იზოლაცია სჭირდება, ეს მისი უკანასკნელი შანსია, ნუ მოკლავთ დიეგოს“ — ამბობს ალბერტო.

# ალაჰმა უწყის...

იმას, რაც აზერბაიჯანულ ფეხბურთში ხდება, კაცი თავს და ბოლოს ვერ გაუგებს. მოგეხსენებათ, იქაურ ფეხბურთის ფედერაციაში განხეთქილება მოხდა. ამბოხებულებს კლუბებიც შეუერთდნენ და ჩემპიონატი მე-7 ტურის შემდეგ შეწყდა. ჩვენმა მეზობლებმა მტყუან-მართალის გარკვევა თავად ვერ შეძლეს და საქმეში ფიფა ჩაერია. სასწრაფოდ საერთო ენა გამონახეთ და ჩემპიონატი განაახლეთ, თორემ მოგკვეთთო, უთქვამთ მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურთ. ფიფას რომ ხუმრობა არ უყვარს, ყველამ იცის, ამათ კი ვერ გაიგეს. მოშუღარი მხარეები თითქოს კომპრომისებზეც წავიდნენ, ფედერაციის ყრილობის ვადაც დათქვეს და კლუბებიც თამაშის გაგრძელებაზე დაიყოლიეს. ორშაბათს ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „შეთანხმება მიღწეულია. მომდევნო უქმეებზე ჩემპიონატი განახლდება და მასში უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდი ჩაებმება. კეთილი ნება გამოვიჩინეთ და არავის დასჯას არ ვაპირებთ“. კარგი ნათქვამია, აჯანყებულები რომ უნდა შემოირიგოს ისეთი, მაგრამ...

გადის სულ რაღაც ერთი საათი და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კიმიტეტს გადაწყვეტილება გამოაქვს: თერთმეტი კლუბი, რომლებმაც ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადეს, რაც ორთვიანი იძულებითი შესვენების მიზეზი გახდა, დაჯარიმდეს. თითოეულ კლუბს 5 ათასი მანათის (ათასი დოლარი) გადახდა დაეკისრა.

ნავთობით მდიდარი ქვეყნის კლუბები აღნიშნულ თანხას როგორმე გადაიხდიან. მაგრამ ერთიცაა, შერიგების სურვილი სადღაც დაიკარგა. ცხადია, კლუბებს სადისციპლინო კომიტეტის ბრძანება არ ეამებათ და სავარაუდოდ კონფლიქტიც ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. ფიფაშიც უფიქრიათ, მოდავეები ციურიხში დავიბარეთ და არაფერი გამოვიდა, იქნებ თავად ჩავიდეთ ბაქოში და მშვიდობა დავამყაროთო. ფიფას დელეგაცია აზერბაიჯანს მომავალ კვირაში ესტუმრება და ღმერთმა ნუ ქნას, გაწელილმა სკანდალმა მსოფლიოს ფეხბურთის ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აუვსოს, თორემ...

დაბოლოს, შენიშნავდით, აზერბაიჯანის პირველობაზე თორმეტი გუნდი თამაშობს, დაჯარიმებული კი მხოლოდ თერთმეტია. ის ერთი, რომელიც ყველაფრით კმაყოფილია და განზე დგას, „ვილიას მასალი“ გახლავთ, რომელიც ვერგანახლებულ ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა და სანიმუშო ყოფაქცევისთვის აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას სამი დამატებითი ქულითაც დაუჯილდოვებია.

**გიორგი დარჯანია**

### კონკაკაფის ოქროს თასი

ფინალი

**კანადა 2:0 კოლუმბია**

1:0 დე ვოსი (45), 2:0 კორაზინი (67)

კანადა: ფორესტი, უოტსონი, მენეზისი, დე ვოსი, კლარკი, ფენვიკი, სტალტერი, ჰასტინგსი, ბრენანი, ნაში (კუსხი 89), კორაზინი

კოლუმბია: გომესი, მარტინესი, მოსკერა, დინასი, კორტესი, პერესი, კანდელო, ზაპატა, მოსკედა (ურტადო 46), ბონილია (კონგო 58), ასპრილია

### მეფის თასი

მატჩი III ადგილისთვის

**ბრაზილია XI 1:0 ესტონეთი**

ფინალი

**ტაილანდი 5:1 ფინეთი**

1:0, სრიკერი (22), 2:0 პიპატი (25), 3:0 სრიკერი (44), 4:0 ბორიბანი (56), 4:1 კალიო (74), 5:1 სრიკერი (81)

### ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი

ფინალი. I მატჩი

**ვასკუ და გამა 1:2 პალმეირასი**

საპასუხო მატჩი დღეს გაიმართება

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. მე-3 ტური

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 506 | ბარსელონა-პორტუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 507 | ჰერტა-სპარტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 508 | ფიორენტინა-ვალენსია | 1.8 | 2,8 | 4,4 |
| 509 | მანჩესტერი-ბორდო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 510 | მანჩესტერი-ბორდო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 514 | რომა-ლიდსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 515 | დორტმუნდი-გალათასარაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 516 | ატლეტიკო-ლანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 517 | იუვენტუსი-სელტა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 518 | იუვენტუსი-სელტა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 519 | არსენალი-დეპორტივო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 520 | მალიორკა-მონაკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

გერმანია. II ბუნდესლიგა

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | კიკერსი-კარლსრუე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

ინგლისი. I დივიზიონი

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | პორტსმუთი-ტრანმერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ბელგია

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

შოტლანდია

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | სელტიკი-დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 009 | სელტიკი-დანდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 010 | მოზერუელი-ჰარტსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

701 პარმა (1,15)-ვერდერი (4,0)
702 სლავია (3,1)-უდინეზე (1,25)
703 იუვენტუსი (1,1)-სელტა (5,0)
704 რომა (1,35)-ლიდსი (2,5)
705 მალიორკა (1,8)-მონაკო (1,6)
706 დორტმუნდი (1,5)-გალათასარაი (2,0)
707 ატლეტიკო (1,35)-ლანსი (2,5)
708 არსენალი (1,45)-დეპორტივო (2,1)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე (წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)

კალათბურთი

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 810 | ბოსტონი-ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 811 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 812 | დეტროიტი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 813 | დენვერი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 814 | ლეიკერსი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 815 | ნიუ იორკი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 816 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 817 | ორლანდო-შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 818 | მაიამი-სიეტლი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 819 | ჩიკაგო-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 821 | ჰიუსტონი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 822 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 823 | ფინიქსი-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |

ჰოკეი

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 839 | რეინჯერსი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 840 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 841 | ფლორიდა-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 842 | ჩიკაგო-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 843 | დალასი-ფილადელფია | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 844 | კალგარი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 845 | ფინიქსი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,0 |

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 846 | აილენდერსი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 847 | ატლანტა-სენტ ლუისი | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 848 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 849 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 850 | ლოს ანჯელესი-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 851 | სან ხოსე-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,0 |


## სიახლე!!!

### არ გადაყაროთ წაგებული ქვითრები!

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებათა მატჩების განახლებასთან დაკავშირებით „კროკო“ სიურპრიზს გთავაზობთ.
მათ, ვინც ფსონს „კროკოს“ მთავარ ოფისში (ფურცელაძის ქუჩა) შეიტანს და ვერ მოიგებს, დამატებითი შანსი ეძლევათ!
ის წაგებული ბილეთები, რომელთა ფსონი მინიმუმ 10 ლარს შეადგენს, მონაწილეობს გათამაშებაში, რომლის შედეგადაც 5 ბილეთის იღბლიან მფლობელს საშუალება ეძლევა წაგებული ფსონის შესაბამისი თანხით ახალი ქვითარი შეავსოს.
(დეტალურ ინფორმაციას ადგილზე გაეცნობით)


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.




ამბავი ვარსკვლავთ სიყვარულისა: პაველ ბურე და ანა კურნიკოვა

# მიდი პაველ, მიდი მალე!
## ბურემ ანა დანიშნა

ანა კურნიკოვასა და ჰოკეის სუპერვარსკვლავის, პაველ ბურეს რომანი სავსებით შესაძლებელია, სულ მალე ქორწინებით დასრულდეს.

28 წლის ჰოკეისტი და 18 წლის ჩოგბურთელი გასულ უქმეებზე მაიამი ბიჩის პრესტიჟულ რესტორან „ფორჯში" სადილობდნენ, როდესაც ბურე მოულოდნელად მუხლზე დაეცა და გაოცებული ხალხის თვალწინ კურნიკოვას სთხოვა, ცოლად გამომყევიო. როგორც იტყობინებიან, ანა უყოყმანოდ დათანხმებულა.

ეს სენსაციური ინფორმაცია თავის მკითხველებს გუშინ ინგლისურმა ბულვარულმა გაზეთებმა „სანმა" და „მირორმა" მიაწოდეს. თავად ისინი კი ამ ცნობას რესტორნის მფლობელ შარიფ მალნიკს დაესესხნენ, რომელიც ბურეს მეგობარი ყოფილა.

„დიახ, პაველი და ანა ჩვენთან დაინიშნენ. წვეულებაზე წასვლას ვაპირებდი, როდესაც პაველი ჩემთან მოვიდა და მითხრა, წამოდი, ეს-ესაა დამთანხმდა და ვიზეიმოთო. მათთან ერთად შამპანურით სადღეგრძელოები შევსვი და წვეულებაზეც ერთად წავედით. პაველი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და თავმდაბალი პიროვნებაა, ვისაც შევხვედრივარ, მათ შესანიშნავი ბავშვები ეყოლებათ".

ვარსკვლავური წყვილის რომანის შესახებ ჭორები პირველად დეკემბერში დაირხა. მაშინ „ფლორიდა პანტერსში" მოთამაშე ბურემ ფორტ ლოდერდეილის უბანში მდებარე ფეშენებელურ სახლში მე-40-41-ე სართულებზე შეიძინა ბინა. ბევრი არაფერი, სამი სართულით ზევით კურნიკოვას 3-მილიონდოლარიანი ბინა რომ არ მდებარეობდეს საცურაო აუზითა და ბაღით.

მაშინ ჰოკეისტი ირწმუნებოდა, აქ რომ გადმოვდიოდი, სულაც არ ვიცოდი, თუ ანას მეზობელი გავხდებოდი, მას მანამდე არც ვიცნობდიო. თავის მხრივ, კურნიკოვაც ამტკიცებდა, პანტერების თამაშებზე მხოლოდ იმიტომ დავდივარ, ჰოკეი მიყვარსო.

მოკლედ, მერე ჩოგბურთელი ავსტრალიის ღია პირველობაზე გაემართა, სადაც უკვე მარკ ფილიპუსისთან რომანიც მიაწერეს და ბურე ყველამ დაივიწყა, სანამ...

„შეიძლება, ჩვენ არ უარვყოფთ" — ასეთი პასუხი მიიღეს ჟურნალისტებმა, როდესაც ჰოკეისტს მომხდარზე კომენტარი სთხოვეს. ბურემ „ბუფალოსთან" მატჩში გუშინ სეზონში 43-ე გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო დაწინაურდა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არავის გახსენებია.

„უფრო დაწვრილებით ყველაფერზე შუა მარტში შეგატყობინებთ, როდესაც ანა ფლორიდაში დაბრუნდება" — დაუმატა ჰოკეისტმა.

კურნიკოვა ამჟამად აშშ-ის მეორე სანაპიროზე, კალიფორნიაში იმყოფება, სადაც WTA ტურის ზედიზედ ორ ტურნირში ითამაშებს. ბუნებრივია, უახლოეს დღეებში დაკითხვა არც მას ასცდება და თუ კომენტარს არც ის დაზარდება, აუცილებლად გაცნობებთ.

რიტორიკული კითხვა კი ასე ჟღერს: დაპატიჟებენ თუ არა ქორწილში სერგეი ფიოდოროვს, რომელიც ბურეს ყოფილი თანაგუნდელი და კურნიკოვას ყოფილი ბოიფრენდია?

**ავთანდილ სვანიძე**

# ნუ ეხუმრებით ბალზაკის ასაკის კაცებს

მეუვსმა (34 წლის) და ჩმილმა (37 წლის) სეზონის პირველი ორი მნიშვნელოვანი ერთდღიანი რბოლა მოიგეს და დაამტკიცეს, რომ ველორბოლაში ხანდაზმულობა ბევრს არაფერს ნიშნავს. როდის აღწევს ველომრბოლი თავისი სპორტული ფორმის პიკს? იშვიათი გამონაკლისების გარდა 25-30 წლისა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთდღიან რბოლებში გაცილებით მეტს ნიშნავს გამოცდილება, ვიდრე ახალგაზრდული შემართება.

ისტორიას ახსოვს მრბოლები, რომლებიც ასაკოვანნიც ბრწყინავდნენ. იოპ ზოტემელკი 1985-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაშინ იგი 40 წლის იყო. ჟილბერ დიუკლო-ლასალმა პარიზი-რუბე ორჯერ მოიგო (92-93 წლებში), როცა უკვე 40-ს მიუახლოვდა. ახლა კი იოჰან მეუვსი და ანდრეი ჩმილი...

ორი წლის წინ პარიზი-რუბეს დროს მეუვსი ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ძალიან მძიმე ტრავმა მიიღო. მაშინ ბევრი ამბობდა, ეს კაცი სპორტისთვის დაიკარგაო, მაგრამ არა. წვიმის, სიცივის, ქარის, ქვაფენილების მცოდნე და მოყვარულმა მეუვსმა დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევი იყო. სეზონი „მაპეის" წევრმა საკმაოდ კარგად დაიწყო და რამდენიმე რბოლაში თანაგუნდელების გამარჯვებაში საკმაო წილიც დაიდო. ახლა კი მისი დროც მოვიდა. ჰეტ ვოლკის რბოლა საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება და ძალიან ძნელი მოსაგებიცაა, რადგან მრბოლებს რამდენიმე ქვაფენილიანი მონაკვეთის გავლა უწევთ. დღის მთავარი შეტევა დაახლოებით გზის შუაწელში განხორციელდა. ლტოლვილთა ჯგუფში თითქმის ყველა ფავორიტი იყო, გარდა ვანდენბრუკისა და ვან პეტეგემისა. ბოლოსწინა ქვაფენილის დასაწყისში კი მეუვსმა სიჩქარე გაზარდა და კომპანიონები იოლად ჩამოიტოვა. „ტრავმის შემდეგ მთელი შარშანდელი სეზონი თითქმის ცალი ფეხით ვირჯებოდი, რადგან მარცხენა ბარძაყი ძლიერ მტკიოდა და დიდ დატვირთვას ვერ უძლებდა. ახლა კი ყველაფერი რიგზეა" — თქვა მეუვსმა, რომელიც სპორტიდან წასვლას კიდევ კარგა ხანს არ აპირებს.



ანდრეი ჩმილი მსოფლიოს თასით

მეუვსის გამარჯვების მეორე დღეს, კვირას, ბელგიაშივე კიურნი-ბრიუსელი-კიურნის რბოლა გაიმართა და მეორე ბელგიელი ვეტერანის, ანდრეი ჩმილის ზეობით დასრულდა. „ლოტოს" ლიდერის გამარჯვებას არავინ ელოდა, რადგან პელოტონს მოწყვეტილ ჯგუფში მისი თანაგუნდელები არ იყვნენ. თუმცა „ბებერმა ხარმა" ტაქტიკური რბოლის გაკვეთილი ჩაუტარა ახალგაზრდებს. იგი კარგა ხნით კირსიპუუსა და „კოფიდისის" არმადას (ვანდენბრუკი, პეერსი, პლანკერტი, ფარაზინი) უკან ატრიალებდა მშვიდად პედლებს, უკანასკნელ კილომეტრზე კი სპრინტი მოულოდნელად წამოიწყო. ამის გამო მისი მიყოლა ველარავინ შეძლო და შარშან მსოფლიოს თასის მომგებმა ჩმილმა კარიერის 25-ე გამარჯვება იზეიმა. „ახლა მილან-სან რემოზე ვფიქრობ" — განაცხადა 37 წლის სპორტსმენმა, ვისაც, მეუვსის მსგავსად, პენსიაზე გასვლის გაგონებაც არ უნდა.

**გაგი გურული**

ჭადრაკი

# ელიტა არსებობს!
## ეს, ალბათ, ხალიფმანმაც დაიჯერა

ახალი კვირის დაწყებამ ერთი პატარა ანდალუზიური ქალაქი ერთობ გამოაცოცხლა. ორშაბათს ლინარესში ცალკე ხარები ჩავიდნენ და ცალკე მოჭადრაკეები. შესაბამისად, ხალხი ქალაქის კორიდასაც მიაწყდა და ჭადრაკის სასახლესაც, სადაც მსოფლიოს ექვსმა რჩეულმა მოჭადრაკემ უმაღლესი რანგის სუპერტურნირის პირველი პარტიები ითამაშა. გახსნის ცერემონიალი რომ სანაქებო იქნებოდა, ამას რა დიდი ლაპარაკი უნდა. მოჭადრაკეებიც ისე მშვენივრად ჩაცმულ-დახურულები იდგნენ სცენაზე, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ვერსაჩეს პოდიუმი ეგონებოდა. ალარაფერს ვამბობთ ნაირ-ნაირ ჰალსტუხებზე, კასპაროვს, ანანდს, კრამნიკს, ლეკოს და ხალიფმანს გულმკერდს რომ უმშვენებდა. ერთადერთი შიროვი ჩანდა სიცხისგან შეწუხებული, რახან საყელო გვარიანად გაეღეღა. ცნობილი საჭადრაკო მეცენატისა და ლინარესის ტურნირის ამღორძინებლის, ლუის რენტეროს დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოების ცერემონიალმა სულ ტაშის გრიალში ჩაიარა. შემდეგ იყო პრესკონფერენცია, მაგრამ რახან მასზე ახალი არაფერი თქმულა, პირდაპირ პირველი ტურის ბატალიებზე გადავიდეთ. ორშაბათის მთავარი ინტრიგა არცთუ გამოკვეთილად, მაგრამ მაინც, კასპაროვისა და შიროვის პარტიას ახლდა. თუ გახსოვთ, მათი საბჭოს საჩემპიონო მატჩის ჩაშლა კასპაროვის ინიციატივა იყო, ისეთ კაცთან ვერ ვითამაშებ, ვისაც მთელი თავით ვჯობივარო. იქიდან მოყოლებული ამ მოჭადრაკეების ყოველი პარტია რაღაცას ნიშნავს და მაყურებელიც ყოველთვის გაფაციცებით ადევნებს თვალს. აქამდე შიროვს კასპაროვთან ნათამაშევი 15 პარტიიდან 8 წაეგო და შვიდგზის ყაიმს დასჯერებოდა. ეს ხომ ფსიქოლოგიურად მოქმედებს და ექსრიგელი ერთხელაც დამარცხდა. შიროვმა რუსული პარტია გაითამაშა, რომელიც შავებისთვის უპირატესობის მოსაპოვებლად დიდი ვერაფერი იარაღია, სამაგიეროდ, თანაბარი თამაშის გასაშლელად ფრიად მოხერხებულ დებიუტად ითვლება. კასპაროვმა მცირე უპირატესობა მიიღო, თუმცა მისი რეალიზება თითქმის გამორიცხული ჩანდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ფიგურების უმეტესობა გაიცვალა და დაფაზე პრაქტიკულად საყაიმო ენდშპილი ჩამოყალიბდა. რჩებოდა ბოლო გაბრძოლება და თითქოს ყაიმიც უნდა გაფორმებულიყო, როცა ქვემორე პოზიციაში შიროვი უცნაურად მოიქცა:



ამ ადგილას ექსრიგელის მიერ გაკეთებული სვლა 31...მC8 არის უხეში ტაქტიკური შეცდომა, რისთვისაც ნებისმიერი მწვრთნელი თავის პირველთანრიგოსან მოწაფეს ყურს აუწევს, საით იყურებოდიო. კასპაროვმა მირთმეული მსუყე ლუკმა შეირგო, რადგან გააგრძელა 32. ეab7 ეXb7 33. ეXc8+ მფg7 34. კXb7 და ამგვარად, პაიკში მხედარი მოიგო. ამის შემდეგ საქმის ტექნიკური დეტალებიღა რჩებოდა მოსაკვარახჭინებელი და კასპაროვსაც რაღა ღმერთი გაუწყრებოდა, ოციოდ სვლაში თავზეხელწავლებული მეტოქისთვის მარცხი არ ეჭმია.

ლეკოსა და ანანდის პარტიას ბოლომდე მხოლოდ მთქნარების მოყვარულნი შემორჩნენ, რადგან მასში საინტერესო არაფერი მომხდარა. გაზეპირებული სადებიუტო სქემა, ორმხრივი უშეცდომო თამაში, გააზრებული გაცვლები და ბოლოს, სრულიად თანაბარი ენდშპილი საყაიმო შედეგით —აი, არაპროფესიონალის თვალით დანახული თამაში. მოჭადრაკე ინდო-უნგრულ პარტიაში, ალბათ, სხვა რამეებსაც შენიშნავდა — საინტერესო იდეებს, სტრატეგიულ მანევრებს და ასე შემდეგ, მაგრამ გარეგნულად პარტია თავიდან ბოლომდე უფერული ჩანდა და ლოგიკური შედეგითაც დასრულდა. სამაგიეროდ, დიდი აურზაურით ჩაიარა ხალიფმანისა და კრამნიკის შეხვედრამ. ფიდე-ს ჩემპიონი შარშანდლიდან მოყოლებული გაიძახის (უფრო ზუსტად, კარგა ხანია, გაიძახის, მაგრამ შარშანს აქეთ უკვე ყურადღებით უსმენენ), არავითარი ელიტა არ არსებობსო, თუმცა საქმით ვერაფერი დაუმტკიცებია. იანვარში იგი 1,5:4,5 დამარცხდა ლეკოსთან და აგერ, ლინარესის პირველივე ტურში თეთრებით წააგო. ხალიფმან-კრამნიკის პარტია ტურის ყველაზე ლამაზი სანახაობა გამოდგა. სადებიუტო მომზადებას პირველი შეტაკება ცენტრში მოჰყვა, სადაც ხალიფმანის პაიკი გამაგრებული იყო და ფეხის მოცვლას არ აპირებდა. კრამნიკს ეს პაიკი თვალში არ მოუვიდა და აქეთ-იქიდან ორი თავისი მიუსია, ფიგურებიც მოიხმარა და გვარიანი დაკა-დაკის შემდეგ, როგორც იქნა, ცენტრი მეტოქისგან გაწმინდა, ამასთან, თეთრებს მეფის ფრთაზე პაიკები გაუორდათ და მათი გვირგვინოსანი უპატრონო ბავშვივით მარტო დარჩა. არიქა, მეფე გველუპებაო და თითქმის ყველა თეთრი ფიგურა მისკენ გაქანდა, რასაც შავები გაკვირვებით შეჰყურებდნენ, რამ დააფეთა ეს ხალხი, მათი მეფისკენ წასვლა სულ არ გვიფიქრიაო. მართლაც, კრამნიკმა თავისი მთავარი ძალები ცენტრში დააგროვა, სწრაფად შეუტია და ხალიფმანის ჯარი ორ არათანაბარ ნაწილად გააპო. ერთ მხარეს იდგა თეთრი მეფე მეტად სქელი დაცვით, ხოლო ლაზიერის ფრთას ხალიფმანის ერთადერთი კუ შერჩენოდა, რომელსაც შავი ლაზიერი, ეტლი და მხედარი სამი მხრიდან უტევდნენ და ჩაყლაპვას უქადდნენ. როცა კუს გადარჩენის შანსი მოისპო, 35-ე სვლაზე ხალიფმანი დანებდა. წაგებულს მეორე ტურში უმნიშვნელოვანესი პარტია ელის კასპაროვთან, რომელიც ტურის ცენტრალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

**დავით გულუა**




ხალიფმან-კრამნიკის პარტია ყველაზე ლამაზი და ყველაზე ხმაურიანიც იყო

# მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია შერცხვა

25 თებერვალი

**ველინგტონი (ახ. ზელანდია) 40**
**დურბანი (სამხ. აფრიკა) 23**
ველინგტონი: 5ლ — ლომუ (2), კალენი (2), ლილი; 3გ. და 3 ს — ჰოლუელი
დურბანი: 3 ლ — ოლკოკი, ვანტერი, ლე რუ; 1 გ. და 2 ს — დიუ ტუა
**კანბერა (ავსტრალია) 15**
**ოკლენდი (ახ. ზელანდია) 18**
კანბერა: 2 ლ — უოლკერი (2); 1 გ. და 1 ს — მორტლოკი
ოკლენდი: 2 ლ — რიჩელმანი, მაკა; 1 გ. და 2 ს — კეშმორი

26 თებერვალი

**დანიდინი (ახ. ზელანდია) 50**
**ბრისბენი (ავსტრალია) 13**
დანიდინი: 6 ლ — ელისი (2), როპატი (2), უილსონი, ჯირი; 4 გ. და 4 ს — ბროუნი
ბრისბენი: 1 ლ — ლეტჰემი; 1 გ. და 2 ს — დრეჰმი
**პრეტორია (სამხ. აფრიკა) 19**
**იოჰანესბურგი (სამხ. აფრიკა) 23**
პრეტორია: 1 ლ — ტ. ჟუბერი; 1 გ. და 4 ს — დე ბეერი
იოჰანესბურგი: 2 ლ — ლე რუ, ფან დერ ფოლტი; 2 გ. და 3 ს — ენგელბრეხტი
**კეიპტაუნი (სამხ. აფრიკა) 22**
**სიდნეი (ავსტრალია) 15**
კეიპტაუნი: 1 ლ — პაულსი; 1გ. და 5 ს — ფან სტრაატენი
სიდნეი: 4 ს — ბარკი; 1 ა — ედმონდსი

27 თებერვალი

**ჰამილტონი (ახ. ზელანდია) 24**
**კრაისტჩერჩი (ახ. ზელანდია) 27**
ჰამილტონი: 2 ლ — კრიჩტონი, დევისი; 1 გ. და 4 ს — ჯეკსონი
კრაისტჩერჩი: 2 ლ — ბლეკედერი, რალფი; 1 გ. და 4 ს — მერთენსი; 1 ა — მაუგერი



ველინგტონი — დურბანი. ალბერტ ფან დენ ბერგი და მისი თანაგუნდელები ველინგტონელებმა ძალიან დაჩაგრეს

გასულ უქმეებზე სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი საკლუბო ტურნირი დაიწყო. ზე 12-ის წინა ოთხი გათამაშება ახალზელანდიელთა გამარჯვებებით დასრულდა და ახლაც, პირველ ტურში კუნძულელებმა თავიანთი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. მათი ხუთი გუნდიდან ოთხმა მოიგო, ხოლო მეხუთე ისევ თანამემამულეებთან დამარცხდა. მსოფლიო ჩემპიონების, ავსტრალიელთა კლუბთაგან კი სამივემ წააგო. თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ.

წლევანდელი ზე 12-ის პირველი მატჩი ველინგტონში გაიმართა. სამხრეთაფრიკულ დურბანთან ფავორიტებად, რა თქმა უნდა, მასპინძლები ითვლებოდნენ, რომელთა რიგებშიც „ჯადოსნური სამეული" — ლომუ-უმაგა-კალენი — ირიცხებოდა. ეს სამი მორაგბე „ოლ ბლექსის" ძირითადი შემადგენლობისაა და როცა ხასიათზე არიან, მეტოქის დაცვას სულ ბდღვირს ადენენ ხოლმე. პირველ ტაიმში დურბანელები, თავიანთი ერთ-ერთი ლიდერის, „ქურციკი" დეონ კეიზერის არყოფნის მიუხედავად, ტოლ-სწორად ეპაექრნენ მრისხანე მოწინააღმდეგეს. მეტიც, სამი ლელო გაუტანეს და შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 17:15. მეორე ტაიმში მათ ორი ზუსტი საჯარიმოლა მიითვალეს, მასპინძლებმა კი აიწყვიტეს, განსაკუთრებით მატჩის მიწურულს და ლომუსა და კალენის წყალობით გამარჯვებასთან ერთად პრემიალური ქულაც მიითვალეს.

იმავე დღეს კანბერაში ჩემპიონობის ორი რეალური კანდიდატი შეერკინა ერთმანეთს. შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს. მასპინძლებს სამჯერ მოუწიათ უმრავლესობაში თამაში, რადგან ოკლენდელები საკმაოდ უხეშობდნენ, რაც არბიტრს არ გამორჩენია. ტაიმი სტუმრებმა მოიგეს 13:10. მეორე ორმოცწუთეულში ავსტრალიის უმთავრესმა გუნდმა ძლიერ მოინდომა და უოლკერმა მეორე ლელოც გაიტანა. თითქოს გამარჯვება სულ ახლოს იყო, მაგრამ ორენე აიის წამოწყებული იერიში ფინაუ მაკამ დააგვირგვინა და კანბერამ ტურნირი საშინაო მარცხით დაიწყო.

შაბათს დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. დანიდინი ბრისბენს უნდა დახვედროდა. ორივე გუნდის კაპიტანი — ტეინ რენდელი და ჯონ ილსი — მსოფლიოს თასზე თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებსაც ყოჩობდა. ახალი ზელანდია აჯობებდა თუ ავსტრალია? ბრისბენი შარშან ჯგუფურ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა, თანაც საუკეთესო დაცვა ჰყავდა. მისი დამარცხება იოლი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ... თავიდან ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც ელოდნენ. ახალზელანდიელები გააფთრებით უტევდნენ, მაგრამ თავდადებით მოთამაშე ავსტრალიელთა დაცვის გარღვევას ვერაფრით ახერხებდნენ. მასპინძლებმა დაწინაურება მაინც შეძლეს. ბროუნის ოთხ საჯარიმოს დრეჰმმა მხოლოდ ორით უპასუხა. ტაიმის მიწურულს კი დანიდინელებმა მაინც გაიტანეს თავისი (და ლელოც) და პირველი ნახევარი 19:6 მოიგეს. თამაშის განახლებისთანავე მათ მორიგი შტურმი დაატეხეს მეტოქეს და საერთოდ, მთელი მეორე ორმოცწუთეული მათი უპირატესობით წარიმართა. შედეგად კიდევ 5 ლელო და პრემიალური ქულა.

სამხრეთაფრიკულ დერბიში პრეტორია იოჰანესბურგს მასპინძლობდა. შეხვედრა საკმაოდ უინტერესო და ცუდი საყურებელი იყო. ორივე გუნდის წევრები უამრავ შეცდომას უშვებდნენ ხელით თამაშისას, რაც კომბინაციების ხილვისგან „აზღვევდა" მაყურებელს. იგრძნობოდა, რომ სეზონის დასაწყისს მეტოქეები საკმაოდ მოუმზადებლად შეხვდნენ. პრეტორიელებს იმდღევანდელი მოწინააღმდეგის ბანაკიდან სულ ახლახან ორი ძლიერი მორაგბე — ნაკა დროცკე და ოსტ დიუ რანდტი გადაებირებინათ, თანაც მათი დამრტყმელი, „ოქროსფეხა" ჯანი დე ბეერიც მოსალოდნელზე ადრე გამომჯობინდა. ასე რომ, მასპინძლებს პირველი გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ... პირველი მარცხი იწვნიეს და, ალბათ, შარშანდელივით ბოლო ადგილისთვის არიან განწირულნი.

ავსტრალიელების ბოლო იმედი, სიდნეი ყველაზე ძლიერ სამხრეთაფრიკულ გუნდს, კეიპტაუნს სტუმრობდა. სიდნეელებმა მეტად სუსტად იასპარეზეს და ერთადერთნი შეიქნენ, ვინაც ტურში ლელო ვერ გაიტანა. მეტიუ ბარკის საჯარიმოებმა კი ავსტრალიელებს ვერ უშველა. სამხრეთაფრიკელთა დამრტყმელმა ფან სტრაატენმა მასზე ერთით მეტი შეაგდო. მასპინძლის [illegible] ბრეტონ [illegible] ლელოც გაიტანა და კეიპტაუნმა პირველი წარმატება იზეიმა.

[illegible] ტურის ბოლო მატჩში შარშანდელი ჩემპიონი კრაისტჩერჩი თანამემამულე ჰამილტონს ეწვია. თამაშში სტუმართა უპირატესობით წარიმართა, თუმცა პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 18:12. შესვენების შემდეგ კრაისტჩერჩმა მერთენსის წინამძღოლობით მალე შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ აშკარა უპირატესობის მიუხედავად, წინ გასვლას ვერაფრით ახერხებდა. თითქოს ტურნირის პირველ ფრეს წინ არაფერი ედგა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს მაუგერმა არეკნი ზუსტად შეასრულა და ჩემპიონებს პირველი ოთხი ქულა მოუტანა, მასპინძლებს კი ერთი პრემიალური ქულით დაკმაყოფილებამ მოუწია.

ზე 12-ის მეორე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 50:13 | 5 |
| ველინგტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 40:23 | 5 |
| კეიპტაუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 22:15 | 4 |
| იოჰანესბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 23:19 | 4 |
| კრაისტჩერჩი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 27:24 | 4 |
| ოკლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 18:15 | 4 |
| კანბერა | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 15:18 | 1 |
| ჰამილტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 24:27 | 1 |
| პრეტორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 19:23 | 1 |
| სიდნეი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 15:22 | 1 |
| დურბანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 23:40 | 0 |
| ბრისბენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 13:50 | 0 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

II ტური

3 მარტი
**დანიდინი — დურბანი**

4 მარტი
**ველინგტონი — ბრისბენი**
**იოჰანესბურგი — კეიპტაუნი**
**პრეტორია — სიდნეი**

5 მარტი
**ოკლენდი — ჰამილტონი**

*კანბერა და კრაისტჩერჩი ისვენებენ*

ავტორბოლა

# რას უნდა ნიშნავდეს ცეცხლი სტარტზე?

## ზაუბერ-პეტრონასი

დაარსდა 1970 წელს
პრეზიდენტი პეტერ ზაუბერი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1993 სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი
113 რბოლა, 84 ქულა
1999 წლის სეზონი: მე-8 ადგილი, 5 ქულა
შასი — ზაუბერ C-19
ძრავი — პეტრონას (ფერარი) V-10



პედრო-პაულო დინიცი

ბრაზილია
დაიბადა 1970 წლის 22 მაისს, სან პაულუში (ბრაზილია)
სიმაღლე 174 სმ, წონა 69 კგ
ჰყავს მეგობარი გოგონა კასია
ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1995, ბრაზილიის დიდი პრიზი (ფორტი)
82 რბოლა, 10 ქულა
1999 წლის ჩემპიონატი დაასრულა მე-14 ადგილზე, 3 ქულა
ასპარეზობდა: ფორტი — 1995, ლიჟიე — 1996, ეროუსი — 1997-98, ზაუბერი — 1999



მიკა სალო

ფინეთი
დაიბადა 1966 წლის 30 ნოემბერს ჰელსინკში (ფინეთი)
სიმაღლე 175 სმ, წონა 69 კგ
ჰყავს მეგობარი გოგონა ნორ[illegible]კო
ცხოვრობს ლონდონში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, იაპონიის დიდი პრიზი (ლოტუსი)
77 რბოლა, 25 ქულა
1999 წლის ჩემპიონატი დაასრულა მე-10 ადგილზე, 10 ქულა
ასპარეზობდა: ლოტუსი — 1994, ტირელი — 1995-97, ეროუსი 1998, BAR-ი და ფერარი — 1999

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შვეიცარიელთა გუნდი 30 წლის შესრულდა და იმედი აქვს, რომ წლეულს მაინც შეძლებს მოწინავეთა შორის მოხვედრას.

ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო: შედეგებით უკმაყოფილო ზაუბერს კადრები „შემოეცვალა" შემდეგ კი მოახერხა და „ფერარის" შარშანდელი ძრავიც შეინარჩუნა. ეს ძრავი საკმაოდ საიმედო გახლდათ და სიმძლავრითაც გამოირჩეოდა. შვეიცარიელებმა იგი განაახლეს, რის შედეგადაც სიმძიმის ცენტრმა უფრო დაბლა გადაინაცვლა. ძრავს ახალი, საკუთარი წარმოების შვიდსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი მოარგეს.

ახალი ზაუბერ-C-19-ის გამოცდის შემდეგ დინიცია და სალოც კმაყოფილი დარჩნენ და ერთხმად განაცხადეს, ეს მოდელი შარშანდელთან შედარებით უკეთესი სამართავიაო.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტესტებზე სალოს მანქანას ცეცხლი გაუჩნდა, თუმცა მექანიკოსებმა მოახერხეს ბოლიდის მოწესრიგება პილოტებმაც არცთუ ურიგოდ ირბოლეს.

**ალეკო ჭაბუკიანი**




წლეულს პეტერ ზაუბერს მხარში უდგანან მიკა სალო (მარცხნიდან) და პედრო-პაულო დინიცი



ვაშინგტონელმა ადამ ოუთსმა (77) სიუბილეო, მესამასე შაიბა აილენდერსის მეკარე რობერტო ლუონგო გაუტანა

# ბიჭი ჭკუაზე აღარ იყო...

28 თებერვალი

**ფლორიდა — ბუფალო 2:5**

0:1 1:3 1:1

0:1 ბარნსი 18'09 (15); 0:2 ჟიტნიკი 24'32 (2); 0:3 რასმუსენი 25'24 (8); 0:4 ბარნსი 32'45 (16); 1:4 პ. ბურე 34'57 (43); 2:4 სიმპსონი 46'15 (1); 2:5 შმეჰლიკი 48'10 (2)

**აილენდერსი — ვაშინგტონი 2:3**

0:0 2:2 0:1

1:0 ბრიმანისი 21'46 (1); 1:1 ჰალპერნი 27'42 (9); 1:2 დალინი 31'53 (10); 2:2 იოკინენი 37'58 (5)2:3 ოუთსი 54'59 (12)

**პიტსბურგი — ოტავა 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 ბარნაბი 8'21 (8); 1:1 დაკელი 25'55 (4)

ფლორიდელ სუპერვარსკვლავ პაველ ბურესა და ჩოგბურთის ლამაზმან ანა კურნიკოვას ურთიერთობებზე ჭორებს რეალური საფუძველი გაუჩნდა — როგორც ფლორიდელი ჟურნალისტები იუწყებიან, ჰოკეისტს ანასთვის ხელი უთხოვია და თანხმობაც მიუღია.

ეტყობა, სწორედ სატრფოსთან ურთიერთობაში არსებულმა ადრინდელმა გაურკვევლობამ იქონია რუსულ რაკეტაზე გავლენა. იგი ხომ წინა მატჩებში ნაკლებად ჩანდა და გოლებიც ვერ გაჰქონდა. ახლა კი, რაც ანასგან თანხმობა მიიღო, ბურე კვლავ დაფრინავდა და მორიგი 43-ე გოლით კვლავ გაიმყარა ლიდერობა სნაიპერთა სიაში. არადა, ამ უქმეებზე მისმა უშუალო მდევარმა, სანხოსელმა ოუენ ნოლანმა დუბლი შეასრულა (ეს მეათე მატჩი იყო სეზონში, სადაც მან ერთ გოლზე მეტი გაიტანა) და 38 გოლით მიუახლოვდა პაველს.

აქვე გაუწყებთ, რომ წლეულს ბრწყინვალედ მოასპარეზე ძმებ ბურეებს შეუძლიათ, ერთი ძალიან ძველი რეკორდი დაამხონ: 1968-69 წლებში ძმებმა, ბობი და დენის ჰალებმა 88 გოლი გაიტანეს (შესაბამისად 50 და 38), რაც ყველა დროის აბსოლუტური მიღწევაა. ბურეებს, პაველის ბოლო გოლისა და უმცროსი ძმის, ვალერის უქმეებზე გატანილი 3 შაიბის შემდეგ ჯამში უკვე 73 მოუგროვდათ. მთლიანობაში კი შედეგიანი ძმების პირველი შვიდეული ასე გამოიყურება:

1968-69: ბობი და დენის ჰალები (ორივე ჩიკაგო) — 88 (58 და 30) შაიბა

1981-82: პეტერ და მარიან შტიასნები (ორივე კვებეკი) — 83 (47 და 36)

1980-81: პეტერ და ანტონ შტიასნები (ორივე კვებეკი) — 78 (39 და 39)

1984-85: ბრენტ (აილენდერსი) და ბრაიან (სენტ ლუისი) სატერები — 77 (42 და 35)

1971-72: ფრენკ და პიტერ მაჰოვლიჩები (ორივე მონრეალი) — 75 (40 და 35)

1980-81: დერილ (ჩიკაგო) და ბრაიან (სენტ ლუისი) სატერები 75 (40 და 35)

1999-2000: პაველ (ფლორიდა) და ვალერი (კალგარი) ბურეები — 73 (42 და 31)

რეკორდები რეკორდებად, მაგრამ პაველის გოლმა ვერაფერი უშველა მის გუნდს, რომელმაც თებერვალიც ცუდად ჩაათავა და ბუფალოს იოლად დაემორჩილა. აღსანიშნავია, რომ უქმეებზე „ხმლების“ მეკარე დომინიკ ჰაშეკმა ორ მატჩში უჩვეულოდ ბევრი, 10 შაიბა გაუშვა (ეს, ალბათ, შაბათ-კვირის მთავარი სენსაცია გახდა), მაგრამ ამჯერად კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო. ფლორიდის მორიგი უიღბლობით ვაშინგტონმა ისარგებლა და აილენდერსთან მოგების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის ლიდერობისთვის მებრძოლ გუნდებს შორის მანძილი ორ ქულამდე შეამცირა, თუმც აუტსაიდერმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია „კეპიტალსს“.

მანამდე ვაშინგტონმა 13-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა ბოსტონთან შეხვედრაში, მაგრამ შემდეგ თავად დაამუხრუჭა მონრეალი 7 მატჩის ზედიზედ მოგების შემდეგ. აილენდერსთან გადამწყვეტი გოლი უბერებელმა ადამ ოუთსმა გაიტანა, რომლისთვისაც ეს შაიბა კარიერაში მე-300 გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ადამს, ლიგის ერთ-ერთ გამოჩენილ პლეიმეიკერს, ამჯერად უნდოდა, შაიბა პარტნიორისთვის გადაეცა, მაგრამ მცველთაგან ასხლეტილი კარში აღმოჩნდა.

„ადმი იმ მოთამაშეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც პარტნიორების წახალისება და გუნდის გამარჯვება უფრო უხარიათ, ვიდრე საკუთარი მიღწევები“ — თქვა მისმა თანაგუნდელმა მცველმა, კალე იუჰანსონმა. ჩვენ კი დავამატებთ, რომ დღეისთვის ოუთსს 300 გოლთან ერთად 875 პასი აქვს.

რაკი მიღწევებზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ ეს ნუსხა ორმა გამოჩენილმა დეტროიტელმა და ასევე ორმა ტორონტოელმა გაამდიდრა. პირველთაგან პეტ ვერბიკმა მე-1000 ქულით და ლარი მერფიმ 1541-ე თამაშით (კლუბის ისტორიაში მესამე შედეგია), ტორონტოელებმა — სტივ ტომასმა და ჯერალდ დიდაკმა კი შესაბამისად მე-1000 და მე-900 თამაში ჩაატარეს. სხვათა შორის, უქმეებზე ერთბაშად სამი ჰეთ თრიქი დაფიქსირდა, აქედან ორი ერთ თამაშში, სადაც ბუფალოელი მაიკ პეკას კარიერაში პირველ ამგვარ მიღწევას ბრწყინვალედ მოთამაშე რეინჯერმა პეტერ ნედვედმა თავის მე-5 ჰეთ თრიქით უპასუხა (ჰაშეკი ყველაზე მეტად სწორედ მისგან დაზარალდა). ერთიც სენტ ლუისში გადასვლის შემდეგ კვლავ ათამაშებულმა სტეფან რიშემ მიითვალა.

ლოსანჯელესელმა ლუკ რობიტაილმა და კალგარელმა ჯერომ იგინლამ (გოლი და 3 პასი ატლანტასთან) მორიგი შედეგიანი მატჩები გამართეს და პირადი ქულიანი სერია 13 თამაშამდე გაზარდეს. თანაც ორივეს 10 გოლი და 12 პასი მოუგროვებია ამ შუალედში.

როგორც ორშაბათს გახდა ცნობილი, შესაძლოა, ამ დღეებში ერთი ძალიან ხმაურიანი გაცვლა მოხდეს. მანამდე ჩრდილოამერიკულ პრესაში არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, რომ მარკ მესიეს სურს, სხვა გუნდში გადავიდეს. 39 წლის აწ უკვე ლეგენდისთვის ეს სეზონი ალბათ ბოლო იქნება მის ბრწყინვალე კარიერაში (თუნდ სტენლის 6 თასი რად ღირს). ბუნებრივია მისი სურვილიც — კიდევ ერთხელ მოხვდეს საპლეიოფო ატმოსფეროში და თასისთვის იბრძოლოს. ეს კი მისი ამჟამინდელი კლუბის, ვანკუვერისთვის აუხდენელი ოცნებაა. მართალია, მარკს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ ამგვარ მითქმა-მოთქმას ხომ ხშირად რეალური საფუძველი აქვს. თვით მარკი ბოლო მატჩებში ძალიან აქტიური იყო. ჩვეულებრივ ასე ხდება, როცა ჰოკეისტებს სურთ, მყიდველი არჩევანის სისწორეში დაარწმუნონ. როგორც გაირკვა, მესიეს ყიდვის ყველაზე დიდი სურვილი ნიუ ჯერსის გამოუმჟღავნებია. „ეშმაკთა“ უფროსობის ამგვარი გეგმა გასაგებიცაა. ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს აგერ უკვე მესამე სეზონია, პლეი ოფში უიღბლობა დაებედა, რასაც იმით ხსნიან, რომ კლუბს გამოცდილი და ლიდერული სულისკვეთების მქონე ვეტერანები აკლია. საამისოდ კი მესიე პირდაპირ მისწრებაა. ჯერჯერობით ყველაფერი ბურუსითაა მოცული. ორივე მხარე დუმს, თუმც ვარაუდობენ, რომ მესიეს ნაცვლად კანადური კლუბი ორ პერსპექტიულ ფორვარდს — დენის პედერსონსა და ბრენდან მორისონს, აგრეთვე მომავალ დრაფტში არჩევის უფლებას მიიღებს.

**სამველ ლარიბიანი**

ბიატლონი

# ფრუდეს თოფის ამბავი ანდრესენის ზღაპარი უწესო წესზე

მონადირეთა დაუწერელი, ხოლო ბიატლონისტების დაწერილი კანონების ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იარაღის დანიშნულების ადგილამდე დაუტენავად მიტანას მოითხოვს. სწორედ ამ მუხლით ამხილეს ახლახან ნორვეგიელი ფრუდე ანდრესენი, რომელმაც გასულ კვირას სამშობლოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატზე 10-კილომეტრიანი სპრინტი მოიგო და მაშინ, როცა წარმ ტების ზარზეიმით აღნიშვნა დააპირა, გა [illegible] ებინეს, რომ მისი ოქრო იქნებ ქარ წაიღოს. უტყუარი ინფორმაციით, ანდრესენმა სრიალი დატენილი შაშხანით დაიწყო, თუმცა რომელ უტყუარობაზეა ლაპარაკი — ნორვეგიელი ამ ფაქტს თავადაც ადასტურებს და გაოცებული კითხულობს, ასე ადრეც ბევრჯერ მოვქცეულვარ, რაღა ახლა ამიშარდითო. ახლა ჟურნალისტებს გაუკვირდათ, წესი ხომ იცოდიო, რაზეც ანდრესენმა უმანკო სახით მიუგო: „ცხადია, ვიცოდი, მაგრამ ვთვლიდი, რომ ეს უწესო წესია“. ფრუდეს ალალი კომენტარები ამით არ ამოწურულა. მე ოქროს მედალს ისედაც მოვიგებდიო, თქვა მან შემდეგ, თუმცა ბოლოს დიპლომატიურად დაუმატა, ამიერიდან კანონს უფრო ყურადღებით მოვეპყრობი და ბეჯითადაც შევასრულებო. ბიატლონის საერთაშორისო ფედერაცია ამ შემთხვევას, ცხადია, განიხილავს. საკმაოდ მალე, ორიოდ კვირაში ნორვეგიული ლახტი მსოფლიოს პირველობის გადადებულ, დასკვნით ეტაპს უმასპინძლებს და ბიატლონის მამებიც იქვე გამოუტანენ განაჩენს ანდრესენს.

**დავით გულუა**

# ველომრბოლი სატვირთო მანქანამ იმსხვერპლა

„არგენტინის ტურის“ ერთ-ერთ ეტაპზე ესპანელი სპორტსმენ საულ მორალესს, რომელიც „ფუენდალაბრადას“ გუნდის სახელით გამოდიოდა, სატვირთო მანქანა დაეჯახა. მძიმედ დაშავებული ველომრბოლი ჰოსპიტალში მიიყვანეს. ექიმთა ცდის მიუხედვად, იგი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. შეჯიბრება დაუყოვნებლივ შეწყდა და ორგანიზატორებს ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, რა ქნან.

## შედეგთა დაფა

### ძიუდო

26-27 თებერვალი

**მიუნხენის (გერმანია) A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი**

*კაცები.* 60 კგ. 1. კაზუჰიკო ტოკუნო (იაპონია), 2. ერიკ დესპეზელი (საფრანგეთი), 3. ანტონიო ვილენა (ესპანეთი) და მანოლო პულოტი (კუბა). 66 კგ. 1. ტომოო ტორიი (იაპონია), 2. ვიქტორ ბივოლი (მოლდოვა), 3. იორდანის არენსიბია (კუბა) და მაგომედ ჯაფაროვი (რუსეთი). 73კგ. 1. ფერიდ ხედერი (საფრანგეთი), 2. მარტინ გრაშმუკი (გერმანია), 3. კუნ ვან ნოლი (ჰოლანდია) და მარტინ შმიდტი (გერმანია). 81 კგ. 1. მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია), 2. ალექსანდერ გედეში (ბრაზილია), 3. ვალენტინ კნობლოხი (გერმანია) და რობერტ კრავჩიკი (პოლონეთი). 90 კგ. 1. სვენ ჰელბინგი (გერმანია), 2. იოსვაინ დესპაინი (კუბა), 3. მარკო შპიტკა (გერმანია) და მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია). 100 კგ. 1. იან სუნ ჰო (კორეა), 2. პაველ ნასტულა (პოლონეთი), 3. ბენ სონემანსი (ჰოლანდია) და არიკ ზეევი (ისრაელი). მძიმე. 1. ვლადიმირ სანჩესი (კუბა), 2. მურატ ჰასანოვი (რუსეთი), 3. დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) და სელიმ თათაროღლუ (თურქეთი)

*ქალები.* 48კგ. 1. ჟაო შუნსიანი (ჩინეთი), 2. ამარილის სავონი (კუბა), 3. ლუბოვ ბრულეტოვა (რუსეთი) და სუნ ია პაკი (კორეა). 52 კგ. 1. ლენია ვერდესია (კუბა), 2. ლეტისია ტინიოლა (საფრანგეთი), 3. იზაბელ შმუტცი (შვეიცარია) და კაროლინა მარიანი (არგენტინა). 57 კგ. 1. დრიულის გონსალესი (კუბა), 2. იუნ შენი (ჩინეთი), 3. მიხაელა ვერნეროვა (ჩეხეთი) და ბარბარა არელი (საფრანგეთი). 63 კგ. 1. ანა სარაევა (რუსეთი), 2. დანიელა კრაკოვერი (არგენტინა), 3. ლიმ იუნ სუკი (კორეა) და კეიკო მაედა (იაპონია). 70 კგ. 1. სიბელის ვერანესი (კუბა), 2. კეიტ ჰაუი (ბრიტანეთი), 3. კარინ ვარლე (საფრანგეთი) და მასაე უენო (იაპონია). 78 კგ. 1. უტა კოუნენი (გერმანია), 2. იუინ იუფენი (ჩინეთი), 3. იენი კარლი (გერმანია) და მელანი ენგოანგი (გაბონი). მძიმე. 1. სანდრა კიოპენი (გერმანია), 2. იოჰანა ჰანი (გერმანია), 3. დაიმა ბელტრანი (კუბა) და ირინა როდინა (რუსეთი)

### მთის თხილამურობა

27 თებერვალი

**იონგპიონგი. კორეა. მსოფლიო თასი**

*კაცები. სლალომი.* 1. მიტია კუნჩი (სლოვენია) — 1.31,97; 2. ოლე კრისტიან ფურუსეტი (ნორვეგია) — 1.32,70; 3. მარიო მატი (ავსტრია) — 1.32,97; 4. მარიო რაიტერი (ავსტრია) — 1.33,02; 5. კალე პალანდერი (ფინეთი) — 1.33,28; 6. კენტარო მინაგავა (იაპონია) — 1.33,29... 14. კეტილ ანდრე ომოდტი (ნორვეგია) — 1.34,13.

*მსოფლიო თასის ჩათვლა. სლალომი* (9 რბოლის შემდეგ) 1. ომოდტი — 508; 2. მათიაშ ვროვნიკი (სლოვენია) — 456; 3. თომას შტრასინგერი (ავსტრია) — 309

*საერთო ჩათვლა* (30 რბოლის შემდეგ) 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1570; 2. ომოდტი — 1260; 3. იოზეფ შტრბოლი (ავსტრია) — 862

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08



იყიდება
როტვეილერის
ლეკვები



☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

რეგულარული ჩემპიონატი

# პეიტონმა მასწავლებელს აჯობა

28 თებერვალი

**შარლოტი 81:84 სიეტლი**

შარლოტი: ვესლი (7 ქულა, 9 პასი), ჯონსი (23 ქულა, 5 ჩაჭრა), მეისონი (12 ქულა, 13 მოხსნა), კოულმენი (14), კემბელი (14 ქულა, 10 მოხსნა); ბრაუნი (7), ბ. დევისი (2), ფალერი (2), ელისი

სიეტლი: პეიტონი (32 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ბერი (13), პატერსონი (11), ბეიკერი (10), გრანტი (6 ქულა, 13 მოხსნა); ლუისი (11), მაკკოი (1), დევისი, პერსონი

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ უსტეფანიოდ და გამარჯვებით დაიწყო ხუთმატჩიანი აღმოსავლური გასვლა. არა, სტეფანიაც გუნდთან ერთად იყო. მადლობა ღმერთს, ვოვა ჯანზეა და არც 12-კაციანი შემადგენლობიდან ამოვარდნილა, თუმც ამას რა ხეირი მოაქვს, როცა ვოვას თუნდაც ორიოდ წუთით წაბურთავების საშუალება არ მიეცა. აი, „შარლოტთან“ ვესტფოლმა ოთხი მოთამაშე შეიყვანა შეცვლაზე, მაგრამ მათ შორის მხოლოდ რაშარდ ლუისი გამოირჩა. ეს ბიჭი ვერნონ მაქსველის ტრავმის შემდეგ სიეტლელთა მეექვსე მოთამაშე გახდა და შეცვლაზეც ყველაზე ხშირად იგი შეჰყავთ.

სათადარიგოები არც „შარლოტ ჰორნეთსს“ უვარგა, მაგრამ, ისევე როგორც „სიეტლს“, კარგი სასტარტო ხუთეული ჰყავს და ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის საკმაოდ სერიოზულ მეტოქედ ითვლება. შარლოტელი „კრაზანები“ შინ განსაკუთრებით მწარედ იკბინებიან. ამდენად „სიეტლმა“ საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა.

შარლოტელთაგან სტუმართა ფეხმარდი ლიდერის, გერი პეიტონის მეურვეობა მსროლელმა ედი ჯონსმა ითავა. მაინცდამაინც ჯონსმა იმიტომ, რომ მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, პეიტონს ჯანით აჯობებსო. სხვა თუ არაფერი, ჯონსი წლევანდელ სეზონში პირველია ჩაჭრებში. მან მართლაც არცთუ ურიგოდ ითამაშა დაცვაში, ხუთჯერაც ჩაჭრა, აქედან ორჯერ ბურთი პეიტონს აართვა, მაგრამ მაინც ვერას გახდა მეურვესთან. პეიტონი დრიბლინგის იმიტაციას აკეთებდა, ცრუმოძრაობაზე იჭერდა მეურვეს და შორიდან ბომბავდა მასპინძელთა კალათს. სამქულიანი დისტანციიდანაც ივარგა გერიმ, ხუთი სამიანი ჩააგდო. „ზებგერითთა“ ლიდერმა განსაკუთრებით მეორე ნახევარში გაილაღა. მან ამ ტაიმში თავისი 32 ქულიდან 21 გააკეთა, ხუთივე სამქულიანიც სწორედ ამ დროს ჩააგდო და დიდად დაეხმარა „სუპერსონიქსს“, პირველ ნახევარში ხუთქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ასევე რამდენიმექულიან უპირატესობას დაუფლებოდა. მასპინძელთა შორის ისევ ჯონსი და ენტონი მეისონი აქტიურობდნენ. ჯონსის სამქულიანმა 1,51 წუთით ადრე სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა 82:77. იქვე „შარლოტმა“ ბოლოჯერ გაიბრძოლა და გუნდებს ერთმანეთისგან ორი ქულაღა აშორებდათ — 83:81, მაგრამ აქ ბრენტ ბერიმ ერთი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა. სირენამდე ექვსი წამი რჩებოდა და მასპინძლებს შეხვედრის ხსნის შანსი კიდევ რჩებოდათ. ბურთი მეისონმა შეიტანა პირითი ხაზიდან, მაგრამ უხეიროდ და იგი პეიტონის წერა გახდა.

სხვათა შორის, გერი პეიტონს ამ მატჩში დაგროვილი 32 ქულის შემდეგ კარიერაში სულ 12831 მოუგროვდა და 124-ე ადგილზე აინაცვლა. ეს ფაქტი იქნებ არც მიიქცევდა ყურადღებას, პეიტონს საკუთარი მწვრთნელის, პოლ ვესტფოლისთვის რომ არ გადაესწრო. ვესტფოლს მოთამაშეობისას თორმეტი სეზონის განმავლობაში 12809 ქულა დაუგროვებია, პეიტონი კი თავის მეათე სეზონს ატარებს და იმედოვნებს, რომ ასეულში შესვლა არ გაუჭირდება.

**ბოსტონი 100:108 დალასი**

ბოსტონი: უოლკერი (23), პირსი (21), პოტაპენკო (19)

დალასი: ნოვიცკი (26), სტრიკლენდი (19)

**მაიამი 85:76 ნიუ იორკი**

მაიამი: მაშბურნი (24)

ნიუ იორკი: ჯონსონი (20)

**იუტა 106:101 ნიუ ჯერსი**

იუტა: მელოუნი (35 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), ჰორნაჩეკი (27)

ნიუ ჯერსი: მარბერი (34 ქულა, 11 პასი), კიტლზი (22), ვან ჰორნი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 80:75 ატლანტა**

გოლდენ სტეიტი: მარშალი (23 ქულა, 21 მოხსნა), ჰიუზი (23 ქულა, 10 მოხსნა)

ატლანტა: რაიდერი (24), ჯეკსონი (21)

**კლიპერსი 77:96 ჰიუსტონი**

კლიპერსი: ოდომი (20 ქულა, 11 მოხსნა)

ჰიუსტონი: მობლი (21)

„მაიამი“ თავისი ლიდერის, ალონზო მურნინგის გარეშე დახვდა მოსისხლე „ნიუ იორკს“. მურნინგს „ვაშინგტონთან“ მარცხენა ქუსლი უტკენია და ამ ომში მონაწილეობას მოერიდა. მაიამელთა ცენტრი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი იჯდა (უფრო ხშირად იდგა ან ნერვიულად მიმოდიოდა) მწვრთნელ პატ რაილის გვერდით და ეტყობოდა, გვარიანადაც ნერვიულობდა. მისი გუნდი ხომ უკვე პირველ მეოთხედში აგებდა 20 ქულის (!) სხვაობით სამულველ მეტოქესთან.

მურნინგის არყოფნაში რაილიმ ნიუიორკელთა ბებერ ცენტრს, პატრიკ იუინგს დუეინ ქოზველი მიუჩინა, მაგრამ პირველივე წუთებზე მიხვდა, რომ თუ მას მოედანზე დატოვებდა, 50 ქულის სხვაობით მაინც წააგებდა, ამიტომაც მატჩის დაწყებიდან შვიდი წუთის შემდეგ ახმახი ქოზველი თავდამსხმელი კლარენს ვეზერსპუნით შეცვალა. თავად განსაჯეთ, რამდენად გაამართლა ამ ნაბიჯმა. საწყის შვიდ წუთში იუინგს 6 ქულა და 4 მოხსნა ჰქონდა ანგარიშზე. დანარჩენ ნათამაშევ დროში ამ მონაგარს პატრიკმა ორი ქულა და ხუთი მოხსნაღა წაუმატა. გარდა იმისა, რომ დაცვაში ივარგა, ვეზერსპუნი არც შეტევაში შერცხვა და 14 ქულა შეაწია მასპინძლებს, რომლებიც კოშმარული პირველი თორმეტწუთეულის შემდეგ გამოფხიზლდნენ და სხვაობაც თანდათან დაძლიეს, ხოლო როცა მასპინძელმა ჯამალ მაშბურნმა მესამე მეოთხედის ბოლო წამებზე 61:60 გახადა და თავისი გუნდი ამ თამაშში პირველად გაიყვანა წინ, ფლორიდელებმა უკვე საბოლოოდ ირწმუნეს საკუთარი გამარჯვება და მეოთხე მეოთხედი უფრო მეტი ალმაფრენით ჩაატარეს, ვიდრე მეორე და მესამე.

„ნიუ იორკმა“ ვერ გაიმარჯვა და ვერც მისი მძლეველი „მაიამი“ დაძრა ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის სათავიდან. სხვათა შორის, „ნიუ იორკი“ დივიზიონში პირველ ადგილზე ბოლოს 1994 წელს გავიდა, როცა სწორედ პატ რაილი წვრთნიდა.





REUTERS ბოსტონიდან

ბოსტონი — დალასი. ბოსტონელი ადრიან გრიფინი (მარცხნივ) და რობერტ პეკი ბურთისთვის იბრძვიან





ბოსტონი — დალასი. დენის როდმანმა (№70) ბოსტონელ ტონი ბეტის დაასწრო

როგორც ამ ბოლო დროს ხშირად ხდება, „იუტა ჯაზს“ ძლიერ გაუჭირდა შინ არცთუ ძლიერ მეტოქესთან. „ნიუ ჯერსი“ არ თმობდა და ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ბოლოს მაინც მასპინძლებმა იძალეს. „იუტას“ ბებერი ბომბდამშენი კარლ მელოუნი თავს არ ზოგავდა, რათა მის გუნდს გაცილებით დაბალი კლასის მეტოქესთან შინ არ წაეგო. საბოლოოდ მელოუნმა ბლომად აგროვა ქულები, მოხსნები და პასები და სულ ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა კარიერაში მეოთხე სამმაგ დუბლამდე. არც მელოუნზე არანაკლებ ასაკოვანი ჯეფ ჰორნაჩეკი ცხრებოდა. მან თამაშში 11 სროლიდან მხოლოდ ერთი ააცილა. სამაგიეროდ, დაიჩაგრა მასპინძელთა 38 წლის გამთამაშებელი ჯონ სტოქტონი. მას ახალგაზრდა სტივენ მარბერიმ სასტიკად აჯობა. თუმცა მისი 34 ქულა მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ჰიუსტონ როკიტსსა“ და „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ დაახლოებით ერთნაირი შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ „ჰიუსტონს“ მიმდინარე სეზონში თამაშებიც მეტი მოუგია და არც „კლიპერსივით“ დაჩაგრულად გრძნობს თავს.

„კლიპერსი“ კვლავ გვარიანად შერცხვა, შინ 19 ქულის სხვაობით წააგო დაუძლურებულ „ჰიუსტონთან“ და კიდევ უფრო ღრმად ჩაეშვა ჭაობში. ჰიუსტონელთა რიგიან გარჯას დაცვაში „კლიპერსის“ იშვიათი უიღბლობაც თან დაერთო, მასპინძლებმა თამაშში სროლების 26,8 პროცენტი (97 სროლიდან 26) ჩააგდეს და კლუბის ყველა დროის ანტირეკორდსაც გამოჰკრეს ხელი. კიდევ გაუმართლათ, რომ ვერც მეტოქე ისროდა მაინცდამაინც ზუსტად („ჰიუსტონმა“ 37,8 პროცენტი ჩააგდო), თორემ სხვაობა კატასტროფული იქნებოდა. საქმე იქამდეც მივიდა, თავად სტუმრებს შეეცოდათ მასპინძლები. მატჩის შემდეგ ჰიუსტონელთა თავკაცმა რუდი ტომიანოვიჩმა გასახდელისკენ დერეფანში გვერდით მიმავალ „კლიპერსის“ ერთ-ერთ მოთამაშეს ტაირონ ნესბის გადაულაპარაკა: „ძნელია ამ ლიგაში თამაში“. „ძნელია, თუ შენ თვითონ გაიძნელებ“ — მიიღო ტომიანოვიჩმა პასუხად. არავინ გაუწვდის დახმარების ხელს, „კლიპერსმა“ თვითონ უნდა უშველოს წამხდარ საქმეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| მაიამი | 36 | 20 | 64,3 |
| ნიუ იორკი | 34 | 21 | 61,8 |
| ფილადელფია | 30 | 25 | 54,5 |
| ორლანდო | 25 | 31 | 44,6 |
| ბოსტონი | 23 | 33 | 41,1 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 34 | 39,3 |
| ვაშინგტონი | 16 | 40 | 28,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 38 | 17 | 69,1 |
| შარლოტი | 30 | 25 | 54,5 |
| ტორონტო | 29 | 25 | 53,7 |
| დეტროიტი | 28 | 27 | 50,9 |
| მილუოკი | 28 | 29 | 49,1 |
| ატლანტა | 22 | 32 | 40,7 |
| კლივლენდი | 22 | 33 | 40,0 |
| ჩიკაგო | 12 | 42 | 22,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 36 | 20 | 64,3 |
| იუტა | 35 | 20 | 63,6 |
| მინესოტა | 32 | 23 | 58,2 |
| დენვერი | 25 | 30 | 45,5 |
| დალასი | 24 | 31 | 43,6 |
| ჰიუსტონი | 22 | 35 | 38,6 |
| ვანკუვერი | 18 | 37 | 32,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 45 | 11 | 80,4 |
| ლეიკერსი | 45 | 11 | 80,4 |
| ფინიქსი | 34 | 21 | 61,8 |
| სიეტლი | 35 | 22 | 61,4 |
| საკრამენტო | 31 | 24 | 56,4 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 40 | 28,6 |
| კლიპერსი | 12 | 46 | 20,7 |

## კვირის მოთამაშე

**ვინს კარტერი • ტორონტო •**





გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ „ტორონტოს“ ფრთა ვინს კარტერს რომ აღიარებდნენ, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ამ ტიტულს ყველაზე მეტად ეს ჭაბუკი იმსახურებდა თუნდაც იმის გამო, რომ მან აღიარებიდან ერთი დღით ადრე „ფინიქსს“ 51 ქულა ჩაუგდო, ეს კი საუკეთესო შედეგია არა მარტო კალათბურთელის კარიერაში, არამედ მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატში და „ტორონტოს“ ექვსწლიან ისტორიაში. ის თამაში „რეპტორზმა“ 103:102 მოიგო კარტერის შედეგიანი თამაშის წყალობით. „ტორონტოს“ ლიდერმა იმ დღეს ყველა მანძილიდან ივარგა — 13 საჯარიმო სროლიდან ყველა გამოიყენა, თამაშში კი 32 სროლიდან 17 ჩააგდო, აქედან ოთხი სამქულიანი.

„ფინიქსთან“ შეხვედრის გარდა „ტორონტომ“ გასულ კვირაში კიდევ ორი მატჩი გამართა, რომელთაგან ერთი მოიგო. საბოლოოდ კვირის ლაურეატს ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 35,7 ქულა, 7,7 მოხსნა, 4,0 პასი და 2,3 ჩაჭრა მოუგროვდა. შედეგიანმა კვირამ, ცხადია, კარტერის საერთო მაჩვენებელზეც იქონია გავლენა. ახლა მისმა საშუალო შედეგიანობამ 25,3 ქულას უწია. რის შემდეგაც ტორონტოელმა ტიმ დანკანსა და კრის ვებერს გაუსწრო და ლიგის მექულეთა სიაში პრესტიჟულ მეხუთე ადგილზე მოკალათდა. კარტერს კვირის მოთამაშის ტიტულში ეცილებოდნენ ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), გრანტ ჰილი, ჯერი სტეკჰაუზი (ორივე დეტროიტი), დონიელ მარშალი (გოლდენ სტეიტი), ჯალენ როუზი (ინდიანა), ალონზო მურნინგი (მაიამი), კევინ გარნეტი (მინესოტა), პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი), როდნი როჯერსი (ფინიქსი) და გერი პეიტონი (სიეტლი)

## ესპანეთი

XXV ტური

კასერესი — კანარიასი 65:52, ფორუმი — ბარსელონა 64:79, ტდკ — ტაუ 64:66, ესტუდიანტესი — კახა სან ფერნანდო 71:55, ბრეოგანი — ბადალონა 84:75, კანტაბრია — ფუენლაბრადა 63:55, ხიხონი — რეალი 81:88, ლეონი — ხირონა 73:69, უნიკახა — პამესა 55:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 25 | 18 | 7 | 2030:1833 | 43 |
| სან ფერნანდო | 25 | 18 | 7 | 1830:1694 | 43 |
| ბარსელონა | 25 | 17 | 8 | 1847:1671 | 42 |
| ტაუ | 25 | 17 | 8 | 1985:1823 | 42 |
| ესტუდიანტესი | 25 | 17 | 8 | 1823:1705 | 42 |
| რეალი | 25 | 15 | 10 | 1888:1761 | 40 |
| კანარიასი | 25 | 14 | 11 | 1836:1849 | 39 |
| უნიკახა | 25 | 13 | 12 | 1735:1736 | 38 |
| ბადალონა | 25 | 12 | 13 | 1964:1974 | 37 |
| კასერესი | 25 | 12 | 13 | 1804:1841 | 37 |
| ხირონა | 25 | 11 | 14 | 1842:1809 | 36 |
| ბრეოგანი | 25 | 11 | 4 | 1811:1868 | 36 |
| ფორუმი | 25 | 10 | 15 | 1680:1773 | 35 |
| ფუენლაბრადა | 25 | 9 | 16 | 1825:1855 | 34 |
| ტდკ | 25 | 8 | 17 | 1673:1783 | 33 |
| ხიხონი | 25 | 8 | 17 | 1679:1876 | 33 |
| კანტაბრია | 25 | 8 | 17 | 1720:1948 | 33 |
| ლეონი | 25 | 7 | 18 | 1658:1830 | 32 |

# შენგელიამ უნგრული ფალკო თბილისის მაკაბიზე გაცვალა

## კახას უცხოურ გასაჭირს ისევ შინაური ურჩევნია

*ამ ცოტა ხნის წინ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ უნგრულ „ფალკოში“ მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ცენტრი კახა შენგელია შუა სეზონშივე სამშობლოში დაბრუნდებოდა და რომელიმე აქაურ კლუბს შეუერთდებოდა. გასული კვირის ბოლოს დარხეული ხმები, შენგელია ჩამოვა და თბილისურ „მაკაბიში“ ითამაშებსო, სულაც არ აღმოჩნდა გადაჭარბებული. ოთხი დღის ნამგზავრი, დაღლილ-დაქანცული კახა პირდაპირ მოედანზე აღმოჩნდა და ახალ გუნდს მეტად პრინციპულ შეხვედრაშიც შეეშველა სტუ-ს წინააღმდეგ.*

*ერთადერთი, რაც მის ჩამოსვლამდე ვერ გავგეგო, გახლდათ მიზეზი, თუ რამ აიძულა შენგელია, უნგრეთიდან წამოსულიყო. დავპირდით კიდეც, რომ უახლოეს მომავალში ყოველივეს დაწვრილებით გაცნობებდით. ახლა უკვე მაკაბელ შენგელიასთან ქვემორე ინტერვიუც სწორედ იმით დავიწყეთ, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა...*

— ბოლო დროს „ფალკოს“ ფინანსურად ძალიან გაუჭირდა, გუნდი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. გვიანდებოდა ხელფას-პრემიები, გარდა ამისა, ყოველივე კვებასაც დაეტყო, ქალაქიდან ქალაქში მგზავრობაც აღარ იყო ისეთი კომფორტული, როგორც წინ. კიდევ უამრავი წვრილმანია, რაც ნელ-ნელა ერთმანეთს დაემატა და დაიწყო კრიზისი, რამაც უნგრეთიდან წამოსვლა მაიძულა.

**— ჩვენი ამასწინანდელი სატელეფონო საუბრისას მსგავსი არაფერი გითქვამთ. მაშინ კარგად იყო საქმე?**

— ზუსტად აღარ მახსოვს, როდის გესაუბრეთ, ისე კი გეტყვით, რომ ყველაფერი ახალ წლამდე აირია. იმედი მქონდა, რომ ვითარება გამოსწორდებოდა, მაგრამ...

**— ვალში ხომ არ დაგრჩნენ უნგრელები, მიიღეთ კუთვნილი გასამრჯელო?**

— დაგვიანებით, მაგრამ მაინც ავიღე, რაც მერგებოდა.

**— როგორც ცნობილია, „ფალკოსთან“ სეზონის ბოლომდე გააფორმეთ კონტრაქტი. რაკი ეს ხელშეკრულება დაირღვა, ხომ არ მოგედავებიან უნგრელები?**

— ასეთი რამ გამორიცხულია. სეზონის ბოლომდე კი ითქვა, მაგრამ კონტრაქტში ისეთი პუნქტი ჩაიდო, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს შემეძლო „ფალკოდან“ წამოსვლა. მეც წინასწარვე საქმის კურსში ჩავაყენე კლუბის ხელმძღვანელობა. მათ ყველაფერი იცოდნენ, ასე რომ, ველარ შემომედავებიან.

**— დარჩენაზე თუ ჩამოაგდეს სიტყვა, არ უცდიათ თქვენი დაყოლიება?**

— სცადეს, თუმც ყველაფერი თავის, უფრო სწორად, ჩემს მოტყუებას ჰგავდა. მათმა ზერელე, არადამაჯერებელმა ლაპარაკმა ვერაფერში დამარწმუნა.

**— თქვენამდე არავის დაუტოვებია კლუბი?**

— არა, მაგრამ ბევრი აპირებდა სხვაგან გადასვლას. წამოსვლამდე „ფალკოს“ ამერიკელ ლეგიონერს ვესაუბრე, მანაც იგივე თქვა. ისედაც წასვლა მინდოდა და რაკი მიზეზიც გამომიჩნდა, აქ გაჩერებული აღარ ვარო.

**— „ფალკოს“ ფინანსური ჩავარდნა გუნდის წარუმატებელმა თამაშმა ხომ არ გამოიწვია?**

— არა. სადღეისოდ „ფალკო“ მესამე ადგილზეა და წლეულს უეჭველად ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მიზეზები უფრო, სხვაგანაა საძებნი.

**— ხშირად მოთამაშე გუნდიდან გუნდში გადასვლას უთამაშებლობით ხსნის. თქვენ ამაზე სიტყვაც არ დაგცდენიათ...**

— ამ მხრივ სამდურავი არ მეთქმის. „ფალკოს“ ძირითად ხუთეულში ვიყავი და თითქმის შეუცვლელად მიწევდა თამაში, ერთადერთი, ხუთი პერსონალებით თუ დავტოვებდი მოედანს.


კახა შენგელია

გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

**— უნგრული კალათბურთის დონეზე რაღას იტყვით?**

— საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატი აქვთ, დონეც წლიდან წლამდე იმატებს. უნგრეთში ადრეც ვყოფილვარ და ახლანდელს ვერც შევადარებ. ეს იმიტომ, რომ სერიოზულად ეკიდებიან კალათბურთს.

**— სხვა კლუბებს არ მიუწვევიხართ?**

— ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, „კიორმენდმა“ გამოთქვა ჩემი გადაბირების სურვილი, მაგრამ მე არ დავთანხმდი.

**— რატომ?**

— „ფალკოს“ და „კიორმენდს“ საერთო სპონსორი ჰყავს და რა გარანტია მქონდა, რომ იქაც იგივე არ განმეორდებოდა.

**— სხვა ქვეყნებიდან?**

— ახლა უკვე დაგვიანებულია, ყველა ნორმალურ კლუბს ამოწურული აქვს უცხოელის დამატების ლიმიტი.

**— მაშ, ისღა დაგრჩენოდათ, რომ საქართველოში დაბრუნებულიყავით. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „მაკაბი“?**

— საქმე ისაა, რომ მოწვევა სწორედ „მაკაბისგან“ მივიღე. აქედან სხვა არავინ შემხმიანებია.

**— მაშინვე დათანხმდით?**

— ერთი კვირაა, რაც ეს გადაწყვეტილება მივიღე. სწორედ მაშინ, როცა წამოსვლას ვაპირებდი, „მაკაბის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და თავისი პირობები შემომთავაზა. მეც ბევრი აღარ მიჭოჭმანია.

**— ვაითუ „მაკაბი“ ექვსეულში ვერ მოხვდეს, ამაზე არ დაფიქრებულხართ?**

— ყველაფერი წინდაწინვე გავიაზრე. კლუბის თავკაცებმა მანამდე ამიხსნეს ყოველივე, მითხრეს, თუ რა შანსები აქვს გუნდს. მართალია, გარკვეულ რისკზე წავედი, მაგრამ, ვფიქრობ, „მაკაბის“ ექვსეულში შეღწევის საკმაოდ რეალური შანსი აქვს.

**— ახალ კლუბთან უკვე გააფორმეთ ხელშეკრულება?**

— ჩვენ სიტყვიერად შევთანხმდით, რომ სეზონის ბოლომდე „მაკაბიში“ დავრჩები.

**— თქვენ უკვე ითამაშეთ კიდეც სტუ-ს წინააღმდეგ. შესაბამისად, აზრიც ჩამოგიყალიბდებოდათ „მაკაბიზე“...**

— თვალნათლივ დავინახე, რომ ამ გუნდს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. „მაკაბი“ ნორმალური გუნდია, რომელსაც საკუთარი სათამაშო სტილი აქვს. ამ გუნდთან ერთად არც კი მივარჯიშია, პირდაპირ მოედანზე გავედი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბიჭებთან შეუთამაშებელი ვარ. მალე ამ ნაკლსაც აღმოვფხვრით და მერწმუნეთ, უფრო და უფრო უკეთესი შედეგი გვექნება.

**— სტუ-სთან შეხვედრისას სხვა არაფერი გენიშნათ?**

— არ მინდა, ვინმეს საწყენად მიიღოს, მაგრამ ფაქტია, რომ „მაკაბი“ სკამის სიმოკლის განიდის. ამ გუნდს სრულფასოვანი სათადარიგოები არ ჰყავს.

**— საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

— შეუძლებელია, ასე რომ ყოფილიყო. თითქმის თვეა, საერთოდ არ მივარჯიშია, ბურთს არ გავკარებივარ. ამას ისიც დაამატეთ, რომ ოთხი დღე გზაში ვიყავი და იმ დღის ჩამოსულმა ვითამაშე.

**— ვარჯიშს რაღა ედგა წინ?**

— ჯერ იყო და უნგრეთის ჩემპიონატში შესვენება დაემთხვა, მერე წამოსვლაც გადავწყვიტე და ოფიციალური მხარის მოგვარება თვემდე გაიწელა.

**— თავად მატჩზეც უნდა გკითხოთ. შეიძლება ითქვას, მოგებული თამაში დათმო „მაკაბიმ“...**

— ამაზე საუბარს შეგნებულად თავს ვარიდებ. ვიცი, რომ საბოლოოდ მაინც მსაჯობას მივადგები. იმ დღესვე ვუყურეთ იმ თამაშის ვიდეოფირს, საგულდაგულოდ გავარჩიეთ ყოველივე და აღმოვაჩინეთ, რომ მსაჯებმა ძალიან ბევრი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს.

**— იქნებ თქვენშიც საძებარია დამარცხების მიზეზი?**

— მაგაში გეთანხმებით. რაც არ უნდა ცუდი და მიკერძოებული იყოს მსაჯი, თვრამეტი ქულით დაწინაურებულმა გუნდმა მატჩი აღარ უნდა წააგოს. იყო ეპიზოდი, ოცი-ოცდაორი ქულით წინ უნდა გავსულიყავით, ამის ნაცვლად სტუ-მ შვიდ ქულამდე შეგვიმცირა სხვაობა. ასეთ დროს სხვა არავინაა დამნაშავე, თუ არა თავად გუნდი. ორი აზრი არაა, ის თამაში უნდა მოგვეგო, დამარცხება არაფრით შეიძლებოდა, სულ უმწვრთნელოდ რომ ვყოფილიყავით, მაინც არ უნდა წაგვეგო.

**— თითქმის ორი წელია, საქართველოში არ გითამაშიათ. მაშინდელსა და დღევანდელს შორის თუ ამჩნევთ რაიმე განსხვავებას?**

— ამაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ. მე არ მინახავს „ბასკოს“, „აზოტის“, „ვითას“ თამაშები. როგორც ვიცი, სწორედ ეს გუნდები ქმნიან ამინდს დღევანდელ ქართულ კალათბურთში.

**— სამაგიეროდ, თქვენ პირადად დაუპირისპირდით სტუ-ს. იქნებ არც იცით, რომ ამ კლუბსაც საჩემპიონო ამბიცია აქვს...**

— თუ ასეა, მაშინ უბრალოდ ვიტყვი, რომ „მაკაბის“ არავისზე ნაკლები შანსი არ ჰქონია და ისიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. სტუ-სა და „მაკაბის“ შორის დიდ განსხვავებას ნამდვილად ვერ ვხედავ.

**— საქართველოში დიდხანს დარჩებით?**

— სამომავლოდ კვლავაც საზღვარგარეთ წასვლა მსურს. ვნახოთ, ეს უკვე სხვა დროის სალაპარაკოა.

**— უნგრეთში ყოველწლიურად საწვრთნელი შეკრებები ეწყობა. იქ გამგზავრებას არ აპირებთ?**

— მიწვეული ვარ, მაგრამ არ ვიცი, მოხერხდება თუ არა. საქმე ისაა, რომ იმ დროს ეროვნული გუნდის თამაშები ემთხვევა. ნაკრებს თუ დავჭირდები, მაშინ უნგრეთში წასვლა გამოირიცხება.

**— ნაკრების ხელმძღვანელობას უკვე ესაუბრეთ?**

— რაც ჩამოვედი, არა, მანამდე რამდენჯერმე ტელეფონით ველაპარაკე ზურაბ ტომარაძეს.

**— როგორ ფიქრობთ, მზად ხართ ნაკრებში სათამაშოდ?**

— ამწუთას ნამდვილად არა. ხომ გითხარით, თვეა, არ მივარჯიშია. თუმცა, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშს შევუდექი და ვიმედოვნებ, რომ სულ მალე ჩვეულ ფორმას დავიბრუნებ.

**გიორგი გიკაშვილი**

## ევროლიგა. მერვედფინალი (ორ მოგებამდე)

პირველი მატჩები. 29 თებერვალი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| ულქერი | 0 |

ბარსელონა 78:73 ულქერი

| | |
|---|---|
| ცსკა | 0 |
| ციბონა | 1 |

ცსკა 72:75 ციბონა

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 1 |
| ბენეტონი | 0 |

ფორტიტუდო 82:73 ბენეტონი

| | |
|---|---|
| ეფესი | 1 |
| ალბა | 0 |

ეფესი 90:81 ალბა

| | |
|---|---|
| ოლიმპია | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 0 |

ოლიმპია 65:61 ოლიმპიაკოსი

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 1 |
| რეალი | 0 |

ვილერბანი 72:59 რეალი

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| ბუდუჩნოსტი | 0 |

პანათინაიკოსი 65:59 ბუდუჩნოსტი

| | |
|---|---|
| მაკაბი | 1 |
| პაოკ | 0 |

მაკაბი 77:62 პაოკ

## ევროპის ჩემპიონატი 2001

შესარჩევი ეტაპი. V ტური. 26 თებერვალი

### A ჯგუფი

**უნგრეთი 96:89 ინგლისი**

ძირითადი დრო 78:78

უნგრეთი: ციგლერი (4), დავიდი (26), ფოდორი (9), გულიაში (22), ჰალმი (9), კალმანი (9), ნემეტი (7), პანკარი, შიტკუ (10)

ინგლისი: ოსტინი (10), ბარნსი (2), ბეტსი (9), ბაკნელი (31), კარტერი (3), ჩუნგი (5), გარდინერი (19), ჰანსელი (6), ჰერიმენი, მენსა-ბონსუ (4)

**ხორვატია 89:88 ლატვია**

ხორვატია: ბაგარიჩი, გირიჩეკი (33), კრსტიჩი (4), მარცელიჩი (20), მულაომეროვიჩი (21), რიმაცი (2), ვუიჩიჩი (9)

ლატვია: ბაგატსკისი (16), ჰელმანისი (4), ლაკსა (9), რ. მიგლინიეკსი (6), სნეპსი (21), შტელმახერსი (27), შტურმსი, ვეკვაგარსი, ვიტოლსი (5)

**შვეიცარია 73:58 სლოვაკეთი**

შვეიცარია: ბორტერი (11), დენერვო, ფერნანდესი, გრიმესი (12), კოლერი (9), მრაზეკი (15), სასელა (15), ვალისი (11)

სლოვაკეთი: ბალაზი (8), ბოპუნიცკი (7), იაკაბოვიჩი (10), ლისკა (4), მელუსი (4), მიჩუდა (12), სვიტეკი (8), ტიმკო, ვესი (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 5 | 0 | 418:338 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 2 | 372:352 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 351:372 | 8 |
| ლატვია | 5 | 2 | 3 | 416:395 | 7 |
| ინგლისი | 5 | 2 | 3 | 404:413 | 7 |
| სლოვაკეთი | 5 | 0 | 5 | 298:389 | 5 |

### B ჯგუფი

**ავსტრია 68:66 ბელარუსი**

ავსტრია: ასჩერიჩი (26), ბუგელშაიმი (8), ფრიტცი (6), ლუტცი, მადერი, მოშიკი (2), რენფროე (6), სტაჟიჩი (6), ვოლჩიჩი (14)

ბელარუსი: ბოიდაკოვი (21), ბიკოვი, შარკო (2), კული (13), კრივონოსი (8), მეშჩერიაკოვი (17), პინტიკოვი, როდიონოვი, სვეტნიკი, ვასილენკო (5)

**საბერძნეთი 78:60 პოლონეთი**

საბერძნეთი: ალვერტისი (8), ბუდურისი, ხაძივრეტასი (2), ფოცისი (6), კალაიძისი (3), დიკუდისი (11), პაპანიკოლაუ (5), რენციასი (9), სიგალასი (16), ცაკალიდისი (18)

პოლონეთი: ბიგუსი (4), ჰლებოვიცკი (5), ჰიზი, იანკოვსკი (7), კოსციუკი (5), პლუტა (5), შიბილსკი (7), ვილანგოვსკი (13), ვოიჩიკი (2), ზიელინსკი (12)

**ჩეხეთი 76:92 ესტონეთი**

ჩეხეთი: ბეჩკა (13), ჩუდეკი (8), ნეჩასი (5), ნოვაკი (7), სოკოლოვსკი (8), ტრნკა (4), ვაჰალა (6), ი. ველში (15), პ. ველში, ზიდეკი (10)

ესტონეთი: კრიისა (3), კულამი (29), კუუსმაა (26), მეცტაკი (12), მიუურსეპი (8), პარნი (2), პეჰკა (9), რუმა (3)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 5 | 0 | 384:309 | 10 |
| ესტონეთი | 5 | 4 | 1 | 405:365 | 9 |
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 395:370 | 8 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 3 | 367:391 | 7 |
| ავსტრია | 5 | 1 | 4 | 353:407 | 6 |
| ბელარუსი | 5 | 0 | 5 | 344:405 | 5 |

### C ჯგუფი

**ისრაელი 87:65 ბულგარეთი**

ისრაელი: ბურშტეინი (3), კოენ-მინცი, ჰენფელდი (6), ლუბინი (8), მუხტარი (4), საფარი (4), შეფერი (23), შელეფი (15), შტეინჰაუერი (5), თურჯემანი (19)

ბულგარეთი: ანგელოვი, დ. დიმიტროვი (4), ჰ. დიმიტროვი (13), გოსპოდინოვი (1), მინჩევი (9), პეტროვი (9), რადიონოვი (7), სტოიკოვი (22)

**ბოსნია 67:52 შვედეთი**

ბოსნია: ალიჰოჯიჩი, დელიჩი (12), ფირიჩი (11), ჰუკიჩი (8), კრასიჩი (4), ლერიჩი (9), მუეძინოვიჩი (8), ოვჩინა (15), ტერზიჩი

შვედეთი: ბერგსტრიომი (6), ბლომი (13), დიარა (2), ჰ. ლარსონი (8), პ. ლარსონი (19), ლუნდალი, მირტილი (1), პეტერსონი (2), სალსტრიომი (1)

**ფინეთი 86:83 ჰოლანდია**

ფინეთი: ლააკსონენი (5), ლეპტორანტა (2), ლუჰტანენი (29), მაკელა, მარკანენი (6), მატინენი (4), პეჰკონენი (11), პრატესი (15), რანიკო (14), რიიჰელა

ჰოლანდია: დე ფრიზი (9), დერკსი, გუდეე (7), ჰამინკი (11), ჰაინენი, ჰუაიბენსი (4), კრიგერი (18), ნაჰარი (22), ვან დერ სლუისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 5 | 5 | 0 | 414:320 | 10 |
| ბოსნია | 5 | 3 | 2 | 361:344 | 8 |
| ფინეთი | 5 | 3 | 2 | 403:420 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 352:376 | 7 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 4 | 360:387 | 6 |
| შვედეთი | 5 | 1 | 4 | 338:381 | 6 |

### D ჯგუფი

**სლოვენია 74:69 ბელგია**

სლოვენია: ბრეჟეცი (2), დრაგშიჩი (2), დუშჩაკი (17), იაგოდნიკი (6), იურკოვიჩი (13), კრალევიჩი, პეტროვი (7), სმოდიში (24), შპორარი (3)

ბელგია: ბეგინი, კლეიმანსი (13), დიუპონი (2), გუტალსი (12), ჟომინი (20), ლაუვერსი (6), მანდიჩი (2), მურსი (2), სტრიულენსი (12)

**მაკედონია 84:58 უკრაინა**

მაკედონია: ბოჩევსკი (2), ჩეკოვსკი (2), გეჩევსკი (6), იოვანოვსკი (15), კურტოვიკი, მიჰაილოვსკი (6), ნაუმოსკი (25), სრბინოსკი (2), სტეფანოვი (26)

უკრაინა: ბაზელევსკი, დროზდოვი (6), ხარჩენკო (2), ხიჟნიაკი (13), ხრიაპა (5), მოლჩანოვი, რაევსკი (18), იაილო (9), იევსტრატენკო (5)

**ისლანდია 68:87 პორტუგალია**

ისლანდია: არნარსონი (10), ბირგისონი (2), ბრაგასონი (2), გუდფინსონი (18), ფ. ჰარდარსონი (2), ოლაფსონი (10), ორლიგსონი (12), სტეფანსონი (12), ვილბერგსონი

პორტუგალია: ამორიმი (2), ანტუნეში (32), აზევედუ (10), დიასი (5), პინტუ (17), მაჩადო (1), მირანდა (4), ოლივეირა (8), პერდიგაო (6), ტავარეში (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 5 | 5 | 0 | 402:314 | 10 |
| მაკედონია | 5 | 3 | 2 | 375:325 | 8 |
| ბელგია | 5 | 3 | 2 | 353:331 | 8 |
| უკრაინა | 5 | 3 | 2 | 330:317 | 8 |
| პორტუგალია | 5 | 1 | 4 | 347:392 | 6 |
| ისლანდია | 5 | 0 | 5 | 292:420 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ინგლისი | ჰოლანდია |
| --- | --- |
| I დივიზიონი | გამოტოვებული მატჩი |
| ბლეკბერნი 1:1 ნორვიჩი | როდა 3:1 კამბური |



# ისევ რეიჩელი

ისევ ჰაურაკის ყურე, სადაც ზურგქარს ელის იტალიური ეკიპაჟი „პრადა", ახალი ზელანდიის გუნდს რომ შებმია მსოფლიოს უძველეს ჯილდოდ ცნობილ ამერიკის თასისთვის. მეოთხე რბოლა უკვე მეოთხედ გადაიდო უქარობის გამო, წინა სამი კი ახალზელანდიელებს მოუგიათ.

იმათი დიდი ქომაგი, იქაური განთქმული მოდელი რეიჩელ ჰანტერი, როც მომღერალ როდ სტიუარტის ყოფილი ცოლი კი შამპანურით წინათგრძნობს თავისიანთა უცილობელ გამარჯვებას.

# მიბაძეთ ქალებს

შუა პეკინში მავალ ამ ავტობუსს აწერია, ჩინეთის ფეხბურთელ კაცთა ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გავიდესო. ჩინელ ქალთაგან განსხვავებით, იქაური კაცები არასოდეს გასცილებიან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს. ქალებმა კი საერთოდაც ფინალში ითამაშეს და მხოლოდ პენალტებით წააგეს ამერიკელებთან.








# ფორმულის თამაშები

მსოფლიოს უდიდესი ელექტრონული ხელოვნების ფირმის თავკაცი ტომ სტოუნი ფორმულა 1-ის გუნდ „ბენეტონის" თავკაც როკო ბენეტონთან ერთად გაჯგიმულა ინგლისურ ენსტოუნში, სადაც ბენეტონის ქარხანა ფუნქციონირებს. ელექტრონული ხელოვნების ფირმას ფორმულასთან იმგვარი მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს, რომ ყოველი გუნდისა და მრბოლის იერის გამოყენება შეუძლია კომპიუტერული თამაშების გასალამაზებლად.

# ამათაც უნდათ

ინგლისელებს დიდი კამპანია გაუჩაღებიათ იმისთვის, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები შეიქნენ, მაგრამ ამისთვის გერმანელებიც იბრძვიან. ფრანც ბეკენბაუერი და რუდი ფიოლერიც ამიტომ ჩასულან საფრანგეთის ქალაქ კანში, „ფუტბოლ ექსპო 2000"-ის გამოფენაზე მათი მიზანი გერმანიის მასპინძლობის მხარდაჭერის ძიებაა.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli